ეროვნული ბიბლიოთეკა
1871

# მნათობი

## 1871

ივნისი

წელიწადი მესამე.

თბილისი.
ღუბჱლირის (გ. წერეთლის და ამხ.) სტამბა
1871.

# წოდება თხზულებათა:


მისვლა-მოსვლა რუსეთსა და საქართველოს შორის 1492—1664 წ. (დასასრული). . . ნ. ცხვედაძისა.

პასუხი (ლექსი) . . . . . . . . . . . . . . ზურ. მოენიძისა.

ე....ს (ლესქი) . . . . . . . . . : . . . . . ზურ. მოენიძისა.

ქიტესა (ამბავი) . . . . . . . . . . . . . . ანტ. ფურცელაძისა.

ებრაული მელოდია (ლექსი) . . . . . . . იოს. ბაქრაძისა.

ჩვენი უზრუნველობის ზოგიერთი ნიშნები წყალტუბელისა.

ჭეინედამ (ლექსი) . . . . . . . . . . . . . იოს. ბაქრაძისა.

ქალების სასარგებლოდ და წინააღმდეგ თარგმნ. . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . ეკატ. დვინიაშვილისა.

# მ ნ ა თ ო ბ ი

სალიტერატურო და სამეცნიერო ჟურნალი.

1871

ი ვ ნ ი ს ი.

Дозволено цензурою, Тифлисъ 30 Iюня 1871 г.

ჩვენ უნდა ვშობოდ ჩვენი მყობადი.
ჩვენ უნდა მივსცეთ მომავალი ხალხს...

***

არც კაცი ვარგა, თუ ცოცხალი მკვდარსა ემსგავსოს,
იყოს სოფელში და სოფელს კი არარა არგოს...

ნ. ბარათაშვილი.

თბილისი
დუბელირის (გ. წერეთლის და ამხ.) სტამბა.
1871.

ეროვნული ბიბლიოთეკა

*Дозволено цензурою, Тифлисъ 30 Iюня 1871 г.*

# მისვლა-მოსვლა რუსეთის და საქართველოს შორის 1492 წ-გან 1664 წ-მდინ.

(დასასრული).

## IV

ამ სტატიის საზოგადო გრეხილის დასაცველად მიუბრუნდები კახეთის სამეფოსვე.

რამდენსაც უფრო და უფრო იდგამდა ფეხს კოსტანტინე ახალ მოპოვებულ სამეფოში, იმდენი უფრო და უფრო განზე უდგებოდნენ მას კახელები და სწყვეტავდნენ მასთან ყოველგვარ კავშირს. ქიზიყელებმა ყველაზე წინ აღმოუჩინეს მამის მკვლელს ურჩობა. ბატონისშვილის დავითის ქვრივი ქეთევანი, რომელმაც უარი უთხრა კოსტანტინეს ცოლად წაყოლისა და მაჰმადის სჯულის მიღებისა, წავიდა ქართლში გიორგი მეფესთან და იქ დაიწყო გროვება ცოცხალი შუამავლობებისათვის მამამთილის სამეფოს დახსნისთვის თავის გამაჰმადიანებულის მაზლის ხელიდგან. როდესაც კახეთის თავად-აზნაურობამ, დევნილმა სპარსელებისაგან, ცხარის ცრემლით შესტირა ქეთევანს და სთხოვა, რომ ამას გამოეხსნა თავისი შვილის თეიმურაზის სამკვიდრო მძვინვარე მტრების ხელიდგან, ამან თავ-გაწირულებით იკისრა ეს მძიმე საქმე. მცხეთაში ეპისკოპოზების კრებამ და ქათალიკოსმა დომენტიმ შეჩვენებას მისცეს მამის მკვლელი და დაულოცეს ქეთევანს გზა.—ამის მოსვლამ კახეთში ქართლის ჯარით ალ-

ტაცებაში მოიყვანა ხალხი, განუღვიძა მას ძველებური მამაცობა და ხელ—წინ გამოუშალა ის უბედურება, რა უბედურებაც ელოდა, თუ კონსტანტინე დარჩებოდა მეფედ. კახელები შეიკრიბნენ ერთად და ალაზნის ნაპირებზე ქეთევანის წინამძღომლობით მოუღეს ბოლო სპარსელების ჯარს და მამის და ძმის მკვლელს კონსტანტინეს! ამ გამარჯვებით გამხნევებულმა კახელებმა დროებით დედოფლად და გამგებლად დასვეს ქეთევანი, მინამ თეიმურაზი, ამისი შვილი, მოვიდოდა სპარსეთიდგან. შაჰ-აბასის დასტურით მოვიდა თავის სამშობლოში თეიმურაზი და დიდის ცერემონიით დაგვირგვინოსანდა მცხეთის ტაძარში. მაშინ თეიმურაზი იყო 15 წლისა.—ამის ტახტზე ასვლა და ხალხის დამშვიდება ერთი იყო. ხალხი დაშოშმინდა და მიჰყვეს ხელი თავის ცხოვრებას. ასე ჰგრძნობდა თვითეული კახელი, რომ ვითომ მას თავის დღეში არა უბედურება არ გამოუვლია. რა ბედნიერება იქნებოდა, რომ ეს ტკბილი ახალი დაწყობილი ცხოვრება დიდ ხანს გაგრძელებულიყო 1).

1605 წ. თეიმურაზ პირველმა შეირთო ცოლად მთავარი მამიას, გურიის მფლობელის, ქალი ანნა, რომლისაგანაც ჰყავდა ორი ვაჟი შვილი: ლევანი და ალექსანდრე. 1609 წელში გარდაიცვალა დედოფალი ანნა და მაშინვე თეიმურაზ I-ლი გამგზავრდა სპარსეთს შაჰ-აბასის სანახავად, რომელსაც ჰსურდა მისი ნახვა, ვითომ ნუგეშის საცემლად; მაგრამ უნდოდა კი როგორმე გული შეეცვალა თეიმურაზისთვის ქრისტიანობაზე და მიეღებინებინა მაჰმადის სარწმუნოება, რომ ამ საშუალებით დაერღვია რუსეთსა და საქართველოს შორის ყოველ გვარი კავშირი. რომ დარწმუნდა ამ აზრის აუსრულებლობაში, რადგანაც კახეთის მეფე ჭეშმარიტი ქრისტიანე იყო, შაჰ-აბასმა მოიგონა ერთ ნაირი საშუალება, რომელსაც შეეძლო მიეცა მისთვის მი-

---

1) ნახე თეიმურაზ 1-ის ცხოვრება აღწერილი მეფე არჩილისაგან.

ზეზი საქართველოს ასაოხრებლად. შაჰ-აბასმა ჯერ რჩევა დაუწყო თეიმურაზს, რომ ამას შეერთო ცოლად მეფის ლუარსაბის უფროსი და—ქალი გიორგი X-სა;—ხოლო როდესაც თეიმურაზმა უარი უთხრა იმ მიზეზით, რომ ის ქალი ნათესავი იყო მისი და ამისათვის მართლმადიდებლობითი ეკლესია ნებას არ მისცემდა ამ საქმის ასრულებისას, მაშინ შაჰმა დაუწყო მას ძალ-დატანება. თეიმურაზი დიდი ხანი ყოყმანობდა და ბოლოს, რომ დაინახა შეუძლებლობა ამ მოთხოვნილებიდგან გამოსვლისა ისე, რომ სამეფო არ დაეკარგა მას—დასთანხმდა. შაჰ-აბბასი იმედეულობდა ეპოვნა მიზეზი საქართველოს გაქელვისა ლუარსაბის მხრიდგან მაინც. იმას ეგონა ეს ნებას არ დაჰყვებოდა თეიმურაზს და არ მისცემდა თავის დას. ამაშიაც მოსტყუვდა შაჰი. ლუარსაბმა იცოდა, თუ რა ეწადა მძვინვარე მტერს და ამისთვის, თუმცა წინააღმდეგი იყო ეკლესია, რომ თავისი და მიეცა ცოლად ნათესავისათვის, მაგრამ ამას არ გამოუდგა ლუარსაბი და თეიმურაზს დაუთანხმდა. უმეტესად ლუარსაბზე იყო აღელვებული შაჰ-აბბასი, რომელსაც გიორგი სააკაძე 1) აგონებდა სხვა-და-სხვა სავნებელ საქმეს თავის მეფისათვის.

თეიმურაზმა დაიწერა მეორედ ჯვარი 1612 წ.. აი ამ სახით შაჰ-აბბასს 1615 წლამდინ არა ვითარი მიზეზი არ ჰქონდა, რომ საქართველოზე გამოელაშქრა. ამ წელიწადში კი ისარგებლა შაჰმა კახეთში მომხდარი არეულობით, რომლის მიზეზი იყო ქაიხოსრო თუმანიშვილის სიკვდილი თეიმურაზის მიერ და მით, რომ ლუარსაბს აეშალნენ მაჰმადიანების ქვეყნები, მდებარენი მის სამეფოზე ახლო, და წამოვიდა განჯას, რომელიც მისმა დაუთვლელმა ჯარმა მარტაბი დაიჭირა. აქედგან შაჰ-აბბასმა გაუგზავნა თეიმურაზს ელჩები და მოსთხოვა ამანათად შვილი. ისე ეშმაკურად მოიქცა შაჰ-აბასი, რომ ერთი შვი-

1) ეს გიორგი სააკაძე სწორედ თავმოყვარე ქართველი კაცი იყო.

ლის მაგიერად დასტყუვა თეიმურაზს ორი შვილი: ლევანი და ალექსანდრე და დედა ქეთევანი. ბოლოს დროს თვითონ თეიმურაზიც დაიბარა: აი რას სწერდა შაჰი თეიმურაზს: «შენ ერთგულობაში მე არ ვიჭვნეულობ; შენ არ დაიშურე ორი შვილი: მოდი შენც აქ, მიიღე დიდი საჩუქარი და ისე დაბრუნდი შენ სამეფოში». თეიმურაზი ეხლა კი ზედმიწევნით მიჰხვდა, თუ რა ეშმაკობა ედო გულში შაჰს. შეუდგა თავის სამეფოს შველას; მაგრამ გვიანღა იყო. ამან მიჰმართა ქართლის მეფეს ლუარსაბს, რომ რა არი იქნება შეკრებილი ძალით როგორმე ღირსეული პასუხი მიეცათ შაჰ-აბბასისათვის. თუმცა ეს ორი მეფე მოემზადნენ რაც ძალი და ღონე ჰქონდათ, ამხნევებდნენ თავიანთ თავს პატრიოტული გრძნობით, ერთი ერთ მანეთს ანუგეშებდნენ, მაგრამ გიორგი სააკაძის წინამძღოლობით შაჰ-აბბასმა ისე მოიყვანა საქმე, რომ იმათ უნდა დაენებებინათ თავი სამშობლოსთვის და წასულიყვნენ იმერეთში თავის შესაფარებლად. იმერეთში ამ დროს მეფობდა გიორგი მესამე. ამან დიდის სიამოვნებით მიიღო ესენი, თუმცა დიდი შემწეობა კი არა ამოუჩენიარა მათთვის, რადგანაც დროთა ვითარებაები არ აძლევდნენ ნებას ამის ჩადენისას.—მნელი წარმოსადგენია ეხლა ის დაჭირება, რა დაჭირებაც მაშინ საქართველოს დაადგა. კახეთი და ქართლი სპარსელებმა სულ ფეხ ქვეშ მოიდეს, ყველა მხრიდგან ისმოდა გრგვინვა და წუხილი ქართველებისა და თავდაუზოგავი ბრძოლა არსებობისათვის. ყველა ქართველი ინსტინკტით ჰხედავდა, რომ ის აკლდებოდა თავისუფალ ცხოვრებას და სალხოსნობას, ჰხედავდა და ამისთვის სული უგრგვინავდა. შაჰ აბბასი ავიდა გორს და იქ დაიბანავა. აქედგან გაუგზავნა ელჩები იმერეთის მეფეს გიორგის, რომ ამას გამოეგზავნა ლუარსაბი და თეიმურა'ზი. გიორგიმ შუამავლობა დაიწყო. შაჰმა, რომ დაატყო შეუძლებლობა ძალით გამოეყვანა იმერეთიდგან ორი საქართველოს მეფე, იხმარა შემდეგი ხერხი: მისწერა ლუარსაბს წერილი და დაუწყო მტკიცება, რომ ის ძალიან

უკუარს და დაუბრუნებს მას სამეფოს. გიორგის ელჩებიც დააჭერა ამ აზრში. რაც შეეხება თეიმურაზს, ამაზე საქვეყნოდ სთქვა შაჰმა, რომ ის ჩემი მტერიაო, მე იმაზე არა მაქვს ნდობაო. ლუარსაბი ჩვილი გულის პატრონი იყო, მოსტყუვდა და წამოვიდა იმერეთიგან შაჰთან, რომელმაც ყარაიამდის და მამანდაბამდის სულ ტკბილი სიტყვებით გაიტყუა. აქ კი გამოუცხადა შაჰმა ლუარსაბს მაჰმადის სარწმუნოების მიღება და ამით დამტკიცება მასთან მეგობრობისა. ლუარსაბმა უარი უთხრა შაჰს და ამისთვის გაგზავნა შაჰმა გულაბის ციხეში, სადაც შვიდის წლის შემდეგ, ქრისტეს აღვიარებისთვის, თოკით დაახრჩობინა (1622 წ). ჩვენმა ეკლესიამ ლუარსაბი შეჰრიცხა მოწამედ.—შაჰ-აბასის დაბრუნება თავის სამეფოში და დასაჭურისება (ევნუხად გადაქცევა) თეიმურაზის შვილებისა—ერთი იყო,—შვილებისა, რომლებიდგანაც ერთი მაშინვე მოკვდა, ხოლო მეორე მესამე წლის შემდეგ. თვითონ დედოფალმა ქეთევანმა, შემდეგ მრავალ-გვარი ტანჯვის ატანისა, მიიღო, შირვანის ქალაქში, მოწამის გვირგვინი (1624 წ).

აი, ამ სახით კახეთსა და ქართლს მოაკლდათ მართლ-მადიდებელი მეფეები. შაჰმა კახეთი ჩააბარა თეიმურაზის ბიძაშვილს იესეს 1), რომელმაც მიიღო მაჰმადის სარწმუნოება და ერქვა ახალი სახელი ისახანი. ამისი მმართებლობა არ იყო ხანგრძლივი. კახელებმა თავიანთ ხალხოსნობის და სარწმუნოების მტკიცედ დასაცველად პირველადვე ამოუჩინეს ურჩობა ამ მაჰმადიან გამგებელს და ბოლოსდროს სრულებით აღუდგნენ. თუმცა ისახანს სპარსეთის ჯარი ჰყავდა, მაგრამ მხურვალე სიყვარულის მქონებლებმა მამულისადმი—კახელებმა დაიბარეს

---

1) იესე იყო გიორგის შვილის ალექსანდრე II-ს შვილის-შვილი. ბიძის ხმალს გადაურჩა მით, რომ რა წამს შეიტყო თავის პაპის და მამის უბედურება, მაშინვე გაიქცა კონსტანტინესთან და ცხარის ცრემლით შესთხოვა, რომ არ მოეკლა და ამანაც აღარაფერი ავნო.

იმერეთიდგან თეიმურაზი და ამის წინამძღომლობით პირველ ომშივე მოჰკლეს ისახანი. ამ გვარმა გამარჯვებამ დიდად გაამხნევა და სიხარულში შეიყვანა კახეთის მცხოვრებნი; მაგრამ ეს სიხარული დიდხანს არ გასჭყვათ მათ. თეიმურაზი ექვსის თვის შემდეგ კიდევ გადმოაგდეს სამეფო ტახტიდამ სპარსელებმა და დასვეს გამგებლად ფეიქარხანი. ხოლო რაც შეეხება ქართლს, ამის მეფედ დააყენა შაჰ-აბბასმა ბაგრატ მეხუთე, დაუდხანის შვილი. ამ ახალმა მეფემ თავის სატახტო ქალაქი გადიტანა საბარათიანოში, რომელიც დაშორებულია თბილისზე ორმოც ვერსტზე.

აი, რა მდგომარეობაში იყო ქართლიც და კახეთიც იმ დროს, როდესაც თეიმურაზი შეუდგა მიმართვას რუსეთისადმი შემწეობის სათხოვნელად. აი, რა მიზეზები შეგროვდნენ, რომლებიც ძალას ატანდნენ თეიმურაზს მიემართა რომელიმე ძლიერი სამეფოსადმი შემწეობის სათხოვნელად, რომ როგორმე თავისი თავი და სამშობლო გამოეღსნა სპარსელების დამოკიდებულებიდგან.

თეიმურაზმა თავის იმერეთში ყოფნის დროს ჯერეთ სულთანს გაუგზავნა ელჩი—ხარიტონი და სთხოვა შემწეობა, რომელიც კიდეც აღუთქვა სულთანმა, და მერე, როდესაც დაინახა, რომ ეს აღთქმული შემწეობა ბევრს მაგდენს არას უშველიდა მას, მოიფიქრა რუსეთთან კავშირის აღდგენა. 1619 წელში თეიმურაზმა გაუგზავნა რუსეთის მეფეს მიხეილ თევდორეს ძეს ელჩები—იგუმენი ხარიტონი და კურმითის მიტროპოლიტი წერილითურთ. ამ წერილით თეიმურაზი სთხოვდა რუსეთის მეფეს, რომ ამას ეშუამავლა შაჰ-აბასთან იმის დედის ქეთევანის და შვილების: ლეონის და ალექსანდრეს დაბრუნებაზე. გარდა ამისა აი თეიმურაზი სხვათა შორის რა ნაირად აუწერდა თავისას და თავის სამეფოს მდგომარეობას რუსეთის მეფეს: «გიცხადებთ თქვენ დიდ ხემწიფეს ჩვენს ცრემლს და სიღარიბეს, რომ ჩვენი ბრწყინვალება შეიცვალა ბნელად, მზეც აღარ გვაძლევს სითბოს, მთვარეც აღარ გვინათებს, ბრწყინვალე დღე ღამედ შეგვეცვალა, და

ეხლა ისეთი დრო დამიტრიალდა, რომ ნეტავი დედაჩემს სამშვილო-სნო მოჰშლოდა და მე არ დავბადებულიყავ და არ მენახა მართლ-მადიდებლობითი სარწმუნოების და ივერიის ქვეყნის აოხრება; ეკკლესიებში და მონასტრებში სახელი ღვთისა აღარ იდიდება და ცარიელები მიფუშულ-მოფუშულები დგანან. 1) ღირსია შენიშვნისა ის ფაქტი, რომ თეიმურაზმა ამ წერილში რეკომენდაცია გაუკეთა მიხეილ თევდორეს ძესთან თავის თანამორწმუნე ქართველ მოციქულ თავადებს: გიორგი ბაბიჩს მანუელ გურიელს და ლევან დადიანს, არწმუნებდა რუსის მეფეს, რომ ჰსურთ რუსეთის მფარველობის ქვეშ შემოსვლა და ერთგულობის პირობასაც იძლევიან. თუმცა, როგორც ჰხედავ, ჩემო მკითხველო, თუ როდისმე უჭირდა საქართველოს საქმე, აი სწორედ ეხლა უჭირდა და თავმოხრილი სთხოვდა რუსეთს შემწეობას; მაგრამ რუსეთმა სხვა-და-სხვა მიზეზების გამო ზედაც არ შეჰხედა. აპრილის 13-ს 1621 წელში ხარიტონი დაბრუნდა კახეთში.

თეიმურაზის მოგზაურობის დროს, ხან იმერეთში, ხან სტამბოლში (კონსტანტინეპოლში), ხან გურიაში, ქართლში მეფობდა ბაგრატ მეხუთე, ხოლო კახეთში იყო გამგებლად ან მმართებლად ფეიქარ-ხანი. 1619 წ. გარდაიცვალა ბაგრატ მეხუთე და ქართლის ტახტზე ავიდა შაჰ-აბასის ნება-ყოფლობით ბაგრატის შვილი სიმონ II-ე, მაჰმადიანი სარწმუნოებისა. ხალხის და თავად-აზნაურობის, დასამორჩილებლად შაჰ-აბასმა მისცა სიმონ II-ეს შემწედ თავისი კარგი სარდალი ყარჩიხან 20,000 კაცით და ქართველი თავადი-შვილი გიორგი სააკაძე, რომელსაც საიდუმლოდ ჰქონდა ნაბრძანები კახელების ამოჟლეტა, ხოლო ქართველების სპარსეთში გარდასახლება. ამ სააკაძესთან შაჰის ნებით სპარსეთიდგან კიდევ წამოვიდა ქართველი თავადი შვილი ზურაბი. ესენი მოვიდნენ საქართველოში 1623 წელში.

1) ნახე «*Историческое изображеніе Грузіи, издан. Александро-Невской Академію, 27 стр.*

გიორგი საკაძის მოსვლა საქართველოში და პატრიოტული გრძნობის გაღვიძება მასში—ერთი იყო. ამას სულ თვალ-წინ უდგებოდა ის უბედურება, რა უბედურებაშიაც ჩავარდებოდა მისი სამშობლო, თუ აასრულებდა შაჰ-აბასის ნაბრძანებს,—რამდენიც ხანი გადიოდა, იმდენი უფრო და უფრო საკაძეს პატრიოტული გრძნობა ეღვიძებოდა, უძლიერდებოდა და ემლეოდა საშუალების მებნას თავის ქვეყნის გაცებis მყოფობის და ხალხოსნობის დასაცველად ახლა საკაძის დიდი თავმოყვარეობა დაიმორჩილა სრულებით პატრიოტულმა გრძნობამ. საკაძეს ესლა ის უკლავდა გულს, რომ ამის თავმოყვარება იყო მიზეზი საქართველოს აოხრებისა შაჰ-აბბასისგან--ნანობდა და ჰგრძნობდა თავის თავს დიდ დამნაშავედ თავის სამშობლოს წინ. ეს ცდილობდა, რომ როგორმე დაეფარა თავისი მხეცური, უგუნური მამულის მოღალატობა, რომელიც წინად ამოუჩინა მას, კეთილ-პატრიოტული საქმეებით. მოცულმა აი ამ აზრებით საკაძემ მოიფიქრა სპარსელების გარეკა საქართველოდგან 1). როდესაც ყარჩიხანი ჯარით იყო მუხრანში და აქ დაიბარა ქართლის და კახეთის თავადის შვილები ჯილდოების დასარიგებლად, ამ დროს გიორგი საკაძე არაგვის ერისთავი ზურაბითურთ მიუხტა მას სადგომში, მოკლა იგი, ამოსწყვიტა თავადიშვილების შემწეობით სპარსეთის ჯარი, გამოიხსნა ქართლი სპარსელების ხელიდგან და დასვა მმართებლად ერისთავი—თავადი ქაიხოსრო მუხრანბატონი, სოლო მეფე სიმონ II-ე მოემწყვდია თბილისში და შეამაგრა ეს ქალაქი. საკაძემ შეატყო, რომ ვერაფერს გახდებოდა, თუ დაუწყებდა ბრძოლას სვიმონს, ჩავიდა ჯარით კახეთში. მაშინ იქ, როგორც ზემოთ ვსთქვი, იყო მმართებლად ფეიქარხანი. ამან იგრძნო შეუძლებლობა, რომ შეჰბმოდა გამარჯვებით გამხნევებულ ქართველების ჯარს და სცვითა კახეთიდგან. ამ ნაირად გამოვიდა კახეთი

---

1) ნახე «Жизнь Великаго Моурава», გვერდი 5.

ეროვნული ბიბლიოთეკა



მაჰმადიანის ხელიდგან. გიორგი სააკაძეს არა ჰქონდა დიდი იმედი ქაიხოსრო მუხრანბატონისა და არც უნდოდა, რომ ქართლის მეფედ ყოფილიყო მაჰმადიანი სიმონ II-ე, შაჰ-აბბასის მომხრე, ამისთვის გონივრულად მოიხაზრა ქართლის და კახეთის შეერთება. ამ გონივრული აზრის აღსასრულებლად გაუგზავნა კაცები თეიმურაზს — გონიაში» და სთხოვა მობძანება საქართველოში. მაისში 1623 წ. თავის ამალით შემოვიდა თეიმურაზი მცხეთაში და აქედგან გამგზავრდა თავის სამეფოში.—

თეიმურაზი, მოვიდა თუ არა კახეთში, მაშინვე შეუდგა თავის საქმეების გარიგებას, თავის სამეფოს ყოველივე მხრივ გამაგრებას. ეს ჰფიქრობდა, რომ რუსეთი ეხლა კი მისცემდა ყოველ გვარ შემწეობას და დაუმეგობრდებოდა მას,—რადგანაც თვითონ იჯდა კახეთის ტახტზე და გაყრილი ჰყავდა თავის სამეფოდგან სპარსელები, და მაშასადამე რუსეთს მაგდენი არა ფერი ძალა დასჭირდებოდა მისი დასხმარებისთვის. აი ამ გვარ აზრებმა ხელ-მეორედ გააგზავნინეს თეიმურაზს მოციქულები რუსეთში. ეს მოციქულები იყვნენ: იერუსალიმის წმინდა გოლგოთის მონასტრის არხიეპისკოპოზი თევდორე, არხიმანდრიტი არსენი, იგუმენი კირილე. თეიმურაზისაგან გაგზავნილი მოციქულები მივიდნენ მოსკოვში 16 მარტს, 1624 წელს. ერთი წიგნი ჰქონდათ გატანებული მეფე მიხეილ თევდორეს ძესთან და მეორე ფილარეტ პატრიარქთან. ამ წერილებით თეიმურაზი სთხოვდა რუსეთის ხელმწიფეს, რომ თუ შაჰ-აბასი გაჰბედავდა რასმე საქართველოზე—მიჰშველებოდა, ეხლავე გამოეგზავნა რამდენიმე ჯარი და ფული, სხვათა შორის სთხოვდა, რომ შაჰ-აბბასთან შუამავლობა გაეწია მისი დედის და შვილების დაბრუნებაზე 1).

---

(1.) «ცისკარი», მაისი 1867 წ. «საქართველოს ისტორიისათვის მასალები».

შემდეგ თეიმურაზის პირველი წერილის გაგზავნისა მიხეილ თეოდორეს მისადმი—რომელიც მოხდა 1619 წელში, რუსეთს მოუხდა სხვა და-სხვა პოლიტიკური და ვაჭრობის საქმეებისათვის ელჩების გაგზავნა შაჰ-აბბასთან. ამ ელჩებს ნაბრძანები ჰქონდათ, სხვათა შორის, გამოეცხადებინათ შაჰისთვის საქმე შესახებ თეიმურაზის სახლობის დაბრუნებისა და საქართველოს სურვილი რუსეთის მფარველობის ქვეშ შესვლაზედ. ელჩებმა ეს ნაბრძანები აასრულეს და როცა დაბრუნდნენ მოსკოვში, მოახსენეს თავიანთ ხელმწიფეს, რომ შაჰ-აბბასი უთმობს მას საქართველოს და თეიმურაზს დაუბრუნებს სახლობას, თუ ის ოსმალების მხარეს თავს დაანებებს. მიხეილ თევდორეს მამ ნაცვლად პასუხისა უბრძანა თავის კარის პირველ კაცს გრამატინს გადაეცა ყველა ეს საქართველოს ელჩებისათვის და დაემატებინა ისიც, რომ რადგანაც შაჰი გამეგობრებულია მის დიდებულებასთან და ამას გარდა რუსეთმა თვითონ ბევრი შეიწირა ლიტველების და პოლშელებისგან, ამისთვის არ შეუძლიან შეეწიოს თეიმურაზს ვერც ფულით და ვერც ჯარით 1). აქ არ შეიძლება არ შევნიშნოთ, რომ თუმცა შაჰ-აბბასმა 1622 წელს რუსეთის ელჩებს: ბასილა კორობინს და დიაკ ასტაფი კუვშინოვს დაჰპირდა საქართველოს თავის ჭერქში დაყენებას და მის დათმობას მოსკოვის კარისადმი; მაგრამ 1623 წ. კი უბრძანა შაჰმა გიორგი სააკაძეს კახელების ამოწყვეტა და ქართლელების გადასახლება სპარსეთში. ეს ფაქტი ნათლად გვიმტკიცებს, რომ შაჰი მხოლოდ სიტყვით უთმობდა რუსეთს საქართველოს და არა თუ საქმით. საზოგადოდ მაგდენი არაფერი სარგებლობა მოუტანა თეიმურაზს და იმის სამეფოს ამ ზემო ხსენებმა ორჯელ ელჩების გაგზავნამ მიხეილ თევდორეს მესთან. დედა და შვილები თეიმურაზს არ დაჰბრუნებია,

---

1) ნახე «*Исторія Россіи*» *соч. Соловьева, томъ 9 ый, 312 ст.*

როგორც ვსთქვი თავის ადგილას; ხოლო რაც შეეხება კახეთის ტახ-ტს, თეიმურაზმა დაიბრუნა გიორგი სააკაძის და ერისთავი ზურაბის გამჭრიახობით და თავის მამაცობით 1).

თეიმურაზ 1623 წლიდგან 1634 წლამდინ დარჩა კახეთის ტახ-ტზე; ქართლის გამგეობა კი დაიწყო სიმონ II ის სიკვდილს შემდეგ, რომელიც მოკლა ერისთავმა ზურაბმა ძილის დროს—ხანჯლის და-ცემით.

საქართველოსთვის ეს დრო იყო თვით უსაშინელესი და უუბე-დურესი ეპოქა; ორჯელ შაჰ-აბბასის შემოსევა ჩვენ სამშობლოში არა-ფრით დაუვარდებოდა იმ საშინელებას, რა საშინელებანიც მოჰფინა თემურ-ლენგმა მთელ კავკასიის მხარეში. შაჰ-აბბასაც ის აზრი ჰქონ-და, რომ აღმოეფხვრა, გაექრო ქრისტიანობა მთელ საქართველოში და ამით სამუდამოდ დაეპყრო იგი. მაგრამ ნაცვლად იმისა, რომ კავ-კასიის მთებში, დაღესტანში ესახლებინა მაჰმადიანები, როგორც სჩა-დიოდა თემურ-ლენგი, შაჰ-აბბასი ანგრევდა და აოხრებდა ქალაქებს, სოფლებს, ეკლესიებს, უდაბნოებს, ანუ მონასტრებს და ძალდატანებით ასახლებდა ქართველებს სპარსეთში. სწერენ, რომ დღევანდლამდის ის-პაჰანის ახლოს ბევრი სოფელია ქართველებისა და სომხებისა, რო-მელთაც თუმცა დაუკარგავთ ქრისტიანობითი სარწმუნოება, მაგრამ დაუ-ცავთ თავიანთი წინაპრების ენა. გარდა ამისა, ამ ხანებში ოსმალებმა

1) აქ უნდა მოვიხსენიოთ, რომ უფალი დუბროვინი, ჩემის აზრით, ძალიან შემცდარია როდესაც ამბობს, რომ ვითომ მიხეილ თევდორეს ძეს თეიმურაზის თხოვნა შეესრულებინოს; ამაზე ნაკლებად არა სტყუვის თხზულება «*Историческое изображеніе Грузіи, издан. Алекса-ндро-невскою Академію*, როდესაც ამბობს, რომ ვითომ თეიმუ-რაზისთვის სამეფო შაჰ-აბბას დაებრუნებინოს მიხეილ თევდორეს ძის შუამავლობით.

გაამაჰმადიანეს თითქმის მთელი საათაბაგო და გურიის ნაწილი ქრისტიანობა მხოლოდ სამ სამეფოშიღა დარჩა.

რომ უფრო შეევიწროებინა ქრისტიანობა, შაჰ-სეფმა, დიდი შაჰ-აბასის შვილმა, ქართლის ტახტზე აიყვანა როსტომი ანუ ხოსრო-მირზა. თუმცა ბაგრატიონის შთამომავლობისა იყო — (ეს იყო დიდი ლუარსაბის შვილის-შვილი), —მაგრამ იყო მაჰმადიანი, სპარსეთში დაბადებული ნაბიჭვრად. როსტომი 25,000 სპარსელის ჯარით მოვიდა ქართლში; თეიმურაზმა, რომელიც სიმონის სიკვდილის დღიდგან იყო მეფე ქართლისაც, მოწყენით დაანება თავი თბილისს და თავის სამეფოს კახეთს და წავიდა თავის შესაფარებლად იმერეთში. — შაჰ-სეფმა კახეთშიაც მმართებლად დასვენა მაჰმადიანი სელიმ-ხანი, მავნე როგორც ხალხისათვის, ისე ეკლესიისათვის. მმართებლობა სელიმ-ხანისა არ იყო სანგრძლივი. მანამ ეს ცვლილება მოხდებოდა, თეიმურაზმა, როდესაც ქართლის და კახეთის მეფე იყო, 1634 წელს გაგზავნა კიდევ რუსეთში ელჩი, ბერძენთაგანი, ნიკიფორე, მიტროპოლიტი მთელი ივერიისა, ქართლისა და კახეთისა, და გააყოლა თან ერთი არხიმანდრიტიც. ამ ელჩის გაგზავნის მიზეზი უნდა ყოფილიყო ჩემის აზრით, როგორც სჩანს თეიმურაზის მაშინდელ მდგომარეობიდგან, ის, რომ თეიმურაზმა წინადვე შეიტყო სპარსელებთაგან მოგონილი საშუალება მისი გაძევებისა თავის საქართველოდამ და შეუდგა თავის შველას; ამ მიზეზს ის მიზეზიც მიემატა, რომ რადგანაც თეიმურაზს ორი სახელმწიფო ხელში ეჭირა, რუსეთი უფრო გაჰბედავდა და სიამოვნებითაც აღასრულებდა თეიმურაზის თხოვნას.

ქართველების ელჩები მივიდნენ მოსკოვში 1636 წელს და მიართვეს მიხეილ თევდორეს ძეს წიგნი, ბერძნულ ენაზე დაწერილი. ამ წიგნით თეიმურაზი სთხოვდა რუსეთის მეფეს მფარველობას, მას აძლე-

ვდა ქვეშევრდომად მთელ ივერიას, მთელ საქართველოს ეკლესიებს თავის ძვირფასი საუნჯით საუკუნოდ 1). —ამას თვითონ ნიკიფორემ დაუმატა, რომ ქართლი სიმონ მეფის სიკვდილს შემდეგ სრულებით შეუერთდა კახეთს და ეკუთვნის თეიმურაზს. საზოგადოდ წიგნის შინაარსმა და უფრო ნიკიფორესაგან ნაამბობმა ქართლის შეერთებაზე კახეთთან გააბედვინეს რუსეთის ხელმწიფეს ელჩების გაგზავნა საქართველოში, თეიმურაზის დასაფიცებლად და იქაური ყოველივე საქმის დაწვრილებით შესატყობლად.—ეს ელჩები იყვნენ: თევდორე ვოლკონსკი, დიაკი არტემ ხვასტოვი და ხუთი სხვა სასულიერო პირნი; ამათ მოაყოლეს ორი მხატვარი და დურგალი 2)

მანამ რუსეთის ელჩები მოვიდოდნენ საქართველოში, თეიმურაზმა ერისთავების და გულ-გაცხელებული თავიანთ უბედურებით ქვეშევრდომების შემწეობით დაიბრუნა კახეთი და განდევნა აქედგან სალიმხანი. ამ ნაირად, როდესაც ვოლკონსკი თავის ამხანაგებითურთ მოვიდა საქართველოში, ამ დროს თეიმურაზს მხოლოდ კახეთიღა ეჭირა ხელში. ამ ელჩებმა ფიცით ჩამოართვეს სიტყვა თეიმურაზს, რომ იქნება ეს ერთგული მიხეილ თევდორეს მისა და გაბრუნდნენ 1639 წელში რუსეთში. ამათ მიართვეს, მოსვლისავე უმალ, მოსკოვში თავიანთ ხელმწიფეს თეიმურაზისგან გატანებული წიგნი. ამ წიგნში თეიმურაზი უჩივის ხარიტონს და თეოდორეს, რომ რუსეთის სასახლიდგან წიგნი არ მოუტანეს. ამ წერილიდგან ვტყობულობთ, სხვათა შორის, იმას, რომ ნიკიფორე ერთი წლიწადი შებრკოლებულა ას-

---

1) ნახე *Исторія Россіи Соловьева, 312 ст.*

2) მე აქ უნდა შევნიშნო, რომ სწერენ, ვითომ თეიმურაზს მესამედ ელჩები გაეგზავნოს 1635 წ.; მაგრამ ეს უნდა ტყუილი იყოს, რადგან თეიმურაზისაგან გაგზავნილ წიგნში ცხადად სჩანს, რომ მაშინ ქართლში და კახეთში ისევ თეიმურაზი მეფობდა; ხოლო ამის გამოგდება ამ სამეფოებიდამ მოხდა 1634 წელს.

ტრახანში და ჰგონებიათ, რომ მოკვდა. აქვე ვკითხულობთ, რომ ერევნის აღების შემდეგ 1636 წელს, შაჰ-სეფმა მაღდატანებით წაართვა ქალი თეიმურაზს. — გარდა ამისა, მიხეილ თევდორეს ძისგან ნაბრძანები ჰქონდათ რუსეთის ელჩებს გაეშინჯათ სხვათა შორის უფლის კვართი, დაცული მცხეთის ტაძარში. — თეიმურაზი ბოდიშს ითხოვს, რომ ელჩებს ვერ აჩვენა იგი იმ მიზეზით, რომ ქართლის სამეფომას აღარ ეკუთვნის, სადაც არიან ცხოველი ხატები და სამღრთოსაგნები *) შემდეგ თეიმურაზი მადლობას უთვლის მიხეილ თევდორეს ძეს მისთვის, რომ მან გამოუგზავნა არხიმანდრიტი იოსებ

*) რომ დავაფასოთ, თუ რა ინტერესით ჰსურდა შეეტყო მიხეილ თევდორეს ძეს ამბავი უფლის კვართზე, მე უნდა მოვაგონო, ჩემო მკითხველო, რომ რუსების ელჩმა კორობინმა მოსწერა სპარსეთიდამ თავის ხელმწიფეს და პატრიარქს ფილატეს შაჰის სურვილზე გამოუგზავნოს მათ უფლის კვართი, წამოღებული საქართველოდამ, და მართლაც 1624 წ., როგორც ამბობს სოლოვიევი თავის ისტორიაში: შაჰის ელჩმა, რუსან-ბეგმა და ბულიტ-ბეგმა მიართვეს პატრიარქს ფილატეს ეს კვართი. *) აქ ღირსია მოვიყვანოთ შემდეგი გარემოება: თეიმურაზი თავის წიგნში მიხეილ თევდორეს ძისადმი ამბობს, რომ ნიკიფორესაგან ნახული მოსკოვში წმინდა საგანი არ არის უფლის კვართი; ეგ არის ანუ ღვთის-მშობლის სარტყელი, ანუ კიდევ მაცხოვრის პირჩამოსაფარებელი; ხოლო რაც შეეხება უფლის კვართს, ის ძველადვე ასვენია მცხეთის ტაძარში, საიდამაც არავის შეუძლიან გამოიტანოს. თეიმურაზის სიტყვებს ამტკიცებს ხალხის ზეპირგარდმოცემა. — შეიძლება შაჰის გამოგზავნილი არ იყოს უფლის კვართი, არამედ სხვა რამე იყოს, ე. ი. ან ღვთის-მშობლის სარტყელი და ან მაცხოვრის პირ-ჩამოსაფარებელი.

*) ნახე *9 ый т., 205 ст.*

წმინდა სამების მონასტრიდგან და მღვდელ-მონოზნები: ალექსი და არსენი, საქართველოს ეკლესიის გაუმჯობესობისათვის; აგრეთვე მისთვის, რომ გამოუგზავნა პატრიარქი იოსებისგან ნაკურთხი 255 ხატი, სამსტუმრო წამლები და ვარაყი მხატვრობისათვის. ამ წიგნში სთხოვს თეიმურაზი რუსეთის მეფეს ჯარს და ქალაქის აშენებას დუშეთის (?) მთებში *). ეს წიგნი თავდება ფორმალური შეფიცებით, რომ თეიმურაზი, მისი შვილები და მთელი სამეფო იქნებიან ერთგულნი მიხეილ თევდორეს ძისა.

რუსეთის ელჩებს თან გაატანა თეიმურაზმა ნიკიფორე მიტროპოლიტი და ამის ხელითაც საკუთარი წიგნი გაუგზავნა მიხეილ თევდორეს ძეს. ამ წერილით კახეთის მეფე უცხადებდა რუსეთს სრულიად მორჩილებას და მადნების შემუშავებას თუშეთის მთებში, ითხოვდა შემწეობას ლეკების, სპარსელების და ოსმალების წინააღმდეგ. სხვათა შორის ამ წერილით თეიმურაზი პირ და-პირ ითხოვდა, რომ ამისათვის გამოეგზავნათ რუსეთის მეფის გრამოტა, რომლითაც ხელმწიფეს მიეღო საქართველო თავის მფარველობას ქვეშ/ ამ წერილის ძალით მიხეილ თევდორეს ძემ 1641 წელს გაუგზავნა თეიმურაზს რესკრიპტი (წერილი) ეფიმე მაშუცკის ხელით, —რომელსაც სხვათა შორის უნდა გამოეცხადებინა მისთვის, რომ ქალა ციხის, ანუ სიმაგრის აშენება დანიშნულ ადგილზე არ შეიძლება; ხოლო მადნების გამოჩენისათვის კი სთხოვდა თეიმურაზს გაეგზავნა მოსკოვში ყოველგვარი მადნეულების ნიმუშები, რომლებიც კი მის სახელმწიფოში იპოვებოდნენ; გარდა ამისა მაშუცკის უნდა გარდაეცა სხვა და სხვა ფეშქაში.

საჭირო იყო, როგორც ისტორიული დოკუმენტები, მოგვეყვანა აქ ნახსენები წერილი; მაგრამ სტატიის სივრცე ნებას არ გვაძლევს ამის აღსრულებისას; მე მხოლოდ მოკლედ ვიტყვი ამ წერილის (რესკრიპტის) შინაარსს: პირველად იმაში არის ნათქვამი თუ

*) დუშეთის მაგივრად, უნდა იყვეს თუშეთი, მონგია.



ეროვნული ბიბლიოთეკა

რა თვისჯან ღმერთს სცემენ პატივს, მეორედ მთელი ტიტულია მოყვანილი რუსეთის მეფისა და არის მოხსენებული, რომ ჩვენ ვბრძანებთ ამ რესკრიპტის მიცემას თეიმურაზისადმიო; მესამედ ჩამოთვლილია, თუ რომელმა საქართველოს მეფემ და რომელ რუსეთის მეფეს სთოხოვა შემწეობა, რა წლებში და რომელი ელჩები გამოუგზავნა რუსეთის მეფეს თეიმურაზმა შემწეობის სათხოვნელად და რუსეთის მეფემ რა შემწეობა აღმოუჩინა თავის მხრით იმას. ბოლოს ნახსენებია, რომ რუსეთის მეფეს თავის მფარველობის ქვეშ ეყოლება თეიმურაზი შვილებით და სამეფოთი *).

შემდეგ ამ რესკრიპტის (წერილის) გამოგზავნისა ოთხი წელიწადი არ გამოსულა, რომ მიხეილ თევდორეს ძე გარდაიცვალა, 12 ივნისს, 1645 წ. თეიმურაზმა გაიგო თუ არა ეს ამბავი, და აგრეთვე ისიც, რომ ალექსი მიხეილის ძე ავიდა რუსეთის ტახტზე, გაგზავნა ელჩები ახალ მეფესთან. ელჩები მივიდნენ მოსკოვს 1647 წ. და ალექსი მიხეილის ძეს მიართვეს თეიმურაზისაგან გამოტანებული წიგნი, რომლის შინაარსი იყო შემდეგი: «როგორც მამიშენის მორჩილებაში და მონებაში ვიყავი შვილით და ჩემი სამეფოთი, ისე შენი ვიქნები, დიდო თავადო. მამისშენის წყალობით და ქომაგობით საქართველო არის მრთელი და არსებობს კარგად; ხოლო შენც თუ არ გვიბოძებ წყალობას და არ დაგვექომაგები, მაშინ ჩვენ—გარეშემორტყმული სახელმწიფოები აგვაოხრებენ და დაგვიწყებენ თქმას: თქვენ მიეცით თქვენი თავი მოსკოვის ხელმწიფეს, მაგრამ მან თქვენ არ დაგიფარათ და არა ვითარი შემწეობა არ ამოგიჩინათ. მე ესლა ჩემი შვილით და სა-

---

*) ვისაც ჰსურს წაკითხვა ამ რესკრიპტის (წერილის) ნამდვილისა, შეუძლიან იპოვნოს ეს შემდეგ თხზულებაში: «*Руководство къ познанію Кавказа*», *Михаила Селезнева*, *1-я часть*, *отъ 155 – 162 стр.*

ეროვნული ბიბლიოთეკა



მეფეთი შემოველ თქვენ მონებში. ჩემ შვილის შვილს გიორგი დავითის ძეს მონად—ანუ მხახურად გამოგიგზავნი, ხოლო ჩემ უფროს შვილი-შვილს იოსებს კი ინებე თქვენი დის მიცემა და ბრძანე გამოგზავნა მიტროპოლიტებისა». მაგრამ ამ დროს რუსეთს თეიმურაზისათვის არ ეცალა; რისგამო ამ წიგნს არა ფერი შედეგი არა ჰქონდა და მანამ ელჩები დაბრუნდებოდნენ საქართველოში, თეიმურაზმა დაკარგა კახეთი. ქართლის მეფემ როსტომმა განრისხებულმა თეიმურაზის ცდილობაზე; რომ დაიჭირა ქართლი, — ერთხელ ორჯერ არ გაილაშქრა კახეთზედ თეიმურაზის გამოსაგდებლად იქიდგან და ბოლოს კიდეც დაამარცხა მისი ჯარი მაღაროში, მოუკლა შვილი და თვითონ იგი სინახულამდინ მიიყვანა და მერე მისცა ნება წასულიყო იმერეთში.—

თეიმურაზი ძალიან შევიწროებაში ჩავარდა. ერთი ის უკლავდა გულს, რომ თვითონ აღარ იყო მეფედ კახეთში და მეორე ის, რომ მისი სამშობლო სპარსელებს ჩაუვარდა ხელში ძნელი წარმოსადგენია ესლა ჩვენთვის ის სულის გრგვინვა, რომელსაც ითმენდა თეიმურაზი. ამან არ იცოდა, თუ რა საშუალება ესმარა მამულის გამოხსნისათვის მტრების ხელიდგან. ერთი რუსეთზე ჰქონდა დიდი იმედი და იქეთგანაც მაგდენი არა გამოდიოდარა. ამ ნაირი მდგომარეობა თანდა-თან ფესვებს იდგამდა და საშუალება ამის აღმოფხვრისათვის კი არ სად ჩნდებოდა. რომ დაატყო თეიმურაზმა გამოუსვლელობა ამ მდგომარეობიდგან, ადგა და ისევ რუსეთს მიჰმართა. 1648 წ. თეიმურაზმა კიდევ გაუგზავნა ალექსი მიხეილის ძეს ელჩები. ესენი მივიდნენ მოსკოვში 1649 წ. *) და მიართვეს ხელმწიფეს თეიმურაზისაგან გატანებული წერილი. ამ წერილით კახეთის მეფე ატყობინებდა თავის უბედურებას და სხვათა შორის უცხადებდა რუსეთის ხელმწიფეს:

---

*) ნახე «*Исторія Соловьева*» *т. 12, 267 ст.*

ეროვნული ბიბლიოთეკა

«მე მსურდა გამომეგზავნა შენთვის ჩემი შვილის-შვილი ნიკოლოზი; *) მაგრამ როგორც შეიტყეს ეს ამბავი ყიზილბაშებმა, მაშინვე შემოადგნენ ჩემ სამეფოს სამივე მხრით და დაუწყეს ბრძოლა. მთა-მთა გამოგზავნა ამისი არ შემიძლიან, ხოლო რაც შეეხება შამახიას, ამაზე არ გამოუშვებენ ყიზილბაშები» ამ წერილის ძალით 1650 წ. ალექსი მიხეილის ძემ გამოგზავნა საქართველოში ელჩები ნიკიფორე ტოლჩანოვი და ალექსი ევლევი. ესენი მოვიდნენ საქართველოში ქართველების ელჩებითურთ და მიართვეს ალექსეი მიხეილის ძისაგან გამოტანებული საჩუქარი თეიმურაზს: 82 კვერნის ტყავი მეფისთვის იყო და 18 ი კიდევ მისი ერთგული კაცებისათვის. მაგრამ თეიმურაზი ძრიელ უკმაყოფილოდ დარჩა ამ საჩუქრით და აი რა უთხრა რუსეთის ელჩს ტოლჩანოვს: «უწინ ოცი ათასობით მიგზავნიდნენ მეფოვასს ტყავებს, ახლა კი არა გამოუგზავნიათ რა ჩემთვის?» ამაზე ნიკიფორე ტოლჩანოვმა მიუგო, რომ იმისთვის არ გამოუგზავნა დიდმა თავადმა არც ფული, არცა რა სხვა, რომ მან არ იცოდა, თუ სად იყო, ან სად ცხოვრებდა თეიმურაზი შემდეგ კახეთის მოკლებისა; ხოლო როცა შეიტყობს შენს ერთგულებას და სიმართლეს, მაშინ უწინდელზე ბევრს წყალობას მოგცემს. შემდეგ ამ ლაპარაკისა რუსეთის ელჩმა გამოუცხადა, რომ ნაბრძანები აქვს წაიყვანოს მისი შვილის-შვილი ნიკოლოზი. თეიმურაზმა ჰკითხა: მისცემს მას დიდი ხელმწიფე ცოლად თავის დას? ელჩმა ამ კითხვაზედ პირდაპირ პასუხი ვერ მისცა და უთხრა მას: **) «მაგაზე ჩვენ ნაბრძანები არა ფერი გვაქვს; მაგისთანა დიდი და ჩუმი საქმე ღვთის და დიდი ხელმწიფის გარდა ვის შეუძლიან იცოდეს».—ელჩმა გამოუცხადა

---

*) ზევით ახსენებდა თეიმურაზ, როგორც შევნიშნეთ, გიორგის, და აქ კი ამბობს ნიკოლოზზე.

**) ნახე *История Соловьева*, იქვე.

თეიმურაზს სხვათა შორის ისიც, რომ გაეტანებინა თავის პატარა შვილი და თვითონაც თუ ისურვებდა გამგზავრებულიყო მოსკოვს. შვილის გატანებაზე ცივი უარი უთხრა, ხოლო თავის შესახებ უთხრა, რომ მე მაშინ წამოვალ, როცა დრო მოითხოვს, ჯერ-ჯერობით კი ისევ აქ ვიქნებიო.

საზოგადოდ ყველა ეს ლაპარაკი იმით გათავდა, რომ თეიმურაზმა არც შვილი და არც შვილის-შვილი ნიკოლოზი არ გაატანა ტოლჩანოვს მოსკოვში.

იმერეთის მეფემაც ისურვა ყოფნა რუსეთის მფარველობას ქვეშ, რისთვისაც 14 სენტებერს შვილებითურთ ბაგრატით და მამუკათი დაიფიცა, რომ იქნება ერთგული ალექსი მიხეილის ძისა.—ამ დროს ამ მეფესაც ჰქონდა გაჭირვებული საქმე.

1653 წლიდგან იწყობა მოსკოვში მისვლა ჩვენი ბატონის შვილებისა. ამ წელს თეიმურაზმა გამოგზავნა მოსკოვში თავისი შვილის შვილი ნიკოლოზი დედითურთ და ელჩების პირით სთხოვა ხელმწიფეს, რომ მიეღო იგინი თავის მფარველობას ქვეშ, ხოლო მისთვის გამოეგზავნა ზარბაზნების მოწყობილებს, ქვების მთლელები და ექვსი ათასი სალდათი მოეშველებინა სპარსელების პასუხის გასაცემად და სპარსელებთან საომრად მაგრამ რადგანაც ამ დროს გაცხარებული ომი ჰქონდა პოლშელებთან, ამისათვის ალექსი მიხაილის ძემ არ აუსრულა თეიმურაზს თხოვნა. დიდი ხანი არ გამოსულა, რომ რუსეთის ელჩი 1656 წ. მოვიდა საქართველოში და მოუტანა თეიმურაზს საჩუქრები. აი რა სიტყვებით დახვდა ამ ელჩს მეფე: «სპარსეთის მეფემ გამომაგდო ჩემი სამეფოდგან და ეხლა ვცხოვრებ იმერეთში ჩემ სიძესთან, ალექსანდრესთან, მაგრამ ამისაგან მე არავითარი შემწეობა არა მაქვს და ჩემ სამეფოშიაც მტრების გადამკიდე ვერ წავსულვარ. მე ეხლა დედოფლით, შვილის შვილით და ჩემის ამალითურთ მივდივარ მოსკოვში დიდ ხელმწიფესთან, —მე სამასი კაცი გამომყვება».

ეროვნული ბიბლიოთეკა

აქ ღირსია შენიშვნისა შემდეგი ფაქტი: კახელებს და იმერლებს გარდა მთის ხალხნიც ეძებდნენ ალექსი მიხეილის ძის მფარველობას, მთის ხალხნი, რომლებიც სპარსელებისაგან კახეთის დამარცხებამდის თეიმურაზის ბრძანების ქვეშ იყვნენ. აი რას ეუბნებოდნენ ალექსი მიხეილის ძეს ამ ხალხების, ანუ ტომების ელჩები 1657 წ. «დიდმა შაჰმა დაამარცხა ჩვენი მბრძანებელი; რადგანაც ჩვენ ეხლა არსაიდგან გვაქვს შემწეობა, ამისთვის მარტო ღვთისა და თქვენი იმედი გვაქვს».

თეიმურაზმა რომ აღარა და აღარ მიიღო არა ვითარი შემწეობა რუსეთიდგან, რომელზედაც დიდი იმედი ჰქონდა, ადგა და თვითონ წავიდა ბოლოდროს ალექსი მიხეილის ძესთან. ეს გამგზავრდა და სარატოვიდამ გამოუგზავნა მეფეს ბერძნულ ენაზე დაწერილი წიგნი. ამ წიგნით აუწყებდა მას, რომ 8 ოკდომბერს 16 ბერითურთ და თავის კარის კაცებითურთ ზღვით მოვიდა ასტრახანში. ეს წიგნი გვიჩვენებს სხვათა შორის ადგილს, სადაც მგზავრობის დროს დაჭირება გამოუვლია თეიმურაზს. სხვათა შორის ამბობს მეფე, რომ მოსკოვის კარის კაცებმა არ მისცეს ნება წამოსულიყო ზამთრითვე მოსკოვში. ეს გამოვიდა ასტრახანიდამ 7-ს მარტს 1658 წ. და მივიდა სარატოვში აპრილის 11-ს, აღდგომა დღეს, და ითხოვა ნების დართვა საჩქაროდ წასვლისა მოსკოვში, რომ მიესწრო მეფისათვის, რომელიც საომრად ემზადებოდა 1); ითხოვდა კიდევ, რომ ნიკოლოზი, თავისი შვილის შვილი, გამოჰგზავნოდა წინ. მაისის ორს იმავე წელს მოსკოვში მიიღეს მეორე წერილი თეიმურაზისაგან. ეს წერილი იმეორებს მომეტებულ ამბავს, მინამ პირველი. მაგ. აქ სწერია, რომ მეფე მოვიდა ასტრახნიდამ ცარიცინში. რადგანაც ცხენები და არც ფაშფორთი ჰქონდა თეიმურაზს, თავისი ბარგი ნავებში ჩააწყო და თვი-

---

1) ნახე «*Руководство къ познанію Кавказа М. Селезнева*». აქ უთუოდ შვეციასთან რომ ომი ჰქონდა რუსეთს, იმაზეა ნათქვამი.

თონ მშრალი გზით წავიდა; მაგრამ ზოგი ბარკები (ნავები) დაიმსხვრენ ქვებზე მისლით, ზოგნი კიდევ სრულებით დაიღუპნენ გოლგაში, ამისთვის ითხოვდა თეიმურაზი, რომ ცხენები და პოვოზკები მალე მიეშველებინათ. თვითონ ჩვენი მეფე თეიმურაზი ამავე წელში შევიდა მოსკოვში 1). როდესაც თეიმურაზი გამოეცხადა ალექსი მიხეილის ძეს, ამან სთხოვა, რომ მას დაეჭირა, ანუ შემდგარიყო სამეფო ადგილზე და ფეხზე წამოუდგა. აქ თეიმურაზმა დაუწყო ხვეწნა, რომ ხელმწიფეს მიეცა ხელი საკოცნელად; მაგრამ იმან ხელი არ მისცა და უთხრა: «სახარება ბრძანებს: სადაც შეიკრიბებიან სახელითა ჩემითა ორნი, ანუ სამნი, მე მათ შორის ვარ: და ჩვენ შევწიროთ ღმერთს დიდება ქრისტეს სახელით და პირზე ვაკოცოთ ერთი ერთმანეთს; ეს ამისთვის, რომ შენ ხარ მართლ-მადიდებლის კეთილ-მსახურის სარწმუნოებისა».—«მე შენი დიდებულების მონა ვარ; მე ღირსი არა ვარ მაგისთანა დიდი ბრწყინვალე ხელმწიფის კოცნისა».—«ეგ ღვთის ნებაა, რომ შენ დღეს ჩვენ ქვეშევრდომობაში ხარ—უპასუხა ალექსიმ; მაგრამ შენ ხარ მეფე.—ჩვენი სარწმუნოების და ქრისტეს მცნების ბრძანებით ვაკოცოთ პირზე ერთი ერთმანეთს». მაშინ თეიმურაზმა აკოცა რუსეთის მეფეს. ამ ალერსიან მიღებაზე ვრცლად და პირ და პირ სწერია აგრეთვე არჩილისაგან შედგენილ თეიმურაზის ცხოვრებაში 2). შემდეგ ამ ორი მეფის ერთმანეთის ნახვისა, ალექსი მიხეილის ძის კარის კაცმა ჩილკოვმა მიიღო ბრძანება მოელაპარაკნა თეიმურაზთან.

ჩილკოვის კითხვაზე «რომელი ოსმალების მეფესთან ჰქონდა

---

1) ნახე *Исторія Грузіи*, *Броссе*, *т. 4-ый*, *стр.* 171, *примѣчаніе 6*.

2) ნახე თეიმურაზ პირველის ცხოვრება, შედგენილი არჩილისაგან, 164 გვერდი.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ომი—როდის და როგორ გამოგაგდეს სამეფოდგან და აოხრეს შენი სამშობლო?—უამბო თეიმურაზმა თავისი ომიანობა ოსმალებთან და თავის დამარცხება. მერე ხილკოვმა ჰკითხა ამბავი, თუ როგორ გამოაგდო კახეთიდგან ის შაჰ-ხეფმა უკანასკნელად. თეიმურაზმა როგორც ეს უკანასკნელი თავისი გამოგდება უამბო, ისე წინანდელები. შემდეგ მრავალი კითხვებისა, ხილკოვმა მისცა კიდევ თეიმურაზს: «მისი დიდებულება ბრძანებს გკითხო შენ: რამდენი მხედარია შენთვის საჭირო, რომელ ადგილებზე შეიძლება მათი გატარება და როგორ შორს არიან ადგილები, საზდო საიდგან უნდა ეზიდოთ ჯარისათვის. გარდა ამისა სპარსეთის შაჰი არ უქომაგებს შენს მოღალატეებს?» თეიმურაზმა აი ამის პასუხად რა უთხრა. «საჭიროა კარგი სარდალი 30,000 კაცით; ხოლო საზდო ასტრახნიდგან უნდა ვზიდოთ კახეთამდინ, ხოლო აქ კი საჭმელი ბევრია». რომ ეჩვენებინა რუსებისთვის მათი მოვალეობა—მიეცათ შემწეობა მისთვის, თეიმურაზმა ზემო ნახსენებ სიტყვებს დაუმატა: «როდესაც მე მივეც ჩემი თავი დიდი ხელმწიფის მამას მიხეილ თევდორეს ძეს, მაშინ მან გამომიგზავნა გრამოტა ოქროს ბეჭდით. გრამოტაში სწერია, რომ დიდი ხელმწიფე დამიფარავს მძვინვარე მტრებისაგან; შემდეგ იმისა მივიღე ბევრი სხვა გრამოტები, რომ გამომეგზავნა ჩემი შვილის შვილი,—მე შვილის-შვილი გამოვგზავნე და აი ეხლა მეც თვითონ მოვედი, რომ მისმა დიდებულებამ მაბოძოს მხედრები».

თუმცა გონივრული მიზეზები ჰქონდა თეიმურაზის თხოვნას; თუმცა გამოუსავალ მდგომარეობაში იყო საქართველო; თუმცა რუსეთმა მისცა პირობა თეიმურაზს დაეფარა მტრებისგან; მაგრამ გარემოებები ისე იყვნენ მაშინ დახლართულნი, რომ რუსეთმა არ მისცა შემწეობა თეიმურაზს. კარის კაცმა ტრუბეცკოიმ გამოუცხადა თეიმურაზს: მეფეს ომი აქვს პოლშის და შვედების კოროლებთან,—მხედრები ეხლა საზღვარზე არიან; ასე რომ შენ ურიგოს არ იქ, რომ წასვი-

დე შენ სამეფოში და უწინდელსავით იმეფო. ხოლო როგორც კი მისი დიდებულება მოარჩება თავის მტრებს, მაშინ შენ შევიწროებას და აოხრებაში ყოფნას არ მოინდომებს და გამოგიგზავნის ჯარს; ხოლო ბრძანა ახლა მოცემა 6000 მანეთისა და სამი ათასი მანეთის ღირებულნი კვერნის ტყავები». ამ გვარმა პასუხმა თავზარი დასცა თეიმურაზს და უთხრა ტრუბეცკოის გულ-დამწვარის სახით: «მისი დიდებულების ბრძანებით მოვედი აქ და მაშინ მე ნათქვამი არ მქონდა, რომ ჯარი სამძღვარზე იყო; თუ მცოდნოდა, რომ ხელმწიფე ჯარს არ მიბოძებდა მტრებისაგან დასაცველად, მე არაოდეს აქ არ მოვიდოდი».—რომ დაინახა უსარგებლობა თავის სვეწნისა, თეიმურაზმა ითხოვა როტის კაცებს გაეცილებინათ.—ტრუბეცკოიმ უთხრა: «დიდი ხელმწიფე უბრძანებს როტის კაცებს თქვენ გაცილებას და შაჰსაც მისწერს, რომ მან აღარ შეგაწუხოს, საქართველო თავის ქერქში დააყენოს». ამ უკანასკნელ აზრზედ მშვენივრად უპასუხა თეიმურაზმა: «წინათაც სწერდა მისი დიდებულება ჩემზედ შაჰს, მაგრამ მაინც შაჰი ჩემს სამეფოს იკლებდა და მე მაგდებდა ჩემი მამულიდამ». გულ-დათუთქული წამოვიდა თეიმურაზ პირველი რუსეთიდგან, რომელზედაც დიდი იმედი ჰქონდა მას, სულ თვალწინ უდგებოდა უბედურება თავისი და საქართველოსი და უკვდებოდა გული. აქამდის კიდევ იმედი ჰქონდა, რომ დღეს თუ ხვალ, როგორმე მიეშველებოდნენ რუსები და თავის სამეფოს გამოიხსნიდა სპარსელების დამოკიდებულებიდგან; ეხლა კი ეს იმედიც გაჰქრა მისთვის. მან ცხადად დაინახა, რომ რუსეთს არ შეეძლო მაშინ იმისი გამოხსნა მძვინვარე მტრების ხელიდგან . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . .

. . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . .

ამ აზრს ყველა შეჰნიშნავს, ვინც კი კარგა ჩააკვირდება მაშინდელ მდგომარეობაში. თეიმურაზი 1659 წელში გამოვიდა მოსკოვიდგან.

ეროვნული ბიბლიოთეკა



თეიმურაზის რუსეთში ყოფნის დროს საქართველოში დიდი ცვლილებაები მოხდა. კახეთი ხელ-მეორედ ჩაუვარდა ხელში მმართებელ სალიმ-ხანს 1657 წელს, ქართლის მეფის როსტომის მოხუცების გამო, რომელიც განაგებდა კახეთს ცხრა წელს. 1658 წ. გარდაიცვალა მეფე როსტომი და ქართლის ტახტზე ავიდა შაჰ-აბბას II-ის ნებით მეფის ნაშვილები თავადი მუხრან-ბატონი—ვახტანგი—თეიმურაზის შვილი. თეიმურაზი, შემდეგ უსარგებლო მოგზაურობისა რუსეთში, მოვიდა იმერეთს, სადაც დაჰყო 1661 წლამდის. სახსარი რომ აღარ საიდგან ჰქონდა მამულის გამოსხნისთვის მაჰმადიანების გავლენიდგან, თეიმურაზმა მოიფიქრა ისევ შერიგება შაჰ-აბბას მეორესთან—ეგონა, რომ იქნება ამით როგორმე ისევ თვითონ დამჯდარიყო მეფედ კახეთში. ამან მიჰმართა ვახტანგს და სთხოვა შუამავლობა გაეწია შაჰ-აბბასთან, რომ მას ეპატიებინა მისთვის დანაშაულობაები. ვახტანგმა უშუამავლა და შაჰის ნების დართვით მოხუცებული თეიმურაზ I-ი წავიდა სპარსეთში. აქ მოეწია მოხუცს ახალი განსაცდელი. შაჰ-აბბას II-ემ ალერსიანად მიიღო თეიმურაზი; მაგრამ ბოლოს გამოუცხადა, რომ მას მიეღო მაჰმადიანების სარწმუნოება. თეიმურაზის უარის თქმით და მარხვის არ დარღვევით განრისხებულმა შაჰმა შეასხა მას პირში ღვინო და გაგზავნა საპყრობილეში—ასტარბადში 1662 წ., სადაც ბერად შეიმოსა თეიმურაზი და ერთის წლის შემდეგ მოკვდა. აი ამნაირად მოაკლდა სპარსეთში სიცოცხლე იმ საქართველოს მეფეს, რომელსაც დიდი იმედი ჰქონდა რუსეთზე და ამ იმედისაგამო გულამაყად ექცეოდა თავის მტრებს.

ამით ვათავებ ამ სტატიას და ვიმედოვნებ, რომ ესეც, რაც აქ სწერია, საკმაოა ფხიზელი ტვინის პატრონისთვის, რომ ნათლად წარმოიდგინოს ერთი ის, რომ კაცობრიობის ცხოვრების მიმდინარეობაში ოღრო-ჩოღროებს ჰბადებს კაცის ლტოლვილება მისდამი, რომ მარტო ის იყოს ქვეყანაზედ და ყველას სხვა კაცი, ყველა სულიერი

არსება ემორჩილებოდეს მას,—ლტოლვილება, რომლის განცხოველე-ბას ხელს უწყობს გონებითი ძალის დაცემას; მეორე ის, რომ რადგანაც საქართველოს ეხვია გარეშემო ხალხი, რომლის გონებითი განათლება—რიგიანი ეკონომიური მოსაზრება ძრიელ დაბალ სა-რისხზე იდგა, ამისათვის ძნელი საქმე იყო, რომ ეს (საქართველო) თავის ქერქში დაეყენებინათ. საქართველოს არ აძლევდნენ მოსვენებას ოსმალები და სპარსელები. ესენი ცდილობდნენ საქართველოს ჩაყლა-პვას და საქართველო თავის მხრით ცდილობდა არ დაეკარგა თავისი ხალხოსნობა—თავის მყოფობა და ამის მიზეზით ხან ვის სთხოვდა შემწეობას—ხან ვის......... ვიდრე სულ ბოლოს რუსეთს არ მიჰმა-რთა შემწეობისათვის. . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . .

. . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . .

ნ. ცხვედაძე.

1868 წ. 28 ივნისი.

მოსკოვი.

## პასუხი.

რას მომტეხიხართ შეცვლის ხმებო?
რაგინდა ჩემგან გლოვისა ზარო?
ჩამომეხსენი შენც მწარე მოთქმავ,
შემშრი თვალზედ ცრემლისა ღვარო!
მე ჩემს ენასა და ჩემსა გულსა
აროდეს თქვენს ხმებს არ დავამონებ,
და მხოლოდ მხნე ხმას, გულ გასაგმირსა,
ჩემს უოველს ლექსსა ვამღერებინებ....
არ მივცემ ნებას მე ჩემსა გულსა,
რომ დამალულმა აშოივნესოს,
არ მივცემ ნებას, რომ ბნელში მყოფმა
მან სიხარულით გაიხარხაროს.
მისი ძახილი, მისი გულის თქმა,
მისი შეძლევა და სამღერალი
უნდა უოველთვის იყვეს ერთი ხმა,—
ერთი და მუდამ დაუვიწყარი,
უნდა გაბედვით, თავგამეტებით
შესძახდეს კაცთა სახელის დადგმას,
უნდა უოველთვის ომახიანად
წარმოიტყოდეს მართალსა სიტყვას;
უნდა იმედით სდუღდეს მის კილო
და მისი სიტყვა ძლიერებითა
და თვის სიმტკიცით განამხნევებდეს

შეშინებულთ და დაძინებულთა,—
რომ ამცნოს ამით თვის მებრძოლს მძლავრსა,
რომ მისგნით იგი არ დამამულა,
რომ მისთ ჯაჭვთა და ბორკილის ხმითა
ჩემში სიმხნევე გაღვიძებულა;
ამცნოს მას მძლავრსა, რომ მას აროდეს
მხნე გული ჩემი არ ჭმოხნებია;
ამცნოს იმას, რომ ჩემი სიმართლე
არაოდეს არ დამვიწყებია;
ამცნოს მას მძლავრსა, რომ მისი ძალა
მხოლოდ მიმატებს მე მარღვში ღონეს,
და უსამართლოდ მისი მოპყრობა
თან-და-თან მე თავს მამეტებინებს!

ზურაბ მოენიძე.

1871 წ. ივნის·

## ქს.

რომ ქვეყანა სისხლით ირწყვის
და ბოროტი სთქამს ქვეყანას,
რომ სიმართლეს ფეხქვეშ სთელვენ,
მართალთ ჰბჯენენ გულში დანას,—
მე ნუგეშათ ვხედავ ერთს კაცს
მძლავრის ხელით ბოროტის მსრველს:
ის მოხუცი ჩვენ ჭაბუკთა
თვისის ძალით გულს გვიმხნევებს.
ის გვიჩვენებს, რომ არ ჰშვენის
დავრდომა და შიშის ზარი,
რომ რაც უფრო საქმე სჭირდეს,
უნდა ვიყვნეთ გულმაგარი.

ზურაბ მოენიძე.

1871 20 თიბათვეს,

---

# ქიტესა.

(ამბავი სახელმწიფო სოფლის ცხოვრებიდამ).

## I.

მოვიდა ფოჩტის ფულის გაწერის დრო. ჩვენ სოფლებში ფოჩტის ფულს ისე კი არა ჰკრებავენ, როგორც არის გაწერილი კაზიონი პალატიდამ (სულზედ, ან კომლზედ ამდენი და ამდენი). სოფელში თავისებურად ანაწილებენ ამ ფულს მცხოვრებლებზედ. სოფელი არის გაყოფილი ოთხ ნაწილად: ლიტრის კაცი, სამი ჩარექისა, ნახევარ ლიტრისა და ჩარექისა. ყველაზედ მეტს იღებს ლიტრის კაცი, მერე სამი ჩარექისა, მერე ნახევარ ლიტრისა და შემდეგ ჩარექისა. სახელმწიფო სოფელს ბრიყვეთიანში სცხოვრებს სახელმწიფო მამულზედ მდგომი გლეხი ოცი კომლი და უმამულო კაცი თორმეტი. კაზიონნი პალატის განკარგულებით და კანონის ძალითაც უმამულო კაცზედ ნაკლებია და მამულიანს კაცზედ მეტია ხარჯი. მაგრამ მამულიანი ხალხი ბრიყვეთიანისა ამას არა ჰხედავდა თავის სასარგებლოდ და აღებინებდა უმამულო ხალხსაც იმ ხარჯს, რასაც თითონ იღებდნენ.

აქედამ იწყობა ჩვენი ამბავი.

ფოჩტის ფულის გასაწერად შეიყარნენ ბრიყვეთიანის მოხელეები და ხალხი. მოხელენი ბრიყვეთიანისა იყვნენ ამორჩეულნი სულ მამულიანი ხალხიდამ. ამორჩევაში თუმცა ბევრს ეცადა უმამულო ხალ-

ხი, რომ თავის კანდიდატებიც გაუყვანათ, მაგრამ მაინც მამულიანებმა დასძალეს, რაკი იმათ უფრო მეტი ხმა ჰქონდათ ამათზედ.

— მამასახლისო და სოფლის ჯამაათნო!—დაიწყო ერთმა უმამულო კაცთაგანმა, ბერო ბურტულაძემ, რომელსაც გათავდა ფულის გაწერა და ესენიც მამულიანებში ჩააგდეს:—ეს რა ამბავია, რომ აგრე თქვენ სულზედ ხელს იღებთ და ჩვენ ასე უსამართლოთა გვღუპავთ! არა, თითონ ი კამალარიაში არა სწერია, რომ უმამულო კაცს სამ მანეთზედ მეტს ნუ გამოართმევთო. რატო თქვენ ღმერთ არ შეჰხედავთ, შვილო. იქნება გეგონოთ თქვენ იქით სამართალი არ სად იყვეს. თავებ დავისოცავთ და ჩვენი ცოცხალი თავით კი თქვენთან ხარჯს არ გავიღებთ.

— რჯულსაც გაგაგდებინებთ და ისე გაიღებ,—უპასუხა ერთმა მამულიანმა გლეხმა, თევდორე ცეტიაშვილმა:—რასაც, შვილო, წელიწადში შენ არაყ გამოხდი, იმისი ფასი ვის რა გვაქ აქა.

— არა, მე რაღა მაქ, თქვე უღმერთოებო! თქვე უღმერთოებო!—დაიწყო გულ ამომჯარმა ქიტესა ნაცარკვერაძემ:—თქვენ ღმერთი გაქვთ! აგერა, შვილო, ერთი თვე იქნება ჩემ სახლში თბილი საჭმელი არ გაკეთებულა, ამოდენა წვრილშვილი კაცი ქვეყნის სამადლოთ გამოვდივარ... არა, ღმერთი გაქვთ, თქვე ურჯულოებო, თქვე თათრებო, თქვენა....

— შენ, ეი! ჯღანი-ჭამია!—შეუტიეს ქიტესას ოთხთა ძმათ ცეტიაშვილებმა:—შენ ისიც შეგრჩეს, რომ შენმა გოგობიჭებმა ლამის ამოაგდონ ჩვენი ბოსტანი, რომ საბუდარში კვერცხებს აღარ გვიყენებენ! ასე გაგიგლით მაგ ცხვირსა, რომ სულ ბუზანკალი გეხვეოდეს.

— ვისა! ვის გაუგლით ცხვირსა, თქვე არეულო ძაღლებო, თქვენა!—უცებ მოადგათ თავს ქიტესას ცოლი მარინე:—თუ კაი დედი თქვენი შვილებისართ და ხელ ახლებთ. თქვენ იქნება თქვენი ამარი დედაშვილები გეგონოთ ვინმე...

— დედაკაცო! შენ აქ რა გინდა, აი დაგწვეველა ღმერთმ! არა

შენი საქმეა... შენ ვინა გკითხავს. წადი დაიკარგე მეთქი შინა:—შეუტია ქიტესამ და სხვებმაც მარინეს.

— არა, ვინ არის აშარი დედის შვილი!!—მოადგა თევდორე ცეტიაშვილი მარინეს:—არა, ვინ არი ერთი მითხარი... არა, ვისა ჰხედავ აქ შენ ტოლსა, შე ბოდანის ცოლო, შენა... ვინ არის!—და თევდორე თან და თან იწევდა მარინეზედ. აქ უცებ დატრიალდა ჰაერში ერთი კეტი და გადმოუვიდა თევდორეს თავიდამ შამანი.

— მომკლა ამ ოჯახ დაქცეულმა!—დაიძახა თევდორემ და დაეშვა ძირს.

მინამ სხვები მოვიდოდნენ გონზედ, თევდორეს ძმები ეცნენ მარინეს და ქიტესას და ერთი თვალის დახამხამებაზედ იდეს ქიტესა ქვეშ, მაგრამ მარინე კი ვერ წააქციეს და ეწეოდნენ რაც შეეძლოთ იმას, უიმისოთაც ჩხუბში დაგლეჯილს, თმებს. ქიტესას წაეშველნენ გასაშველებლად უმამულო კაცები, მაგრამ ცეტიაშვილის სახლიკაცებმა, რომელნიც იყვნენ შვიდ კომლამდის, ეს წასარჩლებად მიიღეს და დაუშინეს ამათაც კეტი. მაშინ იმათაც გამოიღეს ხელი. გამოიღეს იმათ ხელი და ჩაერივნენ ამაზედ სხვა მამულიანებიც, რომელშიაც მიიღეს მონაწილეობა თითონ სუდია—მამასახლიმაც. პატარას ხანს გაიმართა ძალიან კეტის ტრიალი, მაგრამ რაკი იგრძნეს ცუდი ძალა მრავალის კეტით ცემისა და თვისი უძლურება, უმამულო ხალხმა ცოტ-ცოტათი დააძვრინეს თავი ჩხუბს და მიიმალ-მოიმალნენ საბძლებსა და სხვა თავის მისაფარებელ ადგილებში.

—გამიშვით, გამიშვით!—იძახდა მარინე, რომელიც ახლაკი ამოქდოთ მუხლქვეშ ცეტიაშვილებს:—თქვენი ცოლების ლეჩაქს დაგხურამთ... თქვე წმინდი გიორგის გიჟებო, თქვენა! გამიშვით!—და როველარას აწყობდა, ხელებ და ფეხებ გაკავებული მარინე, იგბინებოდა სიბრაზით.

პატარას ხანს უკან მარინეც და ქიტესაც მთლად სისხლში მოსვრილი და გონება მიხდილი მიჰქონდათ ჭილობებით სახლში.

მეორე დღეს ორივენი ხელებ გაკრული და თავშესხვეულები ხოფლის მოხელეებმა ჩაყარეს სამი დღით სატუსაღოში და დაადეს ხუთი მანეთი.

2.

რამდენიმე დღეს უკან შეიყარა ბერო ბურტყულაძისას უმამულო ხალხი.

— დედაკაცო, აბა ერთი თითო ყანწი არაყი მაართვი ამ ხალხს,—უთხრა ბერომ თავის მეუღლეს.

თითო ყანწის მაგივრად ყველამ მიირთო ორ-ორი და ზოგმა მესამეც მოითხოვა. ქიტესა ნაცარქვერაძემ მოითხოვა მეოთხე და ითხოვა პატარა ხახვის კვნიწაც.

— ხახვი ძაან კარგია არაყზედ,—დაუმატა იმან,—პატარა მჭადი, ან ნაცარქვერი ხო არ გახლდებათ ამ ხახვთანა.

ქიტესას მოერთვა პატარა კეცის მჭადის ნატეხიც.

— ძაან კაი კეცის მჭადი არ იცი, ნათლიდედ, შენა! მე შენ მოგახსენო, ეს თუმცა გუშინდელი გამამცხვარია, მაგრამ ახალში ვერ გამოარჩევს... კაი რამა მე არ ვიცი და არა ვხდი არაყს, თორემ სულ ვერას გავყიდდი, მე შენ მოგახსენო... ახლა და ახლა ძაან შემიყვარდა ეგ გასატიალებელი.

— ახლა რა უნდა ვქნათ ე რო ამითანა ანგარიშებია?—დაიწყო ბერომ:—უსამართლობა იქნება, კაცო, და ამითანა. კამალარიაში რა გვიწერია და ჩვენ რას გვახდენინებენ. ცეტიაშვილთან გაიღე ხარჯიო! აი, დიდება შენთვის ღმერთო! კაც რო ღმერთი გაუწყრება აბა ეგ არი. ცეტიაშვილ თხუთმეტი დღის ნათუზარი კარებზედა აქვს გადა-

ჯიმული, და მე იმასთან ხარჯი როგორ გავიღო? ქრისტიანობა არ არი!...

— არა, შვილოსა,—დაიწყო ახლა მოხუ მწყერაძემ:—ჩვენ თუ სამართალს არ მივმართეთ არ იქნება. ჩვენ, შვილო, თუ მაგათ უყუ-რეთ—მაგათგან ხეირი არ იქნება. მამულსაც ეგენი სჭამენ და არც ხარჯი გაღება უნდათ. დღე თითო დღის მამული მოგვცენ და ჩვენც მაგათან ყაბული გვაქ.

— წორეთ სამართალს უნდა მივმართოთ, მეტი ჩარა არ არი. ჩვენ ასე გულხელ დაკრეფილი ჯდომა არას გვარგებს—დაიწყო რამ-დენიმე ხმამ.

— ახლა რომ მივმართოთ, დროით უნდა მივმართოთ, თორემ ხაცაა ზეკუცია მოვა,—დაიწყო ისევ ბერომ.

— დროით უნდა მივმართოთ, მაგრამ რომ მივმართოთ, ვინც წავა იმას ხარჯი არ უნდა? რითი წავა, შვილოსა, რომ ქხლა გროში არსადა გვაქვს, რომ მივცეთ ვინც წავა? ვალსაც ველარ ვიშოვნით—ამ დამშეულმა წელიწადმა ისე დაგვღუპა. აი ერთი კვირა მარტო მხა-ლით გამოვდივართ, მედა ჩემმა ღმერთმა,—სთქვა ერთმა.

— ვინც წავა კი არა—ყველანი უნდა წავიდეთ,—დაუმატა რამ-დენიმე ხმამ:—ერთისა და ორის წასვლით როგორ იქნება.

— მე და ჩემმა ღმერთმა!—გაიმეორეს სხვებმა:—თუ წავალთ ყველანი უნდა წავიდეთ, რომ უფრო გაგვიკითხამენ. ერთი რო წავი-დეს და ორი—იტყვიან, რომ ხარჯის გაღება ეზარებათ და ტყუილათ დაეთრევიანო. ბევრი რო ვიქნებით—ბევრ სხვა ანგარიში აქ.

— წორეთ! ყველანი უნდა წავიდეთ, – გაიმეორეს თითქმის ყველამ ერთ-ხმივ.

— წავიდეთ კი, ყველანი წავიდეთ,—სთქვა რამდენიმე ხმამ,—მაგრამ რითი, შვილოსა, რომ გავტყავდით ამ შიმშილობაში.

— რითი, და ასე ვთქვათ ერთი ხუთი ექვსი დღე დავრჩეთ

გზაში, თითომ ხუთი მჭადი გამოვიკრათ კალთაში და ისე წავიდეთ. მა ასე ხო არ გაუშვებთ საქმესა, უფრო ცუდი არ იქნება, რო ზე-გუცია მოგვადგება და არა გვექნებარა, რო მივცეთ.

— მაშ დღესვე წავიდეთ,—გაიმეორეს ყველამ ერთხმივ, და დაიშალნენ.

— აბა, დედაცო,—ეუბნებოდა ქიტესა, დაბრუნებული ბეროდამ, მარინეს:—არც ახლა იშოვა მჭადებს? უნდა წავიდეთ კამალარიაში, და ასე მშიერი ხომ ვერ ვივლი?

— სად ამოწყვეტაში უნდა გიშოვნო და სად დანელებაში? შენ კიდეც გასეოქილხარ და აქ ქულფათი ბავშვები აგერ ერთი კვირაა ცარიელ მხალზედ გამამყავს. ე მხალიც გაწყდა ამ გვალვიან გაზაფხულზედ.

— ვიღუპებით მეთქი, დედაკაცო, ქრისტიანი ხარ — დამიჯერე, აი, დიდება შენთვის ღმერთო! ამითახა რამე იქნება! დაღუპვა არ იცი, შე დასაღუპავის შვილო!

— შენ დაგღუპოს ჩვენმა წმინდა გიორგიმ და ამოგაგდოს, რომ შენსახვის თავი კი არა გაქვს და ამოდენა ცოლშვილის ცოდო კი მოიხვიე თავზედა.

— რა ვიცოდი, თუ ასე იქნებოდა, შე ქოფაკო, შე სულამძაღლებულიშვილო, შენა! გაჭიმე, როდის იქნება ერთი თქვენ თავ მოგრჩე, რომ ერთი კუჭი მაინცა მქონდეს გამაძღარი!.. რომ მოკვდე უნდა იშოვნო ერთი ხუთიოდე მჭადი საცა იყვეს, თორე რჯულის მადლმა ისე გაგისდით საქმესა, რომ თქვენი კბილითა სჭამდეთ ერთმანერთს... ზეკუცია იცი? გეყურება?... შიგ კრიჭაში ჩაგიყენებენ.

— რა ვქნა და რა დანელება უყო ამ ამოსაგდების შვილსა,— დაიწყო მარინემ თავისთვის.—შენ მითხარ, შე დასანელებელო, სად გიშოვნო ამისთანა ყისმათში, რომ აღარავის რა აბადია, და მერე ისე გაწყერი?

ეროვნული ბიბლიოთეკა

—როგორ სად მიშოვნო! დღეს ისეთი კეცი მჭადი ჰქონდა ბეროუას ცოლ მაგდანასა, რომ იმითანა მე გამტკიცული ბურიც არ მინახამ. აბა იმას უთხარი, თუ არ მოგცეს... შენ არა გაქრა, თორემ ის სარიტიანი ადამიანია—იმას ყველაფერი აქ

— სარიტიანი, შენმა ამობუგვამ, მზითევში მოჰყოლია. აბა შენც მიყიდე საარაყე ქვაბი, თუ იმაზედ უარესი ვინმე იქნება. ერთი ძროხა გვებადა—ისიც შიმშილით მოკალი ამ ზამთარინდელი ზამთარი.

— დედაკაცო! რატო არ დადგები, შე ღვთის მტერო და ღვთის გარეგანო, შენ ქერქში? რაზედ შემამაკვდები, ან რაზედ მამაკვდეიხებ თავსა?.. მე ჩემი ნებით მოვკალი, რომ მოვკალი!?.. არა რა უნდა მექნა, რატო არ იტყვი, შე ყელ ქოროტიანო, შენა! რამტენგან ვითხოვე საჭმელი, რო გერ სად ვიშოვნე.

— რატო მუშაზედ არ იშოვნე, ხელები დაგემტვრეოდა, რომ საჭმელი მუშაზედ აგელო? ყველაფერი შენი უთაურობით არი...

— აჰაი! აჰაი! გველო, გველო!.... შე ცოფიანო, შენა! ხო ხედამ, შე ყელ-მაღლო, შე სათვალაკ-მაღლო!.. გაჰიმე!... აბა სად და მაქვს ჩემთვის დრო... ამ ზამთარ ექამდინ რომ გვებეთ—სიმინდსა და ასლს სულ მუშაზედ არ ვიღებდი, მარა შენი მზითვის ბაჯაღლოებითა ვყიდულობდი, თუ?... ასლა მთელი მუშა დრო სულ სხვის კარეთად უნდა ვიყვე... ასლა ამ ზამთარ რიღათი უნდა გამოგვებოთ, ჰა!... ჰაი, შენი გამომცემისი... შენი!...

— ვაი შენ და დანელვება, რომ არ გიყურებდეთ თვალითა!— აქ მარინემ წამოავლო ხის ჯამს ხელი და გასწია.

— მაგდანო, მაგდანო!—შესძახა მარინემ ბეროს ცოლს.

— შემოდი, ადამიანო, რა შორიდამ იძახი,—გამოსძახა შიგნიდამ მაგდანამ.

მარინე შევიდა.

— ვიშ, გენაცვა, მაგდანო! ვიძახი კი არა, და აი ჩვენი წმინ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დი გიორგი მადლმა, რომ პირი მერცხვინება, რომ ისევ შენთან მოვ-დივარ..... რა ვქნა და რა დანელება უყო იმ ჩემ კაცსა. ი, რაღაც კამალარია აიტეხეს, იქ მიდიან და აგერ ერთი კვირაა ჩვენ სახლში ნამცხვარი არა ყოფილარა... რო გინდოდეს ერთი თითის წება გამოსაცხობი, რაც თქვენგან ადრევე ფეტვის ფქვილი არ წაიღეთ, მას აქეთ ჩვენ სახლში აღარ იპოვება. ერთი, შენ გეთაყვანოს ე მარინეს თვალები და შენი ორი შვილის მზესა, ე ჯამით ერთი რისაც ფქვილი უნდა იყვეს — ნუ დამიჭერ და რაზედაც უნდა დამავალე, თუნდა სამი დღე მოგეხმარები, გინდა არაყის ხდაზედ, გინდა რაზედაც მეტყვი.

—უი, შენმა მზემაცა და შენი სახის შვილებიც არ დამეხოცებიან, რომ ეს არის ეხლა, ვინც კამალარიაში მიდიან, ხუთმა ექვსმა, რაც პატარა ქრთილის ფქვილი იყო, ისიც წაიღეს, ღმერთი შვილებს არ დამიხოცავს, თორემ ერთი ჯამი რაც უნდა იყვეს—რა დასაჭერია.

—რა უყო და რა წყალში გადავვარდე,—დაიწყო მარინემ დაღონებულმა. — ე წვრილი შვილები რომ არ მეგულებოდეს აქამდინ როგორც იქნებოდა ჩემს თავს მოვარჩენდი ამდენი ცოდვის ყურებასა. მაგრამ რა უყო, რომ უპატრონო შვილები დამრჩებიან.

— აი, თუ გინდა ერთი ორიოდე ჯამი კიდევ არის საარაყეთ შენახული ქატოები ერთმანერთში არეული და თუ როგორმე მოიხმარებ,—როგორ დაგიჭერ ერთი, შენი შვილების მზესა.

— ვიჰ, ღმერთმაც გიშველოს! გინდ ქატო იყვეს, რაც უნდა იყვეს, ოღონდ კი ნამცხვარი ერქვას, რომ კაცი შიმშილით არ მოკვდეს, თორემ ვინ დასდევს შენ გენაცვალე, მერე ხმითანა დროში.

აქ მარინემ სიხარულით მიიწყო: სიმინდისა, ფეტვისა, ასლისა, ქრთილისა და სხ. ქატო, რომელიც უფრო ჭგავდა სხვილად დახერხილს ხის ნახერხს, ვიდრე ხორბლეულის რისამე ქატოს.

მარინემ არ უთხრა ქმარს შინ, რომ სამი ჯამი ქატო მოიტა-

ნა. იმან ჩუმად გამოაცხო ამ ქატოს ნაცარკვერები, ნახევარი მისცა სამგზავროდ ქმარს და ნახევარი ჩუმად გამოუზოგა თავის პაწაწა შვილებს, რომელთაც ნამცხვარის დანახვაზედ შეჰქმნეს ერთი სიხარული და ხტომა.

— დედი! — დაუძახა პაწაწა გოგომ მარინეს: აი სვიმონა ამობს, რომ ხორცი უფრო გემრიელი არი ამ პურზედაო. ამაზედ გემრიელი ხორცი როგორ იქნება?

— იქნება, ღმერთმანი! — გუშინ დიაკვნიანთ ძაღლს მოეტაცნა ხორცი, მე გავაგდებინე — და ისეთი გემრიელი იყო, ისეთი, რო, რო როგორც თაფლი იმითანა, დაიწყო პატარა სვიმონამ!

— ჰაი, შე სუნაგო, შენა! — დაუწყო მარინემ ჯავრობა სვიმონას: — მე არ გითხარი, რომ ღვდლიანთკენა და დიაკვნიანთკენ ნუ გაივლი მეთქი? ჯერ კიდევ მინახვივხარ იქით — ემა სუნაგ ცხვირს მოგიგლი.

პატარა ხანს უკან მარინეს ბავშვები დაერივნენ თავის ტოლ ბავშვებში და შეჰკვეხოდნენ: «ასეთი პური გვქონდა ჩვენა, როგორც გამტკიცული. ჩვენმა მარინემ გამოგვიცხო. იცი, ხვალაც გვექნება».

— ჩვენც გამოგვიტანეთ ცოტა, — ეხვეწებოდნენ მწარედ შიმშილისაგან მიხრწნული ბავშვები.

### 3.

მგზავრებმა ჩაიწყეს ხუთ-ხუთი ზოგმა მჭადი, ზოგმა სხვა ნამცხვარი და გაუდგნენ გზას. მესამე დღეს ისინი იყვნენ თბილისში და იმავე დღეს ეტუზნეს კაზიონნი პალატის კარებზედ.

— ვინ გინდათ? — ჰკითხა ამათ სტოროჟმა, რომელმაც ძლივ მოიღო ამათზედ ყურადღება, რათგან ჰხედავდა, რომ ესენი აქ დიდხანს დგანან და რაღასაც ელიან.

— კამერალის გვინდა და არ ვიცი როგორა ვნახოთ?— უპასუხა ბერომ და რამდენმამე სხვებმა.

— წამოდით აქ.—და გაუძღვა სტოროჟი.

სტოროჟმა ისინი შეიყვანა კამერალნი ნაწილში.

— რას იტყვით?—ჰკითხა ამათ კამერალის ნაწილის მეუფროსემ.

—რასა, შენი ჭირიმე,—დაიწყო ნაღვლებით ბერომ,—ე ჩვენ რომ ამოდენა ხარჯი გვაწერია, იმითვინ გაიხედით.

— ეგ პრედსედატელს მოახსენეთ. ხვალ მოვა და მაშინ ნახეთ.

— ეგ, შენი ჭირიმე,—დაიწყეს ბეროს გარდა სხვებმაც,—გამარალიაში გასლავთ ყველაფერი.

— პრედსედატელის საქმეა, პრედსედატელს მოახსენეთ.

გლეხები გამოვიდნენ.

— ახლა, ბერო,—დაიწყო რამდენმამე გლეხმა—ჩვენ, შვილო, ხუთი დღის ანგარიშით წამოველით და ხვალაც რო ვერ დავბრუნდეთ შინა, რა უნდა ვქნათ?

— მა რას ვიზამთ, რო ვერ დავბრუნდებით! მა, შვილო, რა ქარვასლის ქირები გვაქვს ასაგრევი. მინამ ჩვენც პატარა მოუჭიროთ მუცელს, ჩვენ ქვეით არი, ჩვენ ზეით ხო არ არი.

მეორე დღეს ადრიანად ეს გლეხკაცები ეჭვინტნენ ისევ კაზიონნი პალატის კარებწინ. პრედსედატელი მოვიდა, ჩამოართვა მათხოვრებს ქაღალდები და გლეხები ისევ კარებზედ ეჭვინტნენ ცხარე მზის ქვეშ, მინამ ისევ იმავე სტოროჟმა არ მიიღო იმათზედ ყურადღება.

— ახლა ვიღას ელით, კამერალიაში ხომ შეგიყვანეთ გუშინ?

— ახლა პრეცანტი ნახეთხო, იმათან მიგვასწავლეს,—უთხრა ბერომ,—და არ ვიცი სად უნდა ვნახოთ.

— პრედსედატელი კიდეც მოვიდა და კიდეც გაისტუმრა მაჩივრები. სად იყავით აქამდინ?

— აი, დილა რიჟრაჟის აქეთია, სულ აქა ვდგევართ და ჩვენ არც პრეცანტელი გვინახავს და არცა. მაშ ახლა რა გვეშველება! თუ დღესაც ვერა ვნახეთ სულ დავიღუპებით. შინ ცოლშვილი შიმშილით დაგვეხოცებიან.

— აი, აქ მოიცადეთ კიბესთან და აქ ჩამოივლის პრეტსედატელი და მაშინ მიართვით ქაღალდი.

— ქაღარდი რო არა გვაქ. ისე სიტყვიერათ უფრო მოვახსენებთ.

— თუნდა სიტყვიერად მანდ კი მოუცადეთ.

პატარა ხანს უკან ჩამოვიდა პრედსედატელიც და წავიდა შინისკენ.

— ემანდა, პრედსედატელი არ იყო ეგა, რატო არა უთხარით-რა,—უთხრა სტოროჟმა გლეხებს.

— კაცო და ერა ვქენით!—მიუბრუნდნენ სხვანი ბეროს,—რატო არა უთხარით რა! ხო დავიღუპენით ახლა და დავნელდით. ვაი დედი ჩვენი ღმერთსა!

— რა ვიცოდით, შვილოსა, თუ ეგ იქნებოდა პრეწანტელი. აბა რა უნდა შეატყო, რომ ეგ არი პრეცანტელი: სხვებსაც სერთუკი აცვია და მაგასაც. ვაიმე დაღუპულებსა და დანელებულებსა! ვაი დედი ჩემი ღმერთსა... ახლა როდისღა უნდა ვნახოთ. ხვალაც კიდევ აქ უნდა დავრჩეთ.

— რო დავრჩეთ, შვილო, რის ამარა უნდა დავრჩეთ,—დაიწყო მოსე მწყერაძემ და სხვებმა:—რაც საგძალი გვქონდა სულ გამოგველია.... აბა ჩვენი ოჯახის დაღუპვა ესლა მოვიდა აი!...

— ვაი, ვაი, ვაი! რა მარჯვე დრო დავკარგეთ და რა კარგი! ამითანა ადგილას სადღა ვნახავდით! აქ სულ გაგვიგონებდა ჩვენ დარდსა... დავიღუპენით—ისე დაიღუპოს ჩვენი სულდია—მამასახლისის ოჯახი.

— ავდგეთ, შვილო, წავიდეთ შინისკენ,—დაიწყო ქიტესა ნაცარკვერაძემ და ღვთისავარა ჩრილიშვმიაშვილმა:—მინამ ე თითო ნაცარკვერი კიდევ გვაქ ვიაროთ, თორემ მერე მშიერი როგორღა ვივლით სამი დღის სავალზედა.

— რო წავიდეთ, სად უნდა წავიდეთ, თქვე ოჯახ-დაქცეულებო და სახლკარ ამოსაწყვეტებო! ხო აგვიკლო სოფელმა და დაგვანე-ღა სამშვილიშვილოთ. ფუი თქვენ კაცობასა!... რო წავიდე, ხვალ კიდევ ჩამოსვალ თუ!.... უფრო უარესი დღე არ დაგვადგება.... იქ რაღა გამტკიცულები გაფუშდებოდა... სოფელს რაღა პირით უნდა შევხედოთ, შვილოსა! მარტო სხვა არა იყვეს რა, ამას იქით უარესს გვიზამენ, ყელს გამოგვაჭრიენებენ.

— დავრჩეთ ეს ერთი დღეცა,—დაიწყეს სხვებმაც,—რაც მოგვივა — მოგვივა: იქ დახოცვასა, ისევ აქ დავიხოცნეთ სამართლის კარზედ—ის გვირჩევნია. ჩვენ სიმართლეს მაინც გავაგებინებთ მოსამართლეებსა.

მეორე დღეს მოვიდნენ აღრიან გლეხები და მიემართეს პირ და პირ თავის დამხმარებელს სტოროჟს. სტოროჟი არ დაუხვდათ იქ. ხამსჯავრო დაკეტილი იყო, ჩინოვნიკები არა სჩანდნენ. გლეხკაცები ეტუზნენ ჯოხებზედ დაყუდებულები კარებზედ და გაჭყურებდნენ ერთმანერთს დაფიქრებულები და უნებლიეთ ამოსდებოდა სშირად იმათი გულიდამ ოხვრა.

გავარდა ზარბაზანი და ჯერაც არა ვინა სჩანდა.

— ესეც ჩვენი ბედი,—დაიწყო ღვთისავარამ,—რომ აქამდინ არა ვინა ჩანს. კვლავ აღრე მოსულან და ახლა აგერ შუადღე გადავიდა და არავინ არის...

— ვინ იცის ჩვენი ცოლშვილი ახლა რა გაჭირებაშია,—დაუმატა ვიღამაც.

—ცოლშვილო, შვილო, მხალი მაინც ექნებათ, მაგრამ ჩვენი

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქმეა, რომ მთელი სამი დღე, მინამ შინ მივალთ მშივრები უნდა ვიყვნეთ,—სთქვა მოსე მწყერაძემ.

— ერთი კარგი პირტი ეხლა კარგი არ არი!—დაუმატა ქიტესამ:—სულ გადაგვყრიდა რაც ჯავრი გვაქ. ღმერთს რო ე სასმელი არ გაეჩინა, არ ვიცი, ძმავ, როგორ იქნებოდა ე ქართველი კაცი საქმე.

— თუ არ პირტი, სრავიან არაყ კი აღარ ივადრებ,—უპასუხა ფიქრით ბერომ:—რა გვეპირტება აქა, ლამი ჯავრით გული გაგვისკდეს... როდის მობრძანდება ახლა ვინ იცის!

— შენ იცი, ბერო, როგორც შენებურათ ყველას მოახსენებ. სუყველაფერი დაწვრილებით მოახსენე, რომ კარგა გაიგოს ჩვენი მწუხარება,—მიუბრუნდა ბეროს მოსე მწყერაძე:—ისიც მოახსენე, რომ სოფელს ისიც კი შურს, რომ პირში სული გვიდგია თქო; აგერ რაც თავმოვწრებივართ, შენი ჭირიმე, ჩვენი შურიდამა და ინადიდამ არ ამოდიან, თქო. ქათამს ვეღარ გაუვლია ჩვენსას იმათ კარებზედ და ბავშვებსა თქო. ამითანაები ყველაფერი მოახსენე, რომ ყველა ჯემაკობა და მოუსვენრობა გაიგოს იმათი.

— რა, შვილო, რაც კი გვაქ სათქმელი, რაღას დავზოგავ. ღმერთმანიცის, ეგ არა და რამდენი მაგაზედ უფრო უარესებია სათქმელი,—სუყველაფერი უნდა მოხსენდეს,—უპასუხა ბერომ.

ამ დროს მოვიდა საიდამღაც სტოროჟი. ამან გამოუცხადა, რომ ამ სამდღეს უქმეებია და სამსჯავრო აღარ იქნება.

ამ სიტყვებზედ ისე შეიცვალნენ გლეხები სახეში, ისეთი სახით შეჰხედეს ერთმანეთს, რომ გარეშე მნახველი შეიფიქრებდა—დამბლა არ მოუვიდესო.

— აბა ახლა აშენებულა ჩვენი ოჯახი, აი!—სთქვეს იმათ და თავ ჩაქინდრულებმა გასწიეს.

ისინი მივიდნენ თავის ბინაზედ დახოცილებივით და დაწვნენ.

ისინი იდგნენ ერთი გომურის დერეფანში, სადაც, როცა შემოდგომაზედ ჩამოდიოდნენ—აყენებდნენ თავის საქონელს.

— ახლა რა უნდა უპატრონოთ ჩვენს თავსა?!—დაიწყო რამდენმამე გლეხმა—რაღა პირით უნდა დავბრუნდეთ შინა!!

— აბა, შვილო, ღვთის წყრომას რომ იტყვიან - ეს არის! უნდა ავიღოთ თავი და სადაც ადიდებული წყალია—გადავცვივდეთ.

— ავდგეთ, შვილო, წავიდეთ რაღას უდგევართ აქა,—დაიწყო ერთმა:—ეგ არი, ღმერთს ჩვენთვის ხეირი არა ნდომებია, და ჩვენ ცოლშვილს მაინც მივაშუროთ.

— დაიცადეთ,—დაიწყო ბერომ:—ეგრე საქმე არ გარიგდება. ჩვენ რო აგრე ვქნათ უფრო ცუდათ მოვა საქმე... იცი მე რა ვიფიქრე! დღეს მოშუშა ურიას მოვკარი აქ თვალი... ეგება იმას ერთი ათიოდე მინანთულ გესესხნეთ, მაინც, შვილო, იმისი ისეც ბევრი გვმართებს, და იქნება ეხლაც მოგვინაცვლოს ამითანა გაჭირვებაში ხელი.

— ეგ კაი ფიქრია, მე და ჩემმა ღმერთმა,—უპასუხეს სხვებმა:—აბა ერთი მოვასხენოთ... ერთი კუჭებ მაინც გავიძღობთ... თავი არ მომიკვდება ი დუქნებთან რო გავივლით და საჭმელი სუნი მოგვდის—კინაღამ გული შეგვიღონდება ხოლმე.

ამ დროს მოვიდა გომურის პატრონი.

— ჰა! ისევ აქა ხართ!? ოხსერო! ეს თქვენთვის ხო არ არი გაკეთებული, საქონლისთვის არი... ჰა! თუ დგევხართ, ქირას მაინც არ მოიცემით.... თუ არა, აი ნასტის აფიცარს მოვიყვან და სულ პოლიციაში ჩავყრით... ვინ იცის უბილეთო ვინმეებიცა ხართ...

— პარუნ პოლოს, განა არ მოგეხსენებათ ჩვენ ვინცა ვართ: ჩვენ სულ აქ არ გვიყენია ხოლმე საქონელი. ჩვენ ბრიყვეთიანელები ვართ.

— ჰა! ბრიყობა მეტი იქნება, ერთი კვირაა აქა ჭყრიხართ —

გრომში ფული არ გიცი თქვენგან. არა, მამაკჯან, გადით აქედამ სა-
ქონელს როცა დააყენებთ, მაშინ სხვა არის.

— ქირას მოგართმევთ, ქირასა, მაგაზედ როგორ გაწყეინებთ,— უპასუხა ბერომ:—აბა წავიდეთ ერთი მოშეშა მოვნახოთ.

აქ ბეროს გაჰყვნენ სხვებიც მოშეშას საძებნელად.

## 4.

იპოვეს მოშემა ურია.

— რა ვქნა, რომ თან ფული არ გამომყოლია,—ეე!—დაიწყო იმან გლეხების ხვეწნაზედ.

— მოშემ! ი ცოლშვილი ამოგვიწყდეს, ი წმინდა გიორგი კარ წინ ნუ მიგვიყვანოს ცოცხალი, თუ შემომდგომაზედ საგიორგობოთ არ მოგართვათ. მართლა სხვა არა იყვეს რა—სასულიერო საქმეა. ამითანა საქმითვინ ჩამოვსულვართ და ამითანა გაჭირვებას ჩვენ ველა-რა ვნახავთ.

— სულ აგრე იძახით, როცა გიჭირთ და მერე კი თავის ოხე-რა ფულზედ კაცი უნდა ალაპარაკოთ—ეე!

— რა ვქნათ, შე ქრისტიანო,—უპასუხა მოსე მწყერაძემ,— ბევრი რო გვქონდეს ხომ შენც აღარ გესესხებოდით. რაც შენ სარ-გებელს გაძლევთ, იმ სარგებლითა ხაზინა გაკეთდებოდა. მანათზედ ორი და სამი მანათი კი მოგდის და. გლეხკაც რო ჭკუა ქონდეს— იმას წყალს იქით გზა არა აქვს.

— არა, მოშემ, ღმერთი გადღეგრძელებს, შენ იქით გზა არა გვაქ,—ეუბნებოდნენ სხვა გლეხნი,—ამ ერთ გაჭირებიდამაც უნდა გა-მოგვიხსნა და მერე ჩვენ ვიცით და ჩვენმა კაცობამ როგორც გემსა-ხურებით.

— აქ თუ ვისესხებ სადმე, თორემ, ჩემი რჯულის მადლმა, გროში არა მაქ ე! აქ სომხებისაგან უნდა ვისესხო და ვინ იცის რამდენი სარგებელი გამამართვან ე, და ახლა მეც თქვენ უნდა სარგებელი გამოგართვათ და თქვენ იმდენ სარგებელ არ მოიცემით ე.

— სარგებელი რაც შენი ნება იყვეს, ჩვენ მაგაზედ რა უარი შეგვიძლიან,—ოღონდ ერთი კი გვიშველე რამე.

— მაშ საღამოზედ მნახეთ ე და მინამ საცა იქნება ვისესხებ ე.

საღამოზედ მოვიდნენ გლეხნი მოშეშასთან.

— მთელი ქალაქი შევძარ ჩემი რჯულის მადლმა და რის ხვეწნით ერთ ჩემ ნაცნობ სომეხ ძლივ გამოვართვი ე. მაგარიობაა და უვედა უფულობას უჩივის ე.

— აი, ღმერთმა გადღეგრძელოს ჩვენი ამ გაჭირვებიდამ გამოხსნისთვის. თუ შენ არა—მე შენ მოგახსენო—დალუპულები ვიყავით, ისე დალუპულები როგორც შარშანდელი თოვლი.

— ეს ერთი თუმანი მომცა და ამაში შემოდგომამდინ თხუთმეტი მანათის ბარათი ჩამომართვა ე. ახლა უნდა თხუთმეტი მანათის ბარათი დამიწეროთ შემოდგომამდისინ თავისის სარგებლითა ე.

— ი ხუთი მანათის სარგებელი რაღათ უნდა მოგცეთ, იმას ხო არ იძლევი?—დაიწყო ისევ მოსემ.

— მაშ მე რომ დაუწერე სომეხს, მაშ ის მუქთი ხო არ იყო ე! მე ხო უნდა იმას ერთ თუმანში თხუთმეტი მანათი მივცე ე!

— აი, დიდება შენთვის ღმერთო! ამითანა ურჯულოობა იქნება! ხუთი მანათი სარგებელი რაღაში გერგება, შე ქრიტიანო!...

— დაიცადე შე ოჯახ-დაქცეულო, რა დროს მბეებია!—გააჩუმეს გლეხებმა მოსე.— აბა შენი ჭირიმე დაწერე როგორც თქვენი ნება იყვეს ბარათი და ჩვენ მოვაწერთ.

მოშეშა შევიდა დუქანში ბარათის დასაწერად.

— არა, შე ოჯახ-დაქცეულო, დაუწყეს გლეხებმა მოსეს ჩხუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბი:—ამითანა იქნება, რომ კაცი ნავში იჯდეს და მენავეს ეჩხუბებოდეს. არა ხედავს შენი თვალები, რომ ჩვენი სული მაგი ხელთ არი! რო მოინდომოს, ქრიტიანობის მადლმა, ერთ დღეს როგორც თხებს ისე ჩაგვრეკამს ბაზარში და ისე დაგვყიდის თავის ვალში.

— დაგვყიდოს კი არა, ბარემ რო დაგვხოცოს ის გვირჩევნია. ჩვენ კი აღარა ვართ, შვილოსა, და! საჭმელი ჩვენ არა გვაქ, სასმელი, ტანთ საცმელი, ცოლშვილი დედიშობილა დაგვიდის, სახლი და ერთი მეორე. ვისაც მიგვყიდის—პურ მაინც გვაჭმევს, კუჭ მაინც გაგვიძღობს, თუ არა, შვილო, სულს იქით სულ მაგას მიაქ ჩვენი ოფლი: წურბელასავით გვწოვს სისხლს. რა, შვილო, მაშ ღმერთ ჩვენი სული მაგითვის გაუჩენია და ჩვენი სულის-მამასახლითვისა.

— აგრე არ იქნება, კაცო! — დაუწყო ბერომ:—ეხლა ეგ ერთი თუმანი ჩვენ იმითანა საქმეს გვიზამს, რო იქნება კიდეც შემოგვნატროდენ. ხუმრობაა როცა ხარჯს გადავრჩებით! ახლა, მარტო ის რათა ღირს, რომ სოფლის ჯაბრს არ შევჭამთ.

გამოვიდა მოშემა და წაუკითხა ბარათი.

«ჩყ.... წ. (ამა და ამ თვესა) ჩვენ სოფელს ბრიყვეთს მცხოვრებელთ (ამა და ამ გლეხთ) ავიღეთ შენ რაბინ მოშემა ქებიაშვილისაგან თხუთმეტი მანათი თეთრი ნაღდი რუსული სირმა ვერცხლი, რომელიც ამის ნახევარი იქს შვიდ მანეთსა და ათ შაურ წმინდა თეთრსა. ფული ესე ვალდებული ვართ ჩავაბაროთ საგიორგობოთ, ესე იგი ამ წლის გიორგობის თვის ათისთვის. და თუ ამ ვადაზედ ვერ ჩავაბარეთ ვალდებული ვართ ერთი ამდენი, ესე იგი თხუთმეტი მანეთი თავისის სარგებლით, შტრაფი გადვიხადოთ. სარგებელი ამისა უნდა ჩავაბაროთ ამ წლის რთველში თუმანზედ სამი კოკა ტკბილი და თხუთმეტის მანეთისა ოთხ კოკა ნახევარი შენ მოშემას საკუთარი თუნგითა რომელზედაც ჩვენ ხელს ვაწერთ...»

გლეხებმა სთხოვეს მედუქნეს და მოაწერინეს ხელი.

მოშემამ დაუთვალა ცხრა მანეთი და მისცა.

— ერთი მანეთიც ბარათის დასაწერი მივეცი და ეს ცხრა მანათი ღმერთმა მოგახმაროსთ ე!...

— გადღეგრძელა ღმერთმა!—უპასუხეს ახლა კი დაღონებულმა გლეხებმა რაკი წაიკითხეს ის ბარათი და ამასთან ერთ თუმანს ერთი მანეთიც დაუკლეს.

— აბა, შვილოსა თუ უღმერობა არ არის! მაგოდენა სარგებელი, მაგოდენა შტრაფი, ახლა ი ერთი მანათიცა. ერთი მანათი ჩვენთვის ეხლა ერთი მილიონი ღირს,—დაიწყო მოსემ:—აბა ახლა ჩვენ გალებს ეგდა აკლდა, აი!

— ერთი წავიდეთ ამ ჯავრიან გუნებაზედ თითო პირტი მაინც დავლიოთ,—დაიწყო ქიტესამ,—მე და ჩემმა ღმერთმა, რომ დავიღუპენით კია. მაგრამ რას იზამ, შვილო, ეგ ფული რომ არ შეგვწრებოდა, მთლათ შიმშილით დავიხოცებოდით. დღეს, შვილო, ნაწილი არ ჩასულა ჩვენ პირში. ამდენი წყლის სმამ დაგვწყვიტა. წყალსაც აღარავინ გვასმევდა.

— წავიდეთ მართლა,—სთქვეს სხვებმაც:—პატარა მუცელს მივმლიოთ რამე, თორემ ამ შიმშილმა ძალიან ძალა გვიყო.

პატარა ხანს უკან ისინი შევიდნენ ერთს საცოდავს დუქანში, მოითხოვეს საჭმელი, დალიეს თითო არაყი და შემდეგ მოითხოვესს პატარა ღვინოც.

იმათ ერთ თვალის დახამხამებაზედ გააქრეს მოტანილი საჭმელი და პური. ამ საჭმელმა უფრო გაუღვიძა იმათ მადა და კიდევ მოითხოვეს ერთი იმდენი.

— ჩვენ აქ ლამაზათ ვძღებით,—წარმოთქვეს ზოგიერთებმა—და ვინ იცის ჩვენი ცოლშვილი რასა სჭამენ! ან სჭამენ რასმე თუ არა—ისიც ღმერთმა იცის.

როდესაც მორჩნენ ესენი პურის ჭამას, მედუქნემ უანგარიშა ამათ დანახარჯი ხუთი მანეთი.

ამ სიტყვის გაგონებაზედ, ყველამ ერთმანეთს შეჰხედეს ელდა ნაცემებივით.

— კაცო, და რა ვჭამეთ, შვილო, ისეთი? — დაიწყეს იმათ მწუხარებით.

— ვა! რა ჭამეთ რომელია! ი მგელივით რო იღუკმებოდით რატო მაშინ არ ამობძლით მაგას! მერე ამისთანა სიძვირე — ხო ხედავთ მამასისხლობაა!... ახლა რა ბევრია! მთელი ერთი პოლკი დამშეული მგლები შეურილხართ და ხუთი მანეთი ბევრია!

აქ მედუქნემ დაათვლევინა გლეხებს ხუთი მანეთი.

— აბა, შვილო! აი რა შეუძლიან ფულსა. ეს რაც ფული გვქონდა ეხლავე შევჭამეთ და მერე კიდევ სავალებლათ გაგვიხდება საქმე, — დაიწყეს შიგა და შიგ მწუხარებით.

— არა, ეს არის, — დაიწყო ბერომ, ამას იქით ისევ ცარიელ პურზედ უნდა ვიყვნეთ, თორემ არ გვეყოფა.

— მეტი რა გზაა, — სთქვეს სხვებმა და გასწიეს თავის გომურისკენ რომელსაც პატრონმა დაადო გომურში დგომისათვის სულზედ დღეში ნახევარ შაური.

— მეც თქვენი ხათრისთვის, რომ სულ აქ აყენებთ ხოლმე თქვენ საქონელს, თორემ სხვებს შაურათაც არ დავაყენებდი, ჯერ მარტო წყალს დალევთ ნახევარ შაურისას.

5

გავიდა სამი დღე უქმეები და გასწიეს ჩვენმა გლეხებმა კაზიონი პალატისაკენ. იქ სტოროჟმა უჩვენა იმათ ადგილი, სადაც უნდა მოეცადნათ პრედსედატელისთვის.

— აბა, ბერო, შენ იცი და შენმა გარგმა ქართულმა, — ეუბნებო-

დნენ იმას ამხანაგები: — შენ იცი, როგორც არ დაგვიკარგამ ამოდენა ამაგს. ყველაფერი ისე დალაგებით უნდა მოახსენო, რომ ყველა სიტყვა ყურში ჩააწვეთო. ეხლა, შვილო, ჩვენი სული მაგი ხელთ არი: უნდა გვაცოცხლებს, უნდა სულ ადიდებულ წყალ მიგვცემს.

მოვიდა პრედსედატელი. იმან ჩამოართვა ჯერ ვისაც ქაღალდები ჰქონდა, მერე მიჰმართა, ვისაც სიტყვიერი რამ სათქმელი ჰქონდა. მივარდა რიგი გლეხკაცებზედაც. როდესაც მიატანა იმათ პრედსედატელმა და რჩებოდა უკანასკნელს მთხოვნელს, გლეხებმა დაუწყეს პეროს ჯიჯგვირი, რომ წამცდარიყო.

— არ დაგვღუპო! — წასჩურჩულა ვიღამაც ბეროს ყურში.

ბერომ დაიწყო ჩახველება და მზადება სალაპარაკოდ. ბეროს წინად გუნებაში ლამაზათ ჰქონდა ყველაფერი სალაპარაკო დამზადებული. რამდენი რამა ჰქონდა სათქმელი, ყველა მძივად ასხმული ჰქონდა გუნებაში შენახული და აპირებდა პრედსედატელის წინ წამოლაგებას, მაგრამ აქ იგრძნო ბერომ, რომ როგორღაც ყველაფერი აერია და როდესაც პრედსედატელი მოუახლოვდა, შემკრთალმა აღარ იცოდა საიდამ დაეწყო. იმას უნდოდა კიდევ ჩაეხედნა თავის გუნებაში და დალაგებულიყო, მაგრამ იმის გონება გუნებაში კი არა, პრედსედატელის მოძრაობას არა შორდებოდა.

— თქვენ რაღას იტყვით? — ჰკითხა ამათ პრედსედატელმა.

გლეხებმა შეჰხედეს ბეროს და მერე ერთმანერთს. ბერომ კიდევ ჩაახველა და ძლივს დაიწყო.

— ჩვენა, შენი ჭირიმე!? ჩვენ გიახლით, შენი ჭირიმე, რომ აქ შენ წინ დავისოცოთ თავები, იმითანა გაჭირება გვადგია ჩვენი სოფლისაგან. ლამის, შენი ჭირიმე, აგვყარონ სოფლიდამა.

— თუ სოფელი გაწუხებთ და მაგაზედ უჩივით, ეგ ჩემი საქმე არ არის. ეგ მიროვოი სუდიას უნდა სთხოვოთ და ეგეები იმის ხელთ არი. — აქ პრედსედატელი გაბრუნდა.

გლეხკაცებმა გაჰხედ-გამოჰხედეს ერთმანერთს.

— აკი გითხარით, შვილო, ეგ მირონის ხუდის საქმე, მეთქი, —დაიწყო ერთმა გლეხმა, რომელსაც ეძახოდნენ ცხრაქოთანა ჭენჭილოკიაშვილს: —ეხლა სუყველაფერი სამართალი მირონის ხუდის ხელშია· გინდა დაგვკარგავს, გინდა ჩამოგვარჩობს: ყველა იმის ხელთ არი. აბა, შვილო, ახლა ისევ უკან უნდა დავბრუნდეთ. ჩემთვის რო გაგეგონებინათ, ხო ასე არ დავიღუპებოდით; ახლა ამოდენა ზარალში ვართ: იმითანა მუშა დროს ცალკე საქმესა და სახლ მოვცდით, ცალკე ამოდენა ვალი დავიდეთ. ახლა ადარც კი გვაქ, შვილო, ფული, რომ წავიდეთ. რა უნდა ვჭამოთ ან გზაში, ან იქა, მირონის ხუდთან რომ მივალთ.

—ფული ერთი სამიოდე აბაზი კიდევაა გვაქ, და როგორც იყვეს უნდა იქამდინ ვიკმაროთ, ორ დღეს იქ ადრე მივალთ.

— ორი დღე გზას მოუნდებით, მაგ ფულ გზაში შევჭამთ, იქ რაღა ვჭამოთ?—დაიწყო მოსე მწყერაძემ—არა, შვილო, წავიდეთ ისევ ჩვენ სახლებ მივეპატრონოთ, რაც მოგვივა – მოგვივა.

— მიეპატრონო, შენი ოჯახის აშენებამა, შენმა ცოლშვილმა არ იცის რა უყოს თავი ზინათებსა,—შეუტია ბერომ—ამოდენა შრომა გაგვიწყვია და ახლა უნდა ხელცარიელები, დავბრუნდეთ შინა. ერთი დღე შიმშილ ვერ მოვითმენთ! ორ დღეს აქედამ გზაში მოუნდებით მირონი ხუდამდინა, მესამე დღეს მოვახსენებთ ჩვენ ანგარიშსა და იმავე დღეს ავალთ შინ. ერთი სიტყვით, რო დავიხოცებოდეთ ხელცარიელი ჩვენი შინ დაბრუნება არ იქნება.

აქ გადაწყვიტეს გლეხებმა წასვლა თავის უეზდის ქალაქში, მიროვოი ხუდისთან.

იყიდეს ამათ სამ აბაზად თორმეტი პური და გაემგზავრნენ.

— დღეში ნახევარ პური უნდა ვიკმარიოთ,—უთხრა ბერომ.

— მეტი რა ჩარაა, რომ არ ვიკმარიოთ,—დაუმატეს სხვა გლეხებმა.

6.

მესამე დღეს მოჩვენებასავით შესუსტებულები სიმშილისაგან, იდგნენ გლეხკაცები მიროვოი სუდიის კამერაში.

მოვიდა მიროვოი სუდია და დაიწყო ქაღალდებისა და პირად საჩივრების ჩამორთმევა.

— ჰო! გაათავე და რაღა! — ეუბნებოდა ის ერთ გლეხს — შენ იქნება გგონია შენს მეტი საქმე არა მქონდეს, ხომ ჰხედავ ამოდენა ხალხი იცდის.

— მოგახსენებ, შენი ჭირიმე თუ არ გამირისხდები, — ეუბნებოდა ის გლეხი — ეგ, შენი ჭირიმე, ჩვენი ბერუკა რო გახლავთ ჭინტიაშვილი....

— ჰო, მერე, ჭინტიაშვილი! სხვა კი აღარა იცი რა?!..

— როგორ არა, შენი ჭირიმე, ყველაფერ მოგახსენებ თუ მიბრძანებ.. ჩემი დარდები შენი ჭირიმე ზღვას შეაგუბებენ.

— წადი ქაღალდი შემოიტანე, თორემ შენსას თვით ქრისტე ღმერთიც ვერას გაიგებს. — შენა? – მიუბრუნდა მიროვოი სუდია ერთ გლეხებს.

— მე, შენი ჭირიმე?

— ჰო, შენა, მაშ ვისა! ხო ჰხედავ შენ გელაპარაკები.

— მე, შენი ჭირიმე!.. ერთი კარგად მამასხსენებინე ე ჩემი საჩივარი.... რო იცოდე ბატონო ჩემი მწუხარება. — აქ გლეხკაცმა გააქნივ გამოაქნია თავი.

— სთქვი რაღა! შეუტია მოუთმენლად სუდიამ..

— თუ ნებას მიბოძებ, ისევ ქაღალდით მოგახსენებ, თორემ ასე ვაითუ თქვენ საკადრისად ვერ გამოვიდეს.

— ქაღალდით! ქაღალდები ესლა სხვებმა კი არ შემოიტანეს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ უნდა ისევ უკან დაუბრუნო, რო არა გაიგება რა.—გვიმატიმე!—დაუძახა იმან ერთ ხაზინიდამ გამოგდებულ მწერალს, რომელიც ადვოკატობდა ამ ნაწილში.—ერთი გაუგონეთ ამას საჩივარი, და თუ მართალი იყვეს – დაუწერეთ ქაღალდი.

ადვოკატმა სიხარულით თავი დაუკრა სუდიას.

— თქვენ რაღას იტყვით?—მიუბრუნდა ახლა ის ისევ ჩვენ ბრიყვეთიანელებას.

— ჩვენ, შენი ჭირიმე, ბრიყვეთიანიდამ გახლავართ.

— ვინა გკითხავთ ბრიყვეთიანიდამა ხართ, თუ ჯანაბელები! რა გაქვთ საჩივარი?

— საჩივარი, შენი ჭირიმე, ჩვენა გვაქვს, თორემ სხვა ვისა,—და ცოტა არ იყო ამოუჯდა ბეროს გული.

— ეხლავე გეტყობა, რომ სტყუი! შენი ტირილით ვინ გინდა მოატყუო! სთქვი რაცა გაქვს სათქმელი. ხომ ჰხედამ რამდენი ხალხი იცდის.

— მოგახსენებ, შენი ჭირიმე, როგორ არ მოგახსენებთ. ტირილ შენი ჭირინე, შენთან როგორ გავბედავთ..

— ჰო, აბა დაიწყე ადამიდამა და ევადამ.

— არა, შენი ჭირიმე! ადამი კი არა, ჩვენი დარდი სულ სხვა გახლავთ. ჩვენ რო უსამართლობა გვადგია, ნუ იფიქრებ, ბატონო, რო ეს უსამართლობა და უჯამათი მისდგომოდეს ვისმე.

— ჰო, რა უსამართლობა!.. სთქვი ჩქარა.

— უსამართლობა მეტი იქნება! ჩვენ სოფელს ისე ჰშურს ჩვენი ცხოვრება, რომ ისიც კი უნდათ, რომ სულები ამოგვხადონ. იმავ თაობითვე სულ შურსა და ინადში გვიდგანან. ბავშვს ვეღარ გაუვლია ჩვენსას იმათ კარებზედა, ქათამსა და პირუტყვსა.

— მოკლედ! მოკლედ მოსჭერი და სათქმელი თქვი.

— სათქმელი, შენი ჭირიმე, იმაზედ მეტი რაღა იქნება, რომ,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მთელი სოფელი ცდილობდეს ერთისა და ორი გლეხკაცის დედამიწას-თან განადგურებასა. სულები ამოგვხუთეს... იასაული რა არი, იმანაც კი ჩვ ნ გვასტუმრებინებენ და რაც ქათამი გვყანდა სულ გაგვიჩანაგეს.

— მაგ არი თქვენი საჩივარი?

— მარტო ეს კი არა, შენი ჭირიმე, ჯერ სად არი, რამდენი მაგითანა სხვა გასლავთ.

— ქაღალდით შემოდით. თქვენ რაღა გნებავთ? — მიუბრუნდა ის ახლა ერთ თავადის შვილს, რომელსაც მზად ეჭირა ხელში ქაღალდი, რომ ლაპარიკი არ მომინდესო.

— ჩვენა, — შენი ჭირიმე, დაიწყო ისევ ბერომა, — არ...

— ქაღალდით, მეთქი! უთხრა გადაწყვეტით სუდიამ.

გლეხები გამოვიდნენ.

— ისევ კი ქაღალდითა ჯობიან მე და ჩემა ღმერთმა, დაიწყო ბერომ. ასე პირათა, ჩემო ძმავ, ვერ მოვახსენებთ იმი საკადრისათა. ჩვენ რო ქართულ ვიტყვით, ამითანა ქართულ მაგითანა დიდკაც ვერ გააგონებ, მაგათი ქართული სხვა არი.

— რო დავაწერინოთ, ახლა მუქთათ ვინ დაგვიწერს! — დაიწყო მოსე მწყერაძემ.

— მუქთათ რათა! — უპასუხა ბერომ: -- იქ ქალაქში გვიჭირდა საქმე, თორემ აქ რამდენი ნაცნობი სომხობა გვყავს, ერთი ხუთიოდე მანათი ვისესხოთ და ზოგისა ქაღალდი დავაწერინოთ, ზოგისა პური ვიყიდოთ. ხვალ ქაღალდ მივართმევთ და წავალთ კიდეც შინა.

იმათ იმავე დღეს ისესხეს ხუთი მანეთი შემომგომამდის კოკა ნახევარ ტკბილად სარგებელში და მიმართეს ერთს თავის ნაცნობ მწერალს, რომელსაც ოთხ მანეთად გაურიგდნენ ქაღალდის დაწერას.

— აბა რა გაქვთ საჩივლელი? — ჰკითხა იმან.

— ჩვენი საჩივარი ეს გახლავთ, — დაიწყო ბერომ, — რომ რად-

გან უმამულო გლეხები ვართ ჩვენა, კამალარიაში სამი მანათი ხარჯი გვაწერია და სხვა გლეხებსა, რაკი მამულები უჭირავთ—მეტი აწერიათ; ახლა იმათ უნდათ, რომ ჩვენც იმათან გავიღოთ ხარჯი; ჩვენ ახლა მაგას არ ჩავდივართ და ამაზედ ძალიანაცა გვცემეს და კიდეც გვახდევინებენ.

მეორე დღეს მიუტანეს სუდიას ქაღალდი. სუდიამ წაიკითხა.

— აბა გუშინვე რა ესე გეთქვათ, სო გუშინვე მორჩებოდით და გაიგებდით საქმეს, რომ ლაპარაკის შნოც კი არა გაქვთ.. ეს ჩემი საქმე არ არის, – ეს უეზდის ნაჩალნიკის საქმეა. რასაც სუდია მამასახლისს უჩივლებთ, კანონის ძალით, უნდა ნაჩალნიკთან უჩივლოთ და მე არ შემეხება.

შენ როგორ არ შეგეხება, შენი ჭირიმე, შენზედ მეტი ვის შეუძლიან!... შენ რო უბრძანო სხვა მეტი კი არა უნდა რა... სუყველაფერი სამართალი შენ ხელთ არი, გინდა დაარჩენ კაცსა, გინდა დაღუპამ—დაუწუო ბერომ.

— გეუბნებით ჩემი საქმე არ არი, მეთქი! – ალბად არ არი, თორემ რატომ სხვებს არ ვეუბნები.—აქ დაუბრუნა სუდიამ გლეხებს ქაღალდი.

— ნაჩალნიკთანა ნდომებია ქაღალდი,—დაიწყეს გლეხებმა, როდესაც დაბრუნდნენ თავის ქაღალდის დამწერთან.

— ნაჩალიკთან?! ჰო, ალბათ აგრეა, თორემ სუდიამ უფრო კარგათ არ იცის,—უპასუხა იმან.

— მაშ ეგები შენ სადღეგრძელოთ ერთი ქაღალდი იმათანაც დაგვიწერო და ახლა ეგება ნაკლებ დაგვჯერდე.

— ახლა სამ მანეთ დაგჯერდებით.

— სამი მანეთი სულ რო გავიყინდეთ, შენი რისხვა გვქონდეს, თუ ვიშოვნოთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ახლა, თუ კარგი არზა გინდათ — სამ მანეთ ნაკლებ არ იქნება, თუ იმისთანა უბრალო რამ გინდათ და განა არ შეიძლება ათშაურიანიც დავწერო, სამ აბაზიანიცა. რა გამოვიდა! როგორც საქონელშია ავი და კარგი, ისე აქ; ავი იაფია, კარგი — ძვირი.

— მაშ, შენი ცოლშვილის სადღეგრძელოთ, ეგება შემოდგომამდინ დაგვაცადო, თორემ ისე შენი მტერი დაიღუპოს, როგორც ჩვენ დავიღუპენით ამ საქმის დევნაში.

— შემოდგომამდინ თუ დაგაცდით ხუთ მანეთ ნაკლებ არ დაგჯერდებით თავისის სარგებლით.

— ღმერთი გადღეგრძელებთ, რაც წინათ გიბრძანებიათ — მოგართმევთ, ნუ ინებებთ ჩვენ დაღუპვასა. ჩვენ დღესაც შენ ხელთა ვართ და ხვალაცა. ცოლშვილი სულ შიმშილით გვეხოცება. გვლით ყელამდინა ვართ გავსილი.

— არ ვიცი! თუ გინდათ ეგ არი, თუ არა და სხვა მოძებნეთ.

გლეხები გამოვიდნენ, პატარას ხანს ჭოილაპარაკეს და ისევ დაბრუნდნენ.

— ხუთი მანეთი გასლდეთ, შენი ჭირიმე, სარგებელს კი ნუღარა გვთხოვ. ჩვენი სულს იქითი სულ სარგებელში მიდის.

— მე რაც მითქმავს ეგ არის!

— შენი ნება გასრულდეს, ოღონდ ისეთი კი დაგვიწერე, რომ ნაჩალნიკმა მაშინვე გაგვისტუმროს, თორემ რაც იმდღეს თქვენთვის ფული ვისესხეთ — გამოგველია და ახლა ისევ მშივრები ვურივართ.

პატარა ხანს უკან ეს გლეხკაცნი აწერდნენ ხუთი მანეთის ბარათზედ ხელს, რომელშიაც კალოზედ უნდა მიეცათ კოდნახევარი პური სარგებელში.

მეორე დღეს იყო რევიზია და ვერა ნახეს გლეხებმა ნაჩალნიკი. შიმშილმა დაატანა ძალა.

— ერთი შეხედე — ეუბნებოდა ქიტესა სადამოზედ თავის ამხა-

ეროვნული ბიბლიოთეკა



ნაგებს დუქნის ოთახიდამ,—რა ლობიო უდგიათ და ჭამენ დუქანში მეტივეები. აბა, შვილო, ცხოვრებაც მაგათ დაიკვეხონ. თითო ტივს ზოგჯერ ოცათ, ოც და ათ თუმნათა ჰყიდიან. ისეთი დოლაბ-დოლაბი პურები უწყვიათ, რო ყეენს ეკადრება საჭმელათ... ვაი ჩვენი ბრალიცა! ...

— წამოდი აქეთა, შე ოჯახდაქცეულო! —შეუტია ბერომ: —ახლა ხო აგრე არ იფიქრებენ ეგენი.... ეს ერთი დღე აღარა გვაქ, ამასაც როგორ ვერ მოვითმენთ.

ქიტესა წამოვიდა ისეთ ნაირად, თითქო არ უნდა, რომ იქაურობას თავი დაანებოსო.

— ეჰ, შვილო! —დაიწყო ვიღამაც: —ჩვენც ვიტყვით ქვეყანაზედა ვცხოვრობთო! რომელი მაღლი იქნება, რომ ჩვენ არა გვჭობდეს. მაღლი რაც უნდა მაღლი იყვეს—ან მოიტაცებს, ან მოიპარავს, ან მგლებს მაინც ვინმე გადუყრის. საყასპოში წელებს გადუყრიან. ვინ შერცხვენილი ქალა რაც უნდა წელები იყვეს არა სჭამდა, მაგრამ მერე სირცხვილით ვიღასთან გამოჩნდება... არა ვართ, არა! თორემ ჩვენ რო კაცნი ვიყვნეთ და ქუდი გვეხუროს, უნდა აგვეტანა ესა: ერთი გარგი თოკი და ჩვენი ჯანი.

დუქნის მეორე ოთახში დაიწყეს შეზარხოშიანებულმა მეტივეებმა სიმღერა. პატარა ხანს უკან შემოვიდნენ ბაზრის ბიჭები, დასხდნენ დაზგაზედ, მოატანინეს ხმელი თევზი, ღვინო, მწვანილი და სხვა, შემოიყვანეს მედოლეები და დააღუღუნა ტკბილმა დუდუკმა. დაუკრა იმან ჩვენებური გულის მოსაკლავი და ჩვენი ისტორიის გამომხატველი ხმები. გლეხები ამ ხმაზედ მეორე ოთახში მიეყარნენ ცარიელ ადგილზედ, ვითომც დასაძინებლად, და მიეცნენ ათასნაირ ფიქრს. ვინ იცის რა არა ტრიალებდა იმათ გუნებაში, რა არ მოსდიოდა ამათ თავში. აღეძრათ იმათ ათასნაირი არეული ფიქრი და გრძნობა რომელიც ჩვენთვის, მკითხველო, სრულიად უცხოა. აღეძრათ ეს ფი-

ქრები და არა ჰხედავდნენ ამ გრძნობების დამაბოლოებელს არა ვითარს გარემოებას არც თვის ცხოვრებაში და არც თვის გარემო ვითარებაში. ქიტესა და ერთი კიდევ ვიღაცა კიდეც ტიროდნენ, მაგრამ ჰფარავდნენ ამას ამხანაგებისგან.

მეორე დღეს ნაჩალნიკმა მაშინვე გაისტუმრა ესენი და უთხრა რომ დაიბარებს სუდია-მამასახლისს და გაიგებს ყველაფერს.

8

— ნახე ჩვენი ჭუნარი, — შეჰკვესოდა ქიტესა მგზავრობიდამ შინ დაბრუნებული თავის მეუღლე მარინეს: — ბევრი ჯაფა გავწიეთ, ბევრი ვალი დავიდეთ, მაგრამ ჩვენი საქმე კი გავარიგეთ. ღმერთმა ადღეგრძელა ჩვენი ნაჩალნიკი: მაან სიტყვები გვიბრძანა: სულ აქ დავიბარებ და თქვენ ამბავ ყველას შევიტყობთო.

— ემაგისთვის იდებდით მაგოდენა ვალსა და ამდენი ხანი სცდებოდით თქვენ სახლკარსა, რომ რაც მოსავალი იყო, სულ ძაღლ-ღორმა შეჭამა... ვინ უნდა დაიბაროს ახლა იქა?

— ვინ უნდა დაიბაროს და სუდია-მამასახლისი.

— სუდია-მამასახლისს უნდა ჰკითხოს თქვენი ამბავი?! თქვენზედ უკეთესათ ვინ უამბობდა თქვენ ამბავსა? მა რისთვის იყავით იქა, თუ კი თქვენ ამბავსაც არ უამბობდით? სუდია-მამასახლისი რათ ეტყვის თქვენზედ კარგსა.

— დადექი, მეთქი, დედაკაცო, ნუსარ ე ავყია, თორემ, ღმერთის შენი თავდები, ერთ სისხლ შემამთხვევ. აი, დიდება შენთვინ ღმერთო! მა რითვის ვიყავით, შე ოჯახ დანელებულო, თუკი ჩვენ ამბავსაც არ ვეტყოდით! შერითანაები ვიყავით იქა, რო ჭკუას იწავლები! ამითანა ურწმუნო ადამიანი იქნება, რომ ეს ქოფაკი დედაკაცია.... ეიჰ, ეიჰ, ეიჰ!

ეროვნული ბიბლიოთეკა



— იიჰ, მაშ მე ღმერთი გამიწყრეს, თუ თქვენ იქ გაარიგებდით რასმე.—აქ მარინე გავიდა გარეთ რაღაც საქმეზედ.

ქიტესამ ამ სიტყვაზედ ერთი გადაჰბღვირა მარინეს და რომ ვეღარა გააწყოლა, ჯავრისაგან ერთი ძალიან ჩაიკრა გულში მუშტი და მერე გაიქნივ გამოაქნია.

— აბა ჯღანი ჭამიავ, რა მოიტანეთ ქალაქიდამა, რო ძალიან დაქადებულები წახველით!—ეუბნებოდა ქიტესას მეორე დღეს თევდორე ცეტიაშვილი.

— შენი ოჯახის დანელებას!.. დაიცადეთ, შვილოსა, ისე გაგიხადოთ საქმე, რომ იძახოდეთ ნეტავი დედი ჩვენი მუცლიდამ არ გამომძვრალიყავით...

— ვისი ოჯახის დანელებაო, რა თქვი!—წამოუხარჩლა თევდორეს მეორე ძმა და წამოვიდა ქიტესასაკენ.

— შენ ხო არ გელაპარაკები, ჩემო ძმავ, შენ რა გინდა, ბნედიანო.—და ქიტესამ დაიწყო უკან წევა.

— ვინ არის ბნედიანი!—შემოუტია მესამე ძმამ და აქ ქიტესამ მოცხრილა. სამივ ძმები გამოეკიდნენ ამას.

ქიტესა ეცა თავის სახლს, სადაც აპირებდა თავის შეფარებას, მაგრამ დაუხვდა დაკეტილი. ის მიიყუჟა კარებთან, და დაიწყო იმის მხრებზედ იფნის სახრეებმა ყაპა-ყუპი.

— მამკალით, შვილო, მამკალით!—იძახდა ქიტესა:—რაც გინდა მიყავით,—და თან, თავპირზედ იფარებდა ხელებს, რომ სახრეები არ მოჰხვედროდა სახეში.

აქ უცებ დატრიალდა საიდამღაც კეტი და თევდორემ თავსისხლიანმა წაიჩოქა. ძმები მიეტანნენ ამას ასაყენებლად, და, როდესაც ერთი იმათაგანი დაიდრიკა, ერთი სავსე ქვაბი მდუღარე წყლით დაეშვა თავზედ.

— ჭაი, თქვე ბოროტებო, თქვენა!—დაჰკივლა ამათ თავს მა-

რინემ რომელსაც ღვდლის სათონედამ მოჰქონდა მდუღარე წყალი, რომ გამოეცხო ქერის ხმიადი, რომელიც ამან აიღო ჭურის საცხობში ერთ აზნაურისაგან.—შეგრჩათ განა იმ დღეს!—და ამან წამოავლო კიდევ გეტს ხელი მესამე ძმის სათავაზებლათაც, მაგრამ დაიჭირეს.

— ეს არის, ხო დავხოცეთ! ხო მომიკალით ეს ორ-ორი ძმა!.. შეგრჩეთ, შეგრჩეთ!—იმუქრებოდა მესამე ძმა.

თევდორე მალე მოსულიერდა და ისე თავსისხლიანმა გასწია მამასახლისისაკენ. მეორე ძმას მდუღარისაგან სულ გასძვრა თავზედ ბალანი და წვერ ულვაში.

— ეს კარგი ამბავია,—იძახდა ის, რამდენიც მოისვამდა ბალანზედ ხელს და ბალანი შერჩებოდა ხელში.—მაშ სამართალი აღარ სადა ყოფილა! ერთმა წუპაკმა დედაკაცმა ეს უნდა გვიყოს.—და ამანაც მთელი სავსე ჯღუზა ბალნით ხელში გასწია მამასახლისისაკენ.

პატარა ხანს უკან მიაწიალებდნენ სატუსაღოში მარინესა და ქიტესას.

— სატუსაღოში დავლპები, ციმბირში წავალ და მაგათ კი თავს არ დავაჩაგვრინებ,—იძახდა გაბრაზებული მარინე:—ეგ წმინდი გიორგის გიჟები. ეგენი!

9

— აბა, შვილო! ან თქვენ რაზედ ცდებოდით, ან ჩვენ რაზედ მოგვაცდინეთ ამითანა სისხლი ღვრის დროსა?! თქვენ გაჩეხაში ღმერთი ურევია!—ეუბნებოდნენ ბერის და სხვა უმამულო გლეხებს სუდია —მამასახლისი, დაბრუნებული ნაჩალიკიდამ.—გვიბრძანა როგორც აქამდის უღიათ, ახლაც ისე გაიღონო.

— აი, დიდება შენთვის ღმერთო! — გადიწერა ბერომ გაოცებულმა პირჯვარი: — ვაჲო, და რო გვიღია, ჩვენ ხო აქამდინ არ ვიცოდით კამალარიაში როგორ ვეწერენით. ეს, შვილო, წრეულს არ გავიგეთ; ღმერთმა ადღეგრძელოს, ი ხაზინადრის პოპოშნიკმა არ გვიბძანა თითონ. არ გეყოთ, შვილო, რაც აქამდინ მეტი ხარჯი გაძლიეთ.

— გვაძლიეთ, თქვენი სახლკარის ამოწყვეტამა, სულ ჩვენ ჯიბეში მიდიოდა! ჩვენ რათ გვაძლიეთ, შვილო, გადასახადი იყო, და გადიხადეთ. ჩვენ რა, რო ჩვენზედ თავს იქნევთ.

— მაშ ოჯახი ამამიწყდეს, თუ ეგ მაგათი მოგონილი არ იყვეს, — დაიწყო ქიტესამ: — ნაჩალიკი მაგას რათ გიბრძანებდათ! მაგრამ სულ თქვენა ხართ, თქვენა. მინამ თქვენი სინსილა არ გაწყდება, ჩვენ ქვეყანაზედ არ გვებოგინება.

— აჭაი, ჯღანავ! აჭაი, ჯღანავ! შეგრჩა, განა! — შემოუტიეს ოთხთა ძმათ ცეტიაშვილებმა.

— შენ დაღექი, შენ ვინა გკითხავს, შე ოჯახდაქცეულო! — შეუტია ბერომ ქიტესას.

— მკითხავს კი არა, ღმერთია შენი თავდები, სულ მაგათგანა ვართ დაღუპულები... აბა, შვილო, მე რა შემიძლიან, საიდამ უნდა გვიღო მაგოდენა ხარჯი. ცოლშვილ ხო ვერ გავყიდი.

— რატო არ შეგიძლიან, შვილო! — დაიწყეს სუდია-მამასახლისმა: — ოროლი შვილი გყავს სამოვარზედა.

— სამოვარზედა! ღმერთმა მეტი სამოვარი ნუ შემოიტანოს თქვენ ოჯახში! ბიჭია ი რაღაც თუმან ნახევრათ გვიდგია და იმი ფულით გამოვიკვებენით ამ სიძვირეში. გოგოა, შვილო და რვა მანათათ დგას, და რვა მანეთი რო თქვენ მოგცეთ — მე რიღას მოვაგლასხევარ!.. რითი უნდა ვირჩინო ამას იქით თავი... ერთი ბოჩოლა არა მყავ! ჭა!.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— რო მოკვდე, უნდა ესე გაჭიმო ჭაპანი და ჩვენთანა სწორუღლეი. — დაუწყო თევდორე ცეტიაშვილმა.

— შენ შენთვის დადექი, თევდორე, თორემ ვნახოთ!... იმდღევანდელი ხო გახსოვს. აი, აჰაა! — და აქ ქიტესამ მოისვა ულვაშზედ ხელი.

— ჭვესულობ კიდეცა, შენი აშარი ცოლის უნასვებსს! დასე ამ არა....! — და აქ შემოუტიეს ოთხთა ძმათ.

ქიტესამ მიიხედ-მოიხედა და მარინე ვერსად დაინახა, ამჯობინა სხლიკუდი. სხვებმა დაიჭირეს გაჭირვეულებული ცეტიაშვილები.

— ახლა აგვშენებია აბა ოჯახი, აი! დაიწყეს უმამულო გლეხებმა, როდესაც გაჰშორდნენ სხვა გლეხებს. — აბა რა გვრჯოდა, შვილოსა, ჩვენთვისა ვმსხდარვიყავით შინა. საწყალი კაცისთვის არც გათენებულა, არც გათენდება. იმოდენა წვალება — წვალებათ შეკვრია, ვალი ვალით დაგვედო, ამოდენა საქმეს ცალკე მოვცდით, და ბოლოს გინახე რა გამოვიდა!...

— ეს სულ შენი ბრალია, მე და ჩემა ღმერთმა, ბერო, აი, — დაიწყო ვიღამაც. — სულ შენ აგვშალე. შვილოსა, ძალიან ჭკუაზედ თავსა სდებ, და ვერც კი გააგებინე სამართალს, რაც გვინდოდა და რაც არა.

— მა რა იყო, თუ არ გავაგებინე! ვერ გაიგონა შენმა ყურებმა რაც მოვახსენე და რაც დავაწერინე.

— რა მოახსენე, შვილო!... ქალაქში რაღათ მიგვახეტიბდი, თუ კი ნაჩალიკთან უნდა გვეჩივლა?! ჩვენ სულ ი ქალაქმა დაგვღუპა.

— რათ მოდიოდით, შვილო! თქვენთვის კი ღმერთ ჭკუა არ მოუცია. თქვენც გლეხკაცი ხართ — მეცა.

— ჩვენ, შვილო, რაც საჭირო იყო, ის კი არ დავაწერინეთ ქაღალდში და იმოდენა ფული კი ჩავღუპეთ. — დაიწყო ახლა სხვამ.

— რა უნდა ჩაგვეწერინებინა?

— რა, და ისა, რომ უმამულონი ვართ და კამალარიაში ნაკლები ხარჯი გვაწერია, თქო.

— ღმერთმა ნუ რა გაგაგონოს რა! იქ არ იყავი შე ოჯახსდაქცეულო, რო კლაპარაკებოდი ქაღალდი დამწერს! ხადა გქონდა ე ყურები. მა სხვა რა უთხარი, თუ არ ეგა.

— ცარიელი სიტყვით ვინ დაგიჯერებდა!... რატო კოპიო არ გამოვიტანეთ კამალარიადამა!... კოპიო უნდა გამოგვეტანა და წარგვედგინა.

— ეგ კი, მე და ჩემა ღმერთმა! — დაიწყეს სხვებმა: — კოპიო რო მიგვერთმია, იქნება ასე არ დავნელებულიყავით. ნწუ, ნწუ, ნწუ!... ჯაი რა დავიღუპენით და დავნელდით...

— ახლა შენღა შეუხვალ მარინეს შინა! — სთქვა ქიტესამ მწუხარებით. — ბერო, მაგდანა შინ არი?... ააქ კიდევ არაყი?... წავიდე ერთი პატარა დავლიო, თორემ ამდენ საცოდაობას რომელი ქრიტიანი ადამიანი გაუძლებს.

## 10

მოვიდა ფოჩტის ფულის აკრეფის დრო. სოფელში შეიქნა ალიან ქოთი. სოფელმა, სხვა უმამულო გლეხებს შორის, გამოუცხადა ქიტესა ნაცარგვერამესაც, რომ თუ რიგზედ არ შემოიტანს შეწერილს ფულს — სულ ერთიანად გაუყიდიან რაც აბადია:

— ოჯახი დაგექცეთ, თუ არ გაუყიდოთ!.. რა მაქ, შვილო, რას გაუყიდით. ეს ერთი ამაღლებული სული მაქ და... აქ ქიტესამ ისეთი სიტყვები დახარჯა, რომ ჩვენ მკითხველებს სიზმრათაც არ მოჭლანდებიათ.

— შენ მაგი დარდი ნუ გაქ. სულ წმინდა ბაჯაღლო ოქროებ დაგათვლევინებთ, — ეუბნებოდნენ სუდია-მამასახლისი.

ქიტესამ გასწია ზეროს მეუღლე მაგდანასაკენ.

— მაგდან, ერთი შენი დაძმობის ჭირიმე, ერთი ყანწი არაყი სადმე გექნება... არ ვიცი, ძმავ, სად გავეცალო ამ სოფელს... ერთი თქმით ჩვენი დაღუპვა უნდათ მაგ სახლ-კარ ამოსაწყვეტელებსა... რითი უნდა ახლა პასუხი გავცე და რა ამოწყვეტა უნდა ვქნა... ჩვენ გაჩენაში ღმერთი ურევია!...

მაგდანამ მოართვა არაყი. ქიტესამ მეორეც მოითხოვა, შემდეგ მესამეც, და გასწია შინისაკენ.

— ეს ჯერ ექვსი მუშისაა შენზედ არაყი, აი — უთხრა მაგდანამ მიმავალს ქიტესას.

— დიახ, დიახ! ჭეშმარიტი ბრძანებაა... შენ ამაგ როგორ დავივიწყებ, მე და ჩემმა სულმა... მე შენ მოგასხსენო, თუ ე შენია არაყი არა... აქამდინ არ ვიცი რა მომივიდოდა...

ქიტესა ცოტა შეზარხოშებული დაბრუნდა შინ.

— დედაკაცო, აბა ახლა ე ამითანა გაჭირვების დღე რო დაგვდგომია — რა უნდა ვქნათ!...

— მე რავიცი, რაც გინდა ქნი. როგორც ცოლშვილის აკიდება იცოდი, ისე კიდეც უპატრონე სხვებსაც და შენ თავსაც.

— ეგება ერთი წასვიდე და ი გოგოს საჯამაგირო გამოართვა, რაღაც რვაოდე მანათია.

— უი, შენი თვალების დაბრმავებასა! სხვა კი აღარა გინდა რა... შენოვის არ გავიმეტე ი გოგო სახლიდამა... ი ფული აი ძროხის სასყიდლათ მინდა, რომ ეგება სახლში ერთი ბოჩოლა გამოვზარდოთ... რაღა მიქნია, რომ ის ფულიც სახლიდამ გაგატანინო.

— ახა, დიდება შენთვისა, ღმერთო! მაშ რავქნა, დედაკაცო!... ქრისტიანი სული არ გიდგია, შე ოჯახ ამოსაწყვეტო!... მა საიდამ უნდა მივცე... ერთი არ მეტყვი!...

— საიდამაც გინდა მიეცი... მე ამაზედ მეტი მოთმინება აღარ

შემიძლიან... პურის საცხობ ვიღებ — შენ ვალებ უნდება, ბიჭის საჯამაგიროდ — ვალებს უნდება... ახლა ი გოგოს ფული მე მინდა, რო ხახლში ერთი ბღავანიც არის გავიჩინოთ... ჩვენს უსაცოდავესი ქვეყანაზედ ძაღლიც კი აღარ არის...

— დედი! — შემოვიდა და შემოსძახა კარებიდამ პატარა სვიმონამ; — მარო მოვიდა და ისეთი ტირის, რო...

— ქა, მაროს აქ რა უნდა?!..

— რა ვიცი! — და სვიმონა გავარდა.

მაგდანა გაჰყვა თან და პატარა ხანს უკან შემოიყვანა თავისი ერთი თოთხმეტ — თხუთმეტი წლის გოგო, მარო. მარო ძლივს ოსდევდა და გულ ამომჯდარი ქვითინებდა და იფარებდა თვალებზედ! მკლავებს.

— არა, რა გატირებს, არ იტყვი, შე დანელებულის შვილო —ეუბნებოდა იმას მარინე.

მარო უფრო უმატებდა ტირილს.

— თქვი, მეთქი, ღმერთია შენი თავდები, — შეუტია ქიტესა: — თორემ ეს არის გაგხეთქე კვახივით მზედ შუაზედ.

მარო ჩაჯდა ძირს, ჩაჰყო კალთაში თავი და უმატა უფრო ტირილს.

— თქვი, გოგო, რა მოხდა შენ თავსა? — ეუბნებოდა მარინე.

მარო კიდევ ვერას ამბობდა.

— თქვი! თქვი მეთქი, თორემ ეს არი მოგკალი! — მოგკალ, შე ბზელის წიწილო! — დაუტრიალა თავს მუშტები ქიტესამ...

— მომკალით!... რო მომკლათ ის არ მირჩევნიან... მაინც მკვდარი ვარ თქვენგანა და მაინცა... აი მომკალით! — და აქ გამწარებულმა მარომ წაუშვირა თავი.

— თქვი, გოგო, ნუ მომკალ, თორემ ამაზედ მეტი აღარ შემიძლიან, — დაიწყო მარინემ.

— სთქვი!.. რამდენჯერ გითხარით წამიყვანეთ, მეთქი, რო არა შვრებოდით... დღეს ბატონმა გაიგულა ყველანი წირვაზედა... შემომწუდია მარტოკა და...

— ვუი, ჩემს ჩაქოლვასა!—და აქ მარინემ შემოიკრა თავში და ჩაიჩოქა და რამდენსამე ხანს თითქო ჩაუვარდა ენაო.

— მერე?!. მერე?!.—იძახდა ქიტესა: — წაგვწყმინდე?! გამოგვჭერ ყელი?!..

— ვაი ამ დღის მოსწრებასა! — შემოიკრა მარინემ საშინლად თავში და გაიწეწა თმები და გადაჰხედა საშინელის განწირულებით მაროს:—მაშ დავიღუპეთ და მოგვეჭრა საქვეყნოთ თავი?!.

მარომ განწირულებით მოუმატა ტირილს.

— ადექ, გადი, გადი! შენ არა ხარ ჩემი შვილი. მე შენისთანა შვილი არ მინდა... წადი ჩემი სახლიდამ.—სტაცა მარინემ მაროს თმებში ხელი და აითრია ასე გარეთ გასათრევად.

მარო შემოეხვია მარინეს მუხლებზედ და შესტიროდა განწირულებით.

— მამკალი, დედილო! მომკალი! რაც გინდა მიყავ... გასძახოდა ის.

ქიტესა გავარდა სახლიდამ.

— წავალ! — იძახოდა ის,—ხემწიფესთან წავალ... ღმერთამდინ ვივლი, ღმერთამდინა... რაღათ მინდა ქვეყანაში თავი ცოცხალი...

საღამოზედ ქიტესა დაბრუნდა შინ ძალზედ დამთვრალი არაყისაგან.

— ეჰე! რა ცეცხლის, და! . ამას რაღა მომაგონებდა... მოვიკლა თავი — როგორ მოვიკლა და სული როგორ წავიწყმიდო! შვილი მოვკლა, და ეგ ხომ უარეს ცოდოში უნდა ჩავდგე... ჰა! მარინე! სად არი ერთი ი გოგო, მაჩვენე კიდევა... ერთი ვნახო ი ჩვენი დამღუპველი! — დაიწყო ქიტესამ ენა მოკიდებით.

— აი გაგხეთქა წმინდა გიორგიმა, რომ კიდევ გახეთქილხარ სა-ცალას!... აბა, რა გინდა, შე შავდაუგულმა გადასაშენებელო! რაღა შე ...

აქ მარინეს მოერია ცრემლები, რომელიც კვლავ იმას არასოდეს არ მოსვლია.

— მა რა ვქნა, დედაკაცო!.. რატო არ მეტყვი, შე ქიდაბ-მადლო!.. მა რა ვქნა, რო არცკი დავლიო? როგორ გაუძლო ამდენ დარდსა!.. ჭა!... ვაი მეე!... დედაკაცი განა გასაჩენი იყო! — და აქ ქიტესამ ცხარედ ჩაიკრა გულში.

ახტ. ფურცელაძე.

2 იანვარს. 1871 წ.

# ებრაული მელოდია

## ს ა უ ლ ი ს ს ი მ ღ ე რ ა უ კ ა ნ ა ს კ ნ ე ლ ი ო მ ი ს წ ი ნ ა დ

(ბაირონით).

როს, დაკოდილი სასიკვდილოდ ხმლით ანუ ისრით,
დავეცემი მე, გაცხარებულ მტერთან ბრძოლაში,
თქვენ ამით, გმირნო წინამძღოლნო, ნუ შებრკოლდებით!
გადერიენით მტრის სახოცად მტრისა რაზმებში!
თუ ჩემი ჯარი მტერს გაექცეს და შეუშინდეს,
შენ, მეომარო, მტარებელო ჩემის ფარისა,—
მომკალი მსწრაფლად! და ის ბედი ჩემზედ აღსრულდეს,
რომელთანაცა მტერს არა აქვს თავი ბრძოლისა,
მშვიდობით!—მაგრამ მე ჯერ შენა არა გშორდები,
ჩემო მემკვიდრევ! საყვარელო კეთილო შვილო!
ან ჩემს სამეფოს არა უნდა ჰქონდეს საზღვარი,
ან მტერთ ბრძოლაში უნდა ვიქმნა გმირულად მკვდარი,

იოსებ ბაქრაძე.

1871 წ.
ტფილისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჩვენი უზრუნველობის ზოგიერთი ნიშნები

«არც კაცი კარგა თუ ცოცხალი
მკვდარსა ემსგავსოს,
იყოს სოფელში და სოფელს კი
არა რა არგოს».

მინამ რომელიმე ხალხს გარეშე მტრები ესევიან და მოსვენებას არ აძლევენ, მანამდის მისი შინაგანი ცხოვრების გაუმჯობესობა და გაღსნა შეუძლებელია, რადგანაც მას ყოველი დრო, ძალა და საშუალება მტრებთან ბრძოლაში და მათგან თავის დაცვაში უნდება. მაგრამ როცა კი ის ამგვარი მდგომარეობიდამ გამოვა და მყუდროებას მოიპოებს, მაშინ მისი თავ-და-პირველი საქმე და ვალი ის არის, რომ შეუდგეს თავის შინაგანი ცხოვრების გაუმჯობესობას და ის დრო, ძალა და საშუალება, რომლებიც მას (ანუ მის წინაპარებს) მტრებთან ბრძოლაში უნდებოდათ, ამ საქმეს მოახმაროს და თან ერთი-ორად იღვაწოს, რომ დაკარგული დრო დაიბრუნოს. რაღა თქმა უნდა, რომ ჩვენი ქართველებიც ასე უნდა მოქცეულიყვნენ, როცა ჩვენი მამული გამოვიდა იმ სანგრძლივი და სასტიკი ბრძოლისაგან გარეშე მტრებთან, რომელშიაც იმყოფებოდნენ მარად ჩვენი წინაპარნი.—

სანამ ქართველებს გარს-შემორტყმული ყავდათ სხვა-და-სხვა მძვინვარე მტრები და ყოველ ღონისძიებას ალევდნენ მას, რომ როგორმე დაეცვათ მოუსვენარი მტრებისაგან თავიანთი საყვარელი მამუ-

ლი, თავისუფლობა, ენა და სარწმუნოება, ერთი სიტყვით თავიანთი სალხოსნობა, მინამ იმათთვის, რასაკვირველია, შეუძლებელი იყო თავიანთი ცხოვრების გაუმჯობესებაზე ზრუნვა. მაგრამ რაკი საქართველო, როგორც იყო, ამ მდგომარეობიდამ გამოვიდა, მაშინ ცხადია ქართველები ყოველი ღონის-ძიებით უნდა შესდგომოდნენ თავიანთ შინაგანი ცხოვრების გაუმჯობესობას, ესე იგი თავიანთი გონებითი, ზნეობითი, და ნივთიერებითი (მატერიალიური) მდგომარეობის გაუმჯობესობას. ეს უთუოდ ასე უნდა ყოფილიყო, მაგრამ, სამწუხაროდ, ჩვენ სრულებით სხვას ვხედავთ: როცა საწყალი ჩვენი მამული გამოვიდა იმ გაუწყვეტელი ბრძოლისაგან, რომელიც ჰქონდა მას, თითქმის მარად, თავის სიცოცხლეში სხვა-და-სხვა მტრებთან და მიენდო რუსეთის მფარველობას, მაშინ, თითქო დაღლილი და ძალა გამოლეული დიდი ხნის მტრებთან ბრძოლისაგან, მიეცა იგი ღრმას და ხანგრძლივს ძილს. აგერ თითქმის მთელი საუკუნე გადის მას აქეთ, რაც ჩვენმა მამულმა რუსეთის კალთას ქვეშ თავი შეაფარა და ამით გარეგანი მყუდროება მოიპოვა, მაგრამ მას იმ დროდგან დაწყებილი თითქო აქამომდე სძინავს ისე უგრძნობელად ჰრჩება იგი შესახებ სხვა-და-სხვა მოვლინებებისა, რომლებიც ჰხდებიან მის გარეშემო და მის თავზედაც. ეს მით უფრო შესანიშნავი და საკვირველი, რომ ჩვენი დრო ისეთი დროა, რომ საითაც კი გავიხედავთ და ვის ცხოვრებასაც კი გადავავლებთ თვალს, ყველგან დავინახავთ მოძრაობას, მოქმედებას და ერთგულ ლტოლვილებას სიკეთისა და ბედნიერებისადმი, ერთი სიტყვით მას, რასაც «სიცოცხლეს» ეძახიან. ჩვენში კი ჯერ კიდე სულ ძილი და ძილი, სულ უძრაობა და მომაუძლურებელი უმოქმედობა, თითქო ჩვენში სრულებით გამქრალიყოს განმაცხოველებელი სული, ძალა და სიცოცხლის სურვილიც. — ჩვენი უმოქმედობა, ჩვენი ყოველგვარი უზრუნველობა ჩვენს თავზე და ბედზე ამ ჩვენ განათლებულ საუკუნეში, როცა მთელი კაცობრიობა საზოგადოდ და თითქმის ყოველი ხალ-

ეროვნული ბიბლიოთეკა



სი — (ჩვენს გარდა) — დაუღალავად მოქმედებს და გმირული ნაბიჯებით მიეშურება სიკეთისა და სისრულისადმი. სატირალ მოვლინებას შეადგენს ჩვენთვის, რომ რამე გაგვეგებოდეს და ვფიქრობდეთ ჩვენი ეხლანდელი მდგომარეობის ვითარებაზე; მაგრამ ეს ჩვენთვის შეუნიშნავად რჩება, რადგანაც ჩვენ ძილისა და უზრუნველობისთვის მიგვიცია თავი და ამგვარ მდგომარეობაში ყოფნა ბედნიერებად მიგვაჩნია.

ეს წარმოსდგა იქიდგან, რომ რაკი ქართველებმა რუსეთი მფარველად გაიხადეს და მისი წყალობის კალთა გადაიფარეს თავზე, იმათ იფიქრეს, და აქამდისაც კიდევ ფიქრობენ: «რაკი ამისთანა მფარველი და პატრონი მოგვცა ღმერთმა, ჩვენ თავი რათ შევიწუხოთო; ჩვენ მამულს ამდენი ხნის მოქმედება, შრომა, სიცოცხლისათვის ბრძოლა და ტანჯვაც ეყოფაო; ეხლა დრო არის ჩვენ ძილსა და განსვენებას მივსცეთ თავიო და ჩვენი ბედი და უბედობა სულ ჩვენ ახალ მფარველს მივანდოთო». აი სწორეთ ამ გვარი ფიქრით და მოაზრებით ხელმძღვანებულმა ქართველებმა დიდი ხანია დაუტევეს ყოველივე ზრუნვა და მისცეს თავი ღრმა და თითქო გაუღვიძარ ძილს. ეს ჩვენი ძილი, უძრაობა, უმოქმედობა და უზრუნველობა შესახებ ჩვენი ბედისა სჩანს ყველაფერში, რასაც კი ჩვენი სახელი ქვია.

გადავავლოთ თვალი ეხლანდელ ჩვენ ცხოვრებას და ზოგიერთ მის მოვლინებაებს და მაშინ სრულებით დავრწმუნდებით, რომ ყველა ჩემი ნათქვამი ჩვენზე ნამდვილი სიმართლეა და არა მოჩვენება. მაგრამ ეხლანდელი ჩვენი უმზგავსი მდგომარეობა და ღირსებები რომ უფრო ნათლად დავინახოთ ამისთვის მე საჭიროდა ვრაცხ პირველად გავიხსენოთ უწინდელი ჩვენი წინაპარები, უწინდელი ქართველები, და შევადაროთ მათ ჩვენი თავი.

## 1

ყოველი შთამამავლობის პირდაპირი ვალი და დანიშნულება ის

არის, სხვათა შორის, რომ ესმოდეს მას თავისი დროის ანუ საუკუნის მოთხოვნილება და ღირსეულად მსახურებდეს მას. ის არა მარტო იმას უნდა ცდილობდეს, რომ მიითვისოს და დაიცოს ის, რაც მის წინაპარებს შეუქმნიათ და გადმოუციათ მისთვის, არამედ თვითონაც უნდა შესძინოს მას რამე ახალი და ისე გადასცეს მომავალ დგმას. მხოლოდ იმ შთამამავლობას, რომელიც ამას ასრულებს შეუძლია გაბედვით უწოდოს თავის თავს თავისი დროს შვილი და უშფოთველად გამოეთხოვოს ამ სოფელს იმ რწმუნებით, რომ მისმა მყოფობამ და სიცოცხლემ ამაოდ და უკვალოდ არ ჩაიარა. წინააღმდეგ ამისა შთამამავლობა, რომელსაც არ ესმის თავისი დროის მოთხოვნილებანი და არ ცხოვრებს და არ მოქმედებს მის შესაფერად, არ ასრულებს თავის ნამდვილ ვალს და ამიტომ პასუხის მგებელია, როგორც ღვთის ისე იმ ხალხის წინაშე, რომელსაც ის ეკუთნის, რადგანაც ის თავისი უმაქნისობით და უმოქმედობით აჩერებს და აგვიანებს მის წარმატებას. ამ წერტილიდგან რომ შევხედოთ ჩვენ წინაპარებს, და მათ მოქმედებას, ჩვენ არ შეგვიძლია არ ვსთქვათ, თუ კეთილ სინიდისიანად გავხჯით, რომ იმათ ძრიელ კარგათ ესმოდათ თავიანთი დროების მოთხოვნილება და საჭიროებები და კიდეც ღირსეულად ასრულებდნენ თავიანთ ვალს. რაში მდგომარეობდა ეს მათი დროების მოთხოვნილებადა ვალი?

როცა საქართველოს სხვა-და-სხვა მტრები ესევოდნენ, მაშინ მისი მცხოვრებლების უპირველესი ვალი და დროების მოთხოვნილებაც, რაღა თქმა უნდა, ის იქნებოდა, რომ დაეცვათ თავიანთი მამული მტრების უწყალო ხელისაგან. როგორ აკმაყოფილებდნენ ჩვენი წინაპარნი ამ თავიანთი დროების მამულის მოთხოვნილებას ეს ჩვენ კარგათ ვიცით: თუმცა ქართველები ძრიელ ცოტანი იყვნენ, მაგრამ იმათი სიყვარული თავისუფლებისადმი, იმათი ერთგულება, მხნეობა და მარად თავის დაუზოგობა მამულისა და მისი დაცვისათვის, ისე ძრიელი იყო, რომ, მთელი ქვეყნის გასაკვირველად, თითქმის ყოველთვის უძ-

ლეწდნენ და ზოგჯერ კიდეც ძლევდნენ ხოლმე იმ ურიცხვ მტრებს, რომლებიც თითქმის ყოველი მხრიდგან ესეოდნენ მათ და არ აძლევდნენ არაოდეს მოსვენებას. ეს რასაკვირველია იმითი აღისხნება, რომ ყველა მაშინდელი ქართველის სიცოცხლის იდიალი ის იყო, რომ გამოდგომოდა როგორმე ანუ რითიმე ამ საქმეში მამულს და დაემსახურებია მისი დამცველის სახელი: მეფე, თავადი, აზნაური, გლეხი-მღვდელი, ბერი, ერთი სიტყვით ყველა მამაკაცი და ზოგჯერ დედა-კაციც, ყველა მოხუცებული და ახალგაზდა თავ-თავისდა შესაფერად ემსახურებოდნენ მამულს. მაშინდელი მშობლები ერთს და იმავე დროს თან თვითონ ებრძოდნენ მამულის მტრებს და თან უმზადნებდნენ თავიანთ შვილებიდგან მას მომავალ გმირებს. ისინი პატარობიდგან ზრდიდნენ და ავარჯიშებდნენ იმათ სამხედრო საქმეებში და თან საქმით აჩვენებდნენ მაგალითს თუ როგორ ბეჯითად უნდა აღესრულებიათ მამულის დაცვის საღმრთო ვალი. და რაკი ამგვარ მემკვიდრეებს სტოვებდნენ, იგინი უშფოთველად კვდებოდნენ, უმეტესად საომარ ასპარეზზე —მტრებთან ბრძოლაში. თვით შვილებიც ძრიელ კარგად ასრულებდნენ თავიანთ მშობლების მცნებას შესახებ მამულის სამსახურისა საზოგადოდ და მტრებისაგან მისის დაცვისა განსაკუთრებით და, როცა დრო მოვიდოდა, თავის წილად გადასცემდნენ აგრეთვე ამ მცნებას, თავიანთ მამაცობასთან, ახალ დგმას. თუ ეს ასე არ ჰყოფილიყო ცხადია არა თუ ათას და ორი ათას წელს, ერთი საუკუნის განმავლობაშიდაც ვერ შაინახავდა ჩვენი მამული თავისს დამოუკიდებლობასა და თავისუფლებას იმ გარემოებაებში, რომელშიდაც ის იმყოფებოდა უწინ.

მაგრამ ამას ესეც უნდა დავუმატოთ, რომ უწინდელი ქართველების მოქმედება და შრომა მარტო მტრებთან ერთგული ბრძოლით არ თავდება. ისინი სხვა საქმეებშიდაც ისეთივე ერთგული და ბეჯითი იყვნენ, როგორც მტრებთან ბრძოლაში, როცა კი დრო და გარემოება აძლევდათ ნებას. მოიპოვებდნენ თუ არა ცოტა ხნის მოცდ-

როებას, იგინი მაშინვე მაუდგებოდნენ თავიანთი შინაგანი მდგომარეობის გაუმჯობესობას: სცდილობდნენ მაგ. სწავლის გავრცელებას ხალხში, თავიანთ სახ-კარის გამშვენიერებას, ახალი ციხეების აშენებას ანუ მტრებისგან დანგრეულების გასალებას მამულის გასამაგრებლად მომავალ დროებისთვის, სცდილობდნენ ეკკლესიებისა და მონასტრების აგებას და გამშვენიერებას, თავიანთ მეზობელ ხალხებთან მეგობრობისა და კავშირის დაჭერას და სხვ. ვპოებთ უწინდელ დროში ისეთ საუკუნოებსაც, როცა ჩვენი სამშობლო ენა და ლიტერატურა შესანიშნავ ნაბიჯსა სდგამდნენ წინ. ერთი სიტყვით უწინდელი ჩვენი ქართველები ყოველ ღონის ძიებას ხმარობდნენ მისთვის, რომ არ დამორჩილებოდნენ და არც ჩამორჩენოდნენ უკან არაფერში იმ ხალხებს, რომლებიც მათ დასახლოებით სცხოვრებდნენ და რომლებთანაც მათ ცნობა და მისვლა-მოსვლა ჰქონდათ. და აი კიდეც ამისთვის ვსთქვი მე ზემოთ, რომ ჩვენ წინაპართ ყოველთვის რიგიანად ესმოდათ თავიანთი დროების მოთხოვნილება და საჭიროება მამულისა და ყოვლის მხრით სინიდისიანად აუმაყოფილებდნენ მას.

ეხლა რომ შევადაროთ ამ ჩვენ წინაპრებს და ან სხვა რომელიმე ხალხს ჩვენი თავი, ცხადად დავინახავთ ჩვენ უვარგისობას, უზრუნველობას და მოუძლურებას. მე თქვენ გარწმუნებთ, რომ შესაძლებელი იყოს და ვინმე უწინდელ ქართველებთაგანი აღსდგეს მკვრეთით და გამოცხადდეს ჩვენ შორის, ის არა თუ არ გაიხარებს ჩვენი ნახვით და არ ისურვებს ჩვენში ცხოვრებას, არამედ პირიქით, თუკი ცნობა არ გაუჭირდა ჩვენი, სასირცხოთ შეჰრაცხავს გვიცნას უწინდელი ქართველების შთამამავლობად. და ისევ სიკვდილსა და საფლავში წოლას ამჯობინებს, რომ არ დაინახოს გულსაკლავი ჩვენი ეხლანდელი მდგომარეობა;—ისევ საიქიოს წასვლას ამჯობინებს, ვანბობ, ჩვენთან ყოფნას და რა ამბავსაც მიუტანდა ჩვენზე იქაურ თავიანთ მოძმეებს, თვითონაც მისვდებით..... იმას რასაკვირველია ის გააკვირვებდა

და შეაძრწუნებდა, რომ იმ ქართველების შთამამავლობას, რომლებიც იმდენხანს, ისე ენერგიულად და მამაცურად იბრძოდნენ და მოქმედებდნენ თავიანთ ცხოვრებისა და ბედნიერებისათვის, ესლა გვნახავდ ასე მოუძლურებულს და დავრდომილს, ასე გულგრილს და უზრუნველს შესახებ ჩვენი ბედისა, მამულისა და ხალხოსნობისა. მართლადაც ვის არ გააკვირვებს და შეაძრწუნებს საზოგადოთ ჩვენი ეხლანდელი მდგომარეობა! თუმცა თვითეული შთამამავლობის ვალია იმოქმედოს და იზრუნოს შესახებ თავის თავისა და თავის მამულის ბედისა იმგვარად, როგორც მოითხოვს მიწვან ის დრო, რომელსაც ის ეკუთნის და ის გარემოებანი, რომლებიც მას გარს არტყიან, და ანუ კიდე თუ თვითეული შთამამავლობა უნდა სცდილობდეს, რომ ერთი მხრით წმინდად დაიცვას ყოველივე ის, რაც გადმოუცია მისთვის სამკვიდროდ მის წინაპარებს, ხოლო მეორეს მხრით გააუმჯობესოს იგი რამოდენათაც შესაძლებელია და თან შეჰმატოს მას რაიმე ახალი და ამგვარად გადასცეს მის შემდეგ მომავალ დგმას, ცხადია ჩვენ ძრიელ დავშორებულვართ ჩვენ პირდაპირ საქმესა და ვალს.—

ჩვენი წინაპარნი იმისთვის იბრძოდნენ მარად მტრებთან და ჰღვრიდნენ თავიანთ სისხლს, რომ მათ შთამამავლობს არ დაკარგოდათ მამული და არც ხალხოსნობა. და მართლაც იმათ იმდენი იბრძოლეს და ეცადნენ, რომ არ დაუკარგავთ არაფერი, რაც კი ქართველების კუთვნილებას შეადგენდა და გადმოგვცეს ყოველივე ჩვენ, ვითარცა თავიანთ მემკვიდრეებს. მართალია უკანასკნელმა ჩვენმა წინაპარებმა მარად ურჯულო მტრებთან ბრძოლასა და სისხლის ღვრას აჯობინეს მართმადიდებელი რუს ხელმწიფის მფარველობაში შესვლა, მაგრამ ესეც, თავიანთ ფიქრით, ჩვენი სიკეთისათვის ჰქმნეს. იმათ თითქო წინასწარ იგრძნეს თავიანთი მომავალი შთამომავლობის, ესე იგი ჩვენი, უხეირობა, სისუსტე და უზრუნველობა, და ეშინოდათ, რომ ურწმუნო სახელმწიფოებს არ ჩავარდნოდით ხელში და მთლად არ დაგვე-

გარგა სამუდამოდ მამული, ენა და სარწმუნოება; ამისთვის იმათ მართლ-მადიდებელ ხელმწიფესთან მიბარება ამჯობინეს ჩვენი. რომ ჩვენ მართლაც საიმედო შთამამავლობა არ ვიყავით და იმათი შიში და სიფრთხილე საფუძვლიანი იყო, ამას ცხადად ვამტკიცებთ ჩვენ — ჩვენი ეხლანდელი ცხოვრებით, უმოქმედობით და უზრუნველობით.

## II.

მას აქეთ, რაც ჩვენ რუს ხელმწიფის მფარველობაში შავედით გარეშე მტრები აღარ გვაწუხებენ, როგორც ზევითა ვსთქვი, და ამიტომ იმგვარი გაუწყვეტელი ბრძოლისა და მოუსვენრობისაგან, რომელშიც იყვნენ მარად ჩვენი წინაპარნი, ჩვენ თავისუფალნი ვართ. მაშასადამე ჩვენ ეხლა დაუბრკოლებლად შეგვიძლია ვეცადოთ ჩვენი შინაური ცხოვრების გაუმჯობესობას. უმთავრესი ჩვენი საზრუნავი და საცდელი ეხლა არის ერთი მხრით დაცვა ანუ დაუკარგაობა, მეორე მხრით გაუმჯობესობა ანუ სისრულეში მოყვანა ყოველივე იმისა, რაც გადმოუციათ ანუ უანდერძებიათ ჩვენთვის ჩვენ წინაპრებს და ისე ჩაბარება მისი ჩვენი მომავალი შთამომავლობისათვის. როგორ ვასრულებთ ამას ჩვენ შემდეგისაგან დავინახავთ.

იმათ შორის, რაც კი გადმოგვცეს ჩვენ ჩვენმა წინაპრებმა პირველი ადგილი უჭირავთ მიწაწყალს ანუ, როგორც ჩვენში ვეძახით, ადგილ-მამულებს, რადგანაც უამისოდ ჩვენ, ქართველ ხალხს, როგორც მიწის მუშაობის მიმდევარ ხალხს, ისე არ შეგვიძლია ცხოვრება, როგორც თევზს უწყლოდ. ჩვენ ყველამ ვიცით, რომ როგორც უწინდელ დროში, ესე იგი მინამ საქართველოს თავისი საკუთარი მეფეები ჰყავდა, ისე ეხლაც თითქმის მთელი საქართველოს ადგილები ჩვენი ქართველების, განსაკუთრებით თავად-აზნაურების, ხელში არიან; მაგრამ საქმე ის არის, როგორ იცავენ და უვლიან ისინი ამ თავიანთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეიროვასს საუნჯეს?—სამწუხაროდ ჩვენდა, უნდა მართლა ვსთქვათ, რომ ძრიელ ცუდად. ნაცვლად მისა, რომ მაგრად ჩაგვეკიდა ხელი ჩვენი წინაპარების მრავალი საუკუნეების განმავალობაში ბრძოლით და სისხლით დაცული და ჩვენთვის ნაანდერძები ადგილებისათვის და ერთგულად შევდგომოდით მათ რიგიანად მოვლას, შემუშავებას, მათგან უხვად ნაძლევი სხვა-და სხვა ნაირი ნაყოფების რიგიანად მოხმარებასა და გასაღებას და ამგვარად გაგვეუმჯობესებინა ჩვენი ნივთიერებითი მდგომარეობა, რომელზედაც არის დამოკიდებული აგრეთვე გონებითი და ზნეობითი მდგომარეობის გაუკეთესება და გავითარებაც, ჩვენ მივყავით ხელი და დაუფიქრებლად ვაძლევთ იმათ ვალებში, თითქო, ჩვენ სიცოცხლესა და ცხოვრებას აღარ ვაპირებდეთ დედა-მიწის ზურგზე და აღარ ვსაჭიროებდეთ იმათ, თითქო ჩვენი საკუთარი კეთილ შექმნილი იყვნენ და მოვალენი არ ვიყვეთ გადავცეთ უკლებელად მომავალ შთამომავლობას ყველა ის ჩვენი ადგილ-მამულები, რომლებიც მიგვიღია ჩვენი წინაპარებისაგან მარტო სახმარად და სასარგებლოდ ჩვენ სიცოცხლეში და არა გასასყიდლად და შესაჭმელად.

რით აიხსნება ესეთი სამწუხარო მოვლენა ეხლანდელ ჩვენ ცხოვრებაში?

მინამ ჩვენი ქართველები რუსებს დაუახლოვდებოდნენ და მათგან ევროპის განათლებული ხალხების ცხოვრებას გაიცნობდნენ, მანამდის ისინი ცხოვრებდნენ, თუ შეიძლება ასე ითქვას, თავიანთი საკუთარი ცხოვრებით, ესე იგი მათი ლტოლვა, ნდომა, ჩვეულებრივი საჭიროებანი, კმაყოფილებანი და გართვა არ გადიოდნენ იმ წრეს გარეთ, რომლითაც მათი გონებითი, ზნეობითი და განსაკუთრებით ნივთიერებითი მდგომარეობა შამოიფარგლებოდა. იმათ ცხოვრებაში და მოქმედებაებში ვერ შეხვდებოდით თქვენ იმგვარ ვერაფერს, რომელიც მათი საკუთარი ცხოვრებიდგან არ მომდინარეობდა და რომლის დაკმაყოფილება მათ შეძლებასა და ქონებას გადაჰმეტებოდა. ქართველებს

მართალია ყოველთვის უყვარდათ, როცა კი დროება აძლევდა ნებას, ქეიფი და შექცევა, მაგრამ იმგვარი საგნებით და საშუალებებით, რომლებიც თვითონ ხელად ჰქონდათ. ქართველს უყვარდა მაგ., სხვათა შორის, ყოველთვის, როგორც ახლა უყვარს, სტუმრობა, ლხინი და ღვინის ბლობად მირთმევა; მაგრამ ამგვარ ხარჯს ის არაფრად აგდებდა და თავის დღეში ამისთვის ვალს არ აიღებდა, რადგანაც ის ყოველთვის მდიდარი იყო, პურითა და ღვინით, თავისი კარგი მიწა-წყლის წყალობით. აქედგან ვალიანობა ქართველებში უწინ ძრიელ ნაკლებად იყო და თავიანთი ადგილ-მამულები ძრიელ მაგრად ეჭირათ ხელში. მაგრამ მასაქეთ კი, რაც ჩვენ რუსეთს დაუახლოვდით და იმათი შუამდგომლობით გავიცანით ევროპის განათლებული ხალხების განვითარებული ცხოვრების გ ე მ ო, კ ო მ ფ ო რ ტ ი, კმაყოფილებები და სხვა და სხვა გვარი საშუალებები დროების გასატარებლად ანუ გასართობად, 1) მასაქეთ სულ სხვა მოვლინებებს ვხედავთ ჩვენ ცხოვრებაში. ჩვენ აღარ ვჯერდებით მარტო იმგვარ ცხოვრებას და იმგვარ კმაყოფილებებს, რომლებსაც შეჩვეული იყვნენ უწინდელი ქართველები და რომლებისთვისაც ჩვენი საკუთარი ქონება საკმაო იყო. ჩვენ მოვინდომეთ—რასაკვირველია აქ ყველაზე ლაპარაკი არ არის—განათლებული ხალხების მიბაძვა,—შინაგანი ღირსებებით, ესე იგი სწავლით, განათლებით და ზნეთი კი არა,—გარეგანი შეხედულობით და ზოგიერთი მოქმედებებით, მაგ. ჩაცმით, დახურვით, საჭმლით, სასმლით, სადგომში მოწყობით, სტუმრობით და სხვა-და-სხვა,—ჯიბის გამთხელებელი დროს გატარებებით და სხვა.

ამ გვარი ახალი ცხოვრებისა და კმაყოფილებებისთვის, რაღა თქმა უნდა, ჩვენი ჩვეულებრივი შემოსავალი და საშუალება საკმაო

---

1) ამ საქმეში ძრიელ მოუმართა ხელი ჩვენ არისტოკრატებს, სხვათა შორის, განსვენებულმა კ. ნამესტნიკმა «ვარანცოვმა».

აღარ იქნებოდა. მაშ მეტი გზა აღარ იყო უნდა ვალები აგველო ვისა-განმე, რომ პრანწვაში ჩვენ სხვებს და ერთმანერთსაც უკან არ ჩამოვრჩენოდით. და მართლაც ვიწყეთ ჩვენ ვალების აღება, რომელიც აქამომდე სულ თან-და-თან წარმატებაში მიდის. ვალების ასაღებად ჩვენ ორი კარგი წყარო გამოვნახეთ: ერთი გამოუღლეველი «პ რ ი კ ა ზ ი» და მეორეც მდიდარი «სომხები». როგორც პირველიდგან, ისე მეორებიდგან ვიღებთ ფულებს ათასობით და ათი ათასობით და რადგანაც სხვა არაფერი გვაქვს, «გირაოდ» ვაძლევთ ჩვენ სარჩო «ადგილ-მამულებს». აღებულ ფულებს ვხარჯავთ ჩვენ სულ უსარგებლოდ და მომეტებულ პრანწვაში და სხვა-და-სხვა ნაირ კმაყოფილებაში. ვალები კი სულ თან-და-თან იზრდებიან სარგებლით და როცა ვადა გადის და გადახდის დრო მოდის, ჩვენ გადახდის გზა არ საითა გვაქვს. ამას რაც მოსდევს, ის ყველამ ვიცით: ჩვენი ადგილ—მამულები ისყიდებიან შეცილებით (ტორგით), გვეცლებიან შესანიშნავი სიჩქარით ხელიდამ და ამგვარად ის ჩვენი საცხოვრებელი, რომლისთვისაც ჩვენი წინაპარნი იბრძოდნენ მტრებთან და ჰღვრიდნენ სისხლს, ჰხდებიან მდიდარი სომხების საკუთრებად. თუ გსურთ გაიგოთ, როგორ ხშირ-ხშირად ჰხდება ჩვენში ასეთი ამბები, გადაავლეთ გაზეთს «კავკაზს» თვალი და თითქმის ყოველ ნომერში იპოვით განცხადებებს ამგვარი შინა-არსით: «ამა და ამ თავადის ანუ აზნაურის მამული, ამა-და-ამ რიცხვს ისყიდება ვალში» და სხვ... ამასთან ისიც მიიღეთ მხედველობაში, თუ გამოუცხადებლათ რამდენი მამულები მიაქვთ ყოველი წლის განმავლობაში ჩვენი თავადებისა და აზნაურებისაგან იმავე ფულიან სომხებს ვალებში და მაშინ ადვილად წარმოიდგენთ: რა სისწრაფით გვეცლება ჩვენ ხელიდგან ჩვენი სამშობლოს ადგილები და ან რითი უნდა გათავდეს ეს, თუ არ მოისპო.

ეს სამწუხარო მოვლენა რასაკვირველია არ მოხდებოდა ჩვენში, თუ ჩვენ თავიდგანვე ჭკუიანად დავრჩენოდით ჩვენ თავს, ესე იგი თუ

შევდგომოდით სწავლასა და განათლებას, შეგვესწავლა ჩვენი უხვი ადგილ-მამულების რიგიანად მოვლა და მათი მონაცემის გამოყენება; მაშინ ჩვენი შემოსავალი იმოდენად მოიმატებდა, რომ როგორც უნდა გვეცხოვრა და ვისთვისაც უნდა მიგვებაძნა, მაინც გვეყოფოდა ის ჩვენ ხარჯად. მაგრამ არა,—ჩვენ ასე არ მოვიქცევით: ჩვენ—ჩვენ ადგილ—მამულებს მამა-პაპურად მოვლა არ მოუშალეთ და თვითონ კი მამა-პაპურად ცხოვრებას აღარ ვჯერდებით და თითქმის არც შეიძლება, რომ დავჯერდეთ, რადგანაც ჩვენი ეხლანდელი მდგომარეობის პირობები და გარემოებები შეიცვალნენ. მაშ რა უნდა ვქმნათ?—რა გვიშავს სანამ კი «პრიკაზში» და მიკირტუმ—პოლოსების ჯიბეში ფული არ გამოილევა. აქ კი, ნუგეშინიათ, თავის დღეშიაც არ დაილევა ფულები. მაგრამ, მართლა, მამულები და მიწა-წყალი რომ გამოგველიოს? ოო! მამულებიი?—ეს სხვა საქმეა და მალეც შეიძლება რომ მოხდეს, მაგრამ ამაზედ იმათ იფიქრონ, ვინც მიწა-წყლისა და მამულების პატრონები არიან და თვითონაც ადვილად მიხვდებიან, თუ რა მოელით მაშინ იმათ და საქართველოსაც?... აი როგორ ვაფასებთ, ვიცავთ და უვლით ეხლა ჩვენ—ჩვენს მამულს, რომლისათვისაც უწინ ჩვენი წინაპარები თავიანთ თავებს არ ზოგვიდნენ!!

ჩემი ნალაპარაკები ზემოთ რასაკვირველია სრულ ყველა მამულების მეპატრონეებს არ შეეხება.—არიან ჩვენში, თუმცა ძრიელ მცირედ, ისეთი მეპატრონეებიც, რომლებიც არათუ არ ჰკარგვენ თავიანთ საკუთრებას, არამედ კიდევაც უმატებენ იმას. ამგვარებს ეკუთნიან, ზოგიერთი დიდი მამულების პატრონებს გარდა, თითქმის მთელი ჩვენი გლეხ-კაცობა; მაგრამ ამ უკანასკნელებს ისე ცოტა აქვთ მიწები, თავად-აზნაურებთან რომ შევადაროთ, რომ იმათ დიდი მნიშვნელობის ჰქონა არ შეუძლიათ, თუკი პირველებს გამოეცალათ ხელიდგანმიწები და სხვის ხელში გადავიდა. მოვლასკი რაც შეეხება თითქმის გაურჩევლად ყველანი ერთნაირად — მამა-პაპურად უვლიან თავიანთ მამულებს. ასე

რომ მთელი საქართველო რომ დაიაროთ ორიოდეს თუ იპოვით ისეთ მეპატრონეებს, რომლებსაც შემოეღოთ თავიანთ მეურნეობაში რამე ახალი—ევროპიული. ყველანი: მდიდარი და ღარიბი, თავადი, აზნაური და გლეხი, სწავლული და უსწავლი სულ ერთნაირად—მამა-პაპურად აკეთებენ და უვლიან თავიანთ ვენახებსა და ყანებს. ერთი სიტყვით ამ ჩვენ განათლებულ საუკუნეში, როცა თითქმის ისეთ ხალხს ვერ იპოვით, რომელიც არ სარგებლობდეს მეურნეობაში იმ ახალი ცოდნით და საშუალებებით, რომლებიც მოუგონიათ, ცხოვრე-ის გასაუმჯობესებლად, განათლებულ ხალხებს და რომლების მოხმარებით და შემწეობით დედა-მიწაც უმფრო ბევრს იძლევა და ძალისა და დროს მოგებაც შეიძლება, ჩვენ დაგვისხავს თვალები და პირდაღებული შევყურებთ ჩვენ, შეიძლება ვსთქვათ, ველად გაშვებულ (გაველანებულ) ადგილებს და თუ მოგვცეს რამე—ვჭამთ, და თუ არა—ბედსა და იღბალს უჩივით.

რას ამტკიცებს ყველა ეს, თუ არა ჩვენს უმეცრებას, ეხლანდელ დროებისა და მისი მოთხოვნილების ყურის უგდებლობას ჩვენი მხრით, ჩვენ უზრუნველობას შესახებ ჩვენი ბედისა და ერთი სიტყვით—ჩვენს უვარგისობას და მოუძლურებას?!

## III

მეორე, რაც მიგვიღია ჩვენ ჩვენი წინაპარებისაგან და რაც აგრეთვე დიდ გაფრთხილებას, მოვლას და გაუმჯობესობას ითხოვს ჩვენგან არის ჩვენი »სამშობლო ენა«. რა ძვირფასია ყოველი ხალხისთვის თავისი სამშობლო ენა, ამის დაფასება ყველას შეუძლია, ვისაც ესმის ენის მნიშვნელობა კაცისათვის. ჩვენ კი მხოლოდ იმას უნდა მივაქციოთ აქ ყურადღება, თუ როგორ ვიცავთ ჩვენ და ვცდილობთ სისრულეში მოვიყვანოთ ჩვენი სამშობლო ენა.

ჩვენი ქნის ბედი მჭიდროდ არის შეკავშირებული საზოგადოდ ჩვენი ეხლანდელი აღზრდისა და სწავლის ბედთან. მაშასადამე თუ გვინდა გავიგოთ როგორ მდგომარეობაშია ეხლა ჩვენი სამშობლო-ენა, ჩვენ უნდა გადავავლოთ თვალი ეხლანდელ ჩვენი აღზრდის საქმეს.

რაკი ჩვენ ჩვენი ბედი ჩავუგდეთ ხელში რუსეთს და ჩვენ უზრუნველობას მივეცით თავი, იმას ცხადია უნდა ეზრუნა, ჩვენ ნაცვლად, ჩვენ განათლებაზე. ეს ასეც მოხდა: ახალმა მმართებლობამ, რაკი ეკისრა ჩვენი მოვლა და პატრონობა, მაშინვე მიაქცია ყურადღება ჩვენი გონებითი მდგომარეობის შეცვლას და დაიწყო ყმაწვილების თხოვნა სასწავლებლებში სახელმწიფო ხარჯზედ აღსაზრდელად, [redacted]

[redacted]

რომ უმეტესი ნაწილი ჩვენი მშობლებისა არაფერს ასწავლიან თა-

ვიანთ შვილებს სახლში შკოლაში შეყვანამდის, ეს ჩვენ კარგა ვიცით. მაშასადამე შკოლაში შეჰყავთ იმათ ისეთი ყმაწვილები, რომლებმაც ჯერ არაფერი არ იციან, თვინიერ ქართული ლაპარაკისა. [redacted]

. . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . .

. . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . ამ გვარი მზრუნველობის შედეგი ცხადია: რადგანაც ყმაწვილებს იმდენი მოსაზრება არა აქვთ, რომ გაიგონ ნამდვილი მიზეზი [redacted], იმათ ჰგონიათ, რომ სამშობლო ენაზე ლაპარაკს..... რომ არა ღირს მაზე ლაპარაკი. აქედგან უვარდებათ გულში თავიანთი სამშობლო ენის სიძულვილი, და ერთგულად აღარ ეკიდებიან მის სწავ-

ლას არც მაშინ, როცა იმათ აქვთ დანიშნული ზოგიერთი საათები განსაკუთრებით ქართული კითხვისა და წერის სასწავლებლად.—ასეა დაბალ კლასებში.

ეხლა ჩვენ საშვალ სასწავლებლებშიაც შევიხედოთ, ესე იგი გიმნაზიებში, სემინარიაში, ინსტიტუტში, ზავედენიებში და სხვ. და გავსინჯოთ როგორ მდგომარეობაშია ქართული ენის ცოდნა.

გიმნაზიებში რასაკვირველია უფრო შესაძლებელი იყო ჩვენი უმაწვილებისათვის ესწავლათ, რუსულ ენასთან და სხვა საგნებთან, თავიანთი სამშობლო ენაც, რადგან აქ ერთი ეს რომ იმ ხნის უმაწვილები იზრდებიან, რომლებსაც უფრო გაეგებათ ავი და კარგი, ვიდრე დაბალი კლასის უმაწვილებს, მეორეც ამ სასწავლებლებში აქვთ იმათ განსაკუთრებითი მასწავლებლები ქართული ენისა. [redacted] აქ თუმც არ ივიწყებენ ჩვენი უმაწვილები თავიანთ სამშობლო ენას ისე, როგორც ზემოთ მოხსენებულ გორ-[redacted], მაგრამ მაგიერად ისე საშინლად რუ-ვნიან იმას, რომ იმათ ლაპარაკსა და ნაწერს ისეთი ქართველი ვერ გაიგებს, რომელსაც რუსული არ უსწავლია. ეს მისთვის, რომ ისინი სამ სიტყვას ვერ იტყვიან ქართულად ისე, რომ იმათგანი ორი ანუ ერთი მაინც რუსული არ იქნება. იმათ ლაპარაკს რომ ყური დაუგდოთ, თქვენ ხშირად გაიგონებთ მათგან ბევრ ამგვარ სიტყვებს:» ვიზანიმაციოთ, ნე ზნაით დამწერა, სტროლია, ზუბრიაკია, ბეზ აბედათ დააგდეს» და სხვ. ქართულად წერისა და კითხვის ცოდნას რაც შეეხება, ამაში კიდევ უფრო უხეირონი არიან იგინი. ვინ არის ამაში დამნაშავე? ჩვენ არ შეგვიძლიან, რასაკვირველია, თვითონ მოსწავლე უმა-

წვილებს დავსდვათ ამაში სრულებით ბრალი. ამაში ბრალეულნი უფრო მომეტებულად არიან საზოგადოდ ჩვენი მშობლები, რადგანაც ისინი სრულებით არ ზრუნვენ, რომ მათმა შვილებმა შეისწავლონ თავიანთი სამშობლო ენა როგორც რიგია. რაღა თქმა უნდა მათი პირ-და-პირი ვალია, რომ, [redacted] ასწავლონ თავიანთ პატარა შვილებს პატარაობიდგან, სანამ სასწავლებლებში შეიყვანებდენ, ქართული ლაპარაკი, კითხვა და წერა ისე, როგორც სხვა ქვეყნებში იქცევიან მშობლები და მაშინაც ყური უგდონ ამ საქმეს, როდესაც მათი შვილები სასწავლებლებში იზრდებიან, რომ ისინი გულგრილად არ უცქეროდნენ თავიანთ დედა ენის შესწავლას. [redacted]

რაც [redacted]

ეროვნული ბიბლიოთეკა

[redacted] ჩვენ სასულიერო სემინარიაში ქართული ენის სწავლება, მაგრამ მაინც არ შეიძლება არ შევნიშნოთ, რომ აქაურმა მოსწავლეებმა ბევრად უფრო კარგად იციან ქართული ენა, ვიდრე სხვა ჩვენებური სასწავლებლების მოსწავლეებმა. აქ შეგიძლიანთ ჰნახოთ თქვენ ბევრი ყმაწვილები, რომლებიც ისე გავარჯიშებული არიან ქართულ ენაში, რომ არა თუ რიგიანი ბაასი შეუძლიანთ, მწერლობასაც კი ახერხებენ. ეს აიხსნება სხვა-და-სხვა გარემოებისაგან, რომლებთაგან უმეტესი ნაწილი თითონ მოსწავლებზეა დამოკიდებული. მაგრამ სხვათა შორის იქნება ის გარემოებაც ეხმარებოდეს იმათ ამ საქმეში, რომ სემინარიელების მამებთაგანი უმეტესი ნაწილი არიან მღვდლები, რომლებიც პატარაობიდგანვე წვრთვნიან თავიანთ შვილებს ქართულ ენაში და არც მაშინ აგდებენ უყურადღებოდ იმათ, როცა ისინი სემინარიდგან დათხოვნილები დროებით მიდიან თავიანთ თემშობლების სახლში.

[redacted] ჩვენ საქალებო სასწავლებლებშიც ასწავლიან როგორც ვიცით სამშობლო ენას ჩვენ ახალგაზდა ქართველ ქალებს: თვითეულ მათგანში არის დანიშნული ქართული ენის მასწავლებელი და საკუთარი საათები ქართული ენის კლასებისთვის. არ ვიცი როგორ გულ-და-გულ ასწავლიან იქ ქართული ენის მასწავლებლები; მაგრამ ეს კი ვიცი, რომ თითქმის ყველა ახალგაზდა ქალებმა, რომლებსაც »ინსტიტუტებს« და »ზავედენებს« ეძახიან ჩვენში მალიან ცუდად იციან ქართული, არა თუ წერა და კითხვა, ლაპარაკიც. ბევრს ისეთებსაც შეხვდებით მათ შორის, რომლებმაც ან სრულებით არ იციან სამშობლო ენაზე ლაპარაკი და წერა-კითხვა, და ან კიდე თუ იციან, ისეთი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცუდი შეხედულობა აქვთ, სამწუხაროდ, იმათ ამ საგანზე, რომ თავიანთ სამშობლო ენაზე ლაპარაკი საშინელ დიდ სირცხვილად მიაჩნიათ, მაშინ როდესაც სხვა ენებზე ლაპარაკობას, თუ გინდა არც იცოდნენ კარგა ეს ენები, საქებურად სთვლიან. ძალა ადვილად შეგიძლიათ წარმოიდგინოთ: რა კარგი ქართველი დედები იქნებიან ესენი, რა კარგა ასწავლიან თავიანთ შვილებს სამშობლო ენას და ჩაუნერგვენ მისდამი სიყვარულს აკვანიდგანვე.

ყველა ჩვენი ნათქვამიდგან ჩვენი ყმაწვილების აღზრდის შესახებ ცხადათა სჩანს, რომ იმათ არ ეძლევათ პატარაობიდგან—ოჯახში და საშუალო სასწავლებლებში რიგიანი სწავლა შესახებ თავიანთი სამშობლო ენისა და ამიტომ ან სრულებით არ იციან იმათიგი და ან თუ იციან, ისე ცუდათ, რომ არ შეიძლება ამგვარ ცოდნას ცოდნა დაუძახოთ. აი როგორ მდგომარეობაში არის, ჩვენი უზრუნველობის გამო, ჩვენი სამშობლო ენის ცოდნა ეხლანდელ დროში და ჩვენ კი არ ვნიშნავთ-იზე დავზრმავებულვართ ამას და ან კიდე თუ ვნიშნავთ, ისე გულ-გრილად უყურებთ, თითქო ჩვენ არ შეგვეხებოდეს ეს საქმე. მაგრამ ჩვენი მოხუცებული ქართველები მაინც კიდე, არა მიმხედველნი ასეთი თავიანთი უზრუნველობისა და დაუდევარობისა, საშინლად ჯავრობენ, როცა ხედვენ, რომ მათმა შვილებმა არ იციან რიგიანად ქართული.

მარტო თავიანთ »ადგილ-მამულების« გაუფრთხილებობაში და მოუვლელობაში, თავიანთ »სამშობლო ენის« დაუცველობაში და დავიწყებაში არ იხატება სრულებით ეხლანდელი ჩვენი უზრუნველობა და უმოქმედობა შესახებ ჩვენი ბედისა და სვესა: ესეთვე უზრუნველობას ვიჩენთ ჩვენ ყველაფერ კეთილ და სასარგებლო საქმეში, რომელიც კი ქართველების სახელით არის განათლული.

## IV

როცა ეხლანდელ ქართველებზე და მათ უზრუნველობაზე ვლაპარაკობთ არ შეიძლება არ გავარჩიოთ ძველი თაობიდგან ის ჩვენი დროს ახალგაზდა ქართველები და მათი მოქმედება, რომლებსაც

მიუღიათ ანუ იღებენ განათლებას მაღალ სასწავლებლებში, ბრუნდებიან თავიანთ სამშობლოში და გამოდიან ცხოვრების ასპარეზზე.

იმ გარემოებიდგან, რომლებიც ჩვენ ვაჩვენეთ ზემოთ შესახებ ჩვენი ყმაწვილების აღზრდისა ჩვენებურ დაბალ და საშუალ სასწავლებ-[illegible], ადვილად შეუძლია მკითხველს მიხვდეს, თუ როგორი წევრები უნდა ჰყოლოდა ჩვენ საზოგადოებას, რომ ამ ზემოთ მოხსენებულ სასწავლებლებში აღზრდილი ყმაწვილები ყველანი მართლა იმათში მიღებული სწავლით ათავებდნენ თავიანთ განათლებას. მაგრამ არიან, თუ ბევრი არა ცოტა მაინც, ისეთი პირები, რომლებიც აქაურ სწავლას არ აკმარებენ თავიანთ თავს და მიდიან განსაკუთრებით რუსეთის მაღალ სასწავლებლებში სწავლის გასაგრძელებლად. დიდი ხანი არ არის მას აქეთ, რაც ჩვენ ახალგაზდობაში დაიწყო ამ გვარი სურვილი და ლტოლვილება მაღალი სწავლისადმი, მაგრამ ისე გაძლიერდა ეს პატიოსანი წადილება მათ შორის, რომ ეხლა ხეირიან მოსწავლეებში ვერ იპოვით თქვენ, ვერც გიმნაზიებში და ვერც სემინარიაში, ისეთ შაგირდს, რომელსაც არ ჰქონდეს მაღალ სასწავლებლებში წასვლის სურვილი. მხოლოდ, სამწუხაროდ ჩვენდა, უმეტესს და უკეთესს ნაწილს მათგანს ჰხვდებათ აქაც წინ ისეთი უძლეველი დაბრკოლება, ნივთიერებითი საშუალების უქონლობისა გამო, რომ მრავალი მათგანი ვერ ასრულებენ თავიანთ წადილს და იძულებული არიან დაკმაყოფილდნენ იმითი, რასაც აძლევენ მათ ზემოდ მოხსენებული სასწავლებლები. ჩვენი საზოგადოება თუ ყველაფერში უზრუნველი არ იყოს და ესმოდეს მაღალი სასწავლებლების მნიშვნელობა ჩვენი სამშობლოსათვის, იმას შეეძლო გამოენახა როგორმე სახსარი და გაემართა ხელი იმ ჩვენი ღარიბი ახალგაზდებისათვის, რომლებსაც სულით და გულით ჰსურთ მაღალ სასწავლებლებში წასვლა განსანათლებლად, მაგრამ ნივთიერი შეუძლებლობა უშლის წასვლას და ან კიდე თუ არ იშლიან, ესე იგი სთურგნიან უკველ დაბრკოლებას და მიდიან, ბევრი მათგანი,

იმავე შეუძლებლობისა გამო, თავიანთი სურვილის და წდომილების მსხვერპლად ჰხდებიან და ამგვარად სრულებით ეკარგებიან თავიანთ სამშობლოს.

მაღალი სასწავლებლების დიდი მნიშვნელობა ჩვენთვის, გარდა საზოგადო მნიშვნელობისა, იმაში მდგომარეობს, რომ მაღალ სასწავ-ლებლებს, სხვათა შორის, ის თვისება აქვთ, რომ ახალგაზდა ყმაწ-ვილები პირველად მხოლოდ აქ გებულობენ თავიანთ სიცოცხლის ნამ-დვილ მიზანს და დანიშნულებას. რაღა თქმა უნდა, რომ ჩვენი ახალგაზდებიც არ იქნებიან გამოწყვეტილი სხვებში; თუ ყველანი არა, ზოგიერთები მაინც იმათგანი გებულობენ იქ, სხვათა შორის, მას, თუ რას ითხოვს ჩვენი მამული, ეხლანდელ დროში, და მდგომარეობაში, თვი-თეული ჩვენგანიდგან და კიდეც იქცევიან იმის შესაფერად. ისინი გებულობენ მაგ., რომ ქართველები, როგორც სხვა ხალხები, უნდა ზრუნავდნენ ეხლანდელ დროში თავიანთ მდგომარეობის ყოველ გვა-რად გაუმჯობესობას და წარმატებას, ესე იგი თავიანთ გონებით და ზნეობით გაუმჯობესობას ყოველ გვარი სწავლითა და განათლებით; თავიანთი მამულებისა და ადგილების ისე მოვლას, შემუშავებას და მოხმარებას, როგორც მოითხოვს ეხლანდელი მეცნიერება და ამ სა-შუალებით თავიანთი ნივთიერი მდგომარეობის გაუკეთესობას; თავიანთი დედა ენის და ლიტერატურის შესწავლას, შემუშავებას და გამდიდრებას, რომ ამ გვარად ჩვენც ამ დროს ხალხებში გავერიოთ და არ დავკარგოთ ჩვენი სახელი და მყოფობაც.

რასაკვირველია ყველანი, არც ის ჩვენი ახალგაზდები, რომლებიც რუსეთის და სხვა ქვეყნების მაღალ სასწავლებლებში მიდიან, არ არიან ამგვარი აზრებით სავსენი და მიტაცებულნი. იმათ შორის ურევია ისეთი ახალგაზდებიც, რომლებიც საზღვარს გარე მიდიან არა იმ წმინდა და სასარგებლო აზრით, რომ იმუშავონ როგორც რიგია, გა-ნათლდნენ და დაეხმარონ საქმეში [illegible] თავიანთ სამშობლოს. მრა-

ვალი იმათგანი, განსაკუთრებით მდიდარი ქართველების შვილები, იმ დროს, როცა მათი მოსწავლე მოძმენი მათ გვერდში შრომით და შიმშილით კვდებიან, ქეიფებსა და გართვას შეექცევიან. იმათი აზრი და მიზანი ის არის, რომ მოაწონონ ვისმეს თავი თავიანთი სილამაზით, მორთვით და პრანჭვით; მოატყუილონ ვინმე ამ გვარად და დაიწერონ ჯვარი დიდ მზითვიან [redacted] და როცა ამ ბედნიერებას ეღირსებიან, ესე იგი გახდებიან [redacted] ქმრებად და გაივსებენ ჯიბეებს უშრომად და უპატრონოდ აღებული ფულებით, ცოტა მაშინაც უნდა უყუროთ სეირს, თუ რა ამბავებს სჩადიან, სანამ არ წააგებენ [redacted] მუქდად აღებულ ფულებს, არ დაბრუნდებიან, ჯიბე ცარიელები, თავიანთ სამშობლოში და არ მიჰყოფენ ხელს თავიანთ სამკვიდრო ადგილ-მამულების დაგირავებასა და გაყიდვას.

ის ჩვენი ახალგაზდები კი, რომლებიც უფრო ერთგულად ეკიდებიან თავიანთ სწავლის და განათლების საქმეს და დიდი გაივაგლახით ასრულებენ რიგიანად მაღალ სასწავლებლებს, ბრუნდებიან თავიანთ სამშობლოში თითქმის ყველანი იმ პატიოსანი და საქებარი აზრით, რომ დაეხმარონ როგორმე თავიანთი მამულის განათლებისა და წარმატების საქმეს; მაგრამ საკვირველია, რომ აქაც დაბრკოლებას ეხლებიან ისინი. რაკი ჩამოდიან ბევრი მათგანი ჰკიდებენ საზოგადოებისათვის სასარგებლო რამე საქმეს ხელს იმ იმედით, რომ ჰგონიათ საზოგადოებაში თანაგრძნობასა და დახმარებას ჰნახავენ, რადგანაც ისინი მისი ცხოვრებისა და მდგომარეობის სიკეთისა და გაუმჯობესობისათვის ზრუნავენ; მაგრამ მალე რწმუნდებიან, რომ საზოგადოებას სრულებითაც არ ჰსურს თვითონ იმ სამწუხარო გონებითი, ზნეობითი და ნივთიერი მდგომარეობიდგან გამოსვლა, რომელშიაც ეხლა იმყოფება და ამიტომაც ის არა თანაუგრძნობს და არა უზრუნველ ჰყოფს იმ პირებს, რომლებიც შესდგომიან მის გამოყვანას მოსხენებუ-

ლი მდგომარეობიდგან. ამ თანაუგრძნობლობისა და ბევრჯელ უმადურები-
საც დამნახველნი ჩვენი ნასწავლი ახალგაზდები ანებებენ თავს თავიანთ და-
წყებულ საქმეებს, რადგანაც საზოგადოება მათ შრომას არაფრად აფა-
სებს, და მეტიან სახელმწიფო სამსახურში ჩინოვნიკობენ, რადგანაც
სხვა გზა არა აქვთ, რომ თავი ირჩინონ. რაკი ჩინოვნიკებად გახდე-
ბიან, ცხადია ბევრს ვერარაფერს არგებიან საზოგადო საქმეს. ამგვა-
რად იღუპებიან, შეიძლება ვსთქვათ, ჩვენი ეხლანდელი ნასწავლი
ახალგაზდების ძალა და ნიჭი, რომლებსაც შეეძლოთ, თუ ჩვენი უზ-
რუნველი საზოგადოების მხრით ცოტა თანაგრძნობა და ხელის შეწ-
ყობა ჰქონოდათ, ბევრი რამ კარგი და სასარგებლო საქმეები გაეკე-
თებიათ ამ საზოგადოებისათვის. ამის მაგალითს წარმოგვიდგენს ჩვენ,
საუკეთესო ჩვენი ეხლანდელი მწერლების ბედი და მდგომარეობა. თუ
კი ჩვენ ნასწავლ ახალგაზდებს ჰქონოდათ საზოგადოებისაგან იმდენი
მაინც შემწეობა, რამდენიც საჭიროა სიცოცხლის დასაცველად, უეჭველ-
ლია იმათ შორის მოინახებოდა ბევრი იმისთანები, რომლებიც «ჩინო-
ვნიკობას» ანუ ადვოკატობას ბევრად ამჯობინებდნენ საზოგადოობის მომ-
ქმედის როლს. მაგრამ, სამწუხაროდ, ეს არ არის და არც თავიანთი
რამ გააჩნიათ იმათ, რომ სულ მუქთად შეეძლოთ საზოგადოების
საჭიროებისათვის სამსახური. მართალია მოინახებიან ჩვენ ნასწავლ
ახალგაზდებში ისეთი მდიდრების შვილები, რომლებსაც შეძლება აქვთ
და მაშასადამე შეეძლოთ, საზოგადოებისაგან თავიანთი შრომის და-
უჯილდოებლად, მისი სამსახური; მაგრამ ამგვარ პირებს მანკიერად
აკლიათ სურვილი და საკმაოდ საქმის ცოდნა; ამასთან, როგორც თით-
ქმის ყველა მდიდრების შვილებს, არც შრომა უყვართ. ერთი სიტ-
ყვით ჩვენ ნასწავლს ახალგაზდებთაგან თუ ვინმე რასმე სასარგებლოს
აკეთებს საზოგადოებისათვის, ეს ისევ ის უმაწვილი კაცები, რომლე-
ბსაც გროშობით ნაშოვარი ფულით მიუღიათ სწავლა და განათლება.
და მაშასადამე თუ შესაძლოა ვისმესგან მოელოდდეს ჩვენი უბედური

მამული შვილს და დასმარებას თავის ეხლანდელ მდგომარეობაში, მხოლოდ ამგვარი ახალგაზდებისგან, რომლებსაც არც ცოდნა აკლიათ, არც სურვილი, არც გულადობა, არც შრომის სიყვარული და არც პატიოსნება, მხოლოდ აკლიათ ნივთიერი შემლება.

წუალტუბელი.

1871 წ.
თფილისი.

---

# კარგი ცოლის პატრონი

არც მყავს მე ძმა და ამყოლი,
არც ამხანაგი და ტოლი;
მაგრამ ღმერთსა მოუცია
ჩემთვისა ლამაზი ცოლი.
ერთობ არის მშვენიერი,
თითქოს მტრედი ზეციერი;
თვითონც ხარობს ქვეყნიერად
და მეც ვყევარ ბედნიერი.
როს სტუმრად გარდაბიჯებს,
ლოტოშიდ ფულებს მოიგებს.
აფიცარი თავს დაუკრავს,
იარანალიც დაჰპატიჟებს.
და მაშინ მეც თან წამიტანს,
იარანლის სახლში შემიყვანს,
ის დამგხვდება მასპინძლუდად
კახურ ღვინოს გამომიტანს.
კიდევაც მთხოვს: კარგი ღვინო
დავლიო და მოვილხინო,
როს გადავკრავ ლოთიანათ—
დავსწვე ტკბილად დავიძინო.

მე, მართალი მოგახსენო,
იმედს მაძლევს, მეტყვის: შენო
ნუ სწუხდები გნეინასთვის,
მე იმას არ მოგაწყენო.

მართლაც, რომ გნეინას გული
დაურჩება მოხარული
და ჯიბეშიც გამოჴყვება
აბაზები გამოკრული.

და ჩემთანაც იარანალი
დიდის მორიდებით არი;
ჩინი, ადგილი და ფული
ჩემთვის ყოველთვის მზად არი.

ღმერთო! რა მოსაწონია
კარგი ცოლის შეყვარება;
ამ სოფლად იმას ჰქონია
ყოვლად სრული ნეტარება!...

გ. ჭალადიდელი.

## (ჰეინედამ).

სიზმრად ვსტიროდი: მე დამესიზმრა,
რომ შენ საფლავში იყავ მდებარე;
გამომეღვიძა—და ღაწვებზედა
ჩამომდიოდა ცრემლი მდუღარე.

სიზმრად ვსტიროდი: მე დამესიზმრა,
რომ დრო მოსულა ჩვენის გაყრისა;
გამომეღვიძა—და თვალებიდამ
მცვიოდა ცრემლი მწუხარებისა.

სიზმრად ვსტიროდი: მე დამესიზმრა,
ვითომ მე ვიყავ შენ საყვარელად;
გამომეღვიძა—და თვალებიდამ
ეხლაც მდის ცრემლი განუწყვეტელად.

ი. ბაქრაძე.

1871 წ.

თფილისი.

---

# ქალების

## სასარგებლოდ და წინააღმდეგ.

---

წერილები

ჟანნი ლეგალდისა

---

ჯონ სტიუარტ მილს

ნებას ვაძლევ ჩემს თავს წარმოგიდგინოთ რამდენიმე წერილი, რომელიც მე დავაბეჭდინე ნემეცურ დროგამოშვებითს გამოცემებში იმ აზრით, რომ წავესარჩლებოდი ქალებს და მეჩვენებინა, რომ საჭიროა მათი განთავისუფლება და მათთვის მაწარმოებელი შრომის უფლების მინიჭება. ვიმედოვნებ, რომ თქვენ, ღრმა აზროვან მწერალს, რომელიც ჭეშმარიტის გრძნობით და საღვთო გონებით გამოიკვლევდით ქალების მოსარჩლეობის ასპარეზზედ, ამ ჩემ წერილებში გაყვანილი აზრი და მიმართულება არ გეუცხოვებათ.

მე ვცხოვრებდი ჟენევის ტბის ნაპირზედ, როდესაც 1868 წ. გაზაფხულზე დავწერე პირველი ექვსი წერილი. დანარჩენები კი ამავე

წლის განმავალობაში დავწერე,—ზოგი ჩემს სამშობლო ქვეყანაში, ზოგი ჩემი მოგზაურობის დროს. ყველა ეს წერილები იყვნენ გამოწოდებულნი შინაგანი და გარეგანი გრძნობებიც და გარემოებისაგან; თქვენი ღრმა აზროვანი შრომა კი ქალების დამოკიდებულებაზედ გავიცან მე მხოლოდ ამ ცოტა ხანში, როცა ბერლინს დავბრუნდი.

ამ თხზულებისათვის მიიღეთ მადლობა, მადლობა მიტომ, რომ მასში იპყრობა ქალებისათვის დიდი იმედის მომცემი გამხნევება. და ნება მიბოძეთ გამოგისატოთ, თუ რაოდენად აღმამაღლა მე ჩემსავე თვალში, როცა ვსცან, რომ ჩემს მწირ ლტოლვას სრული ურთიერთობა ჰქონია იმისთანა კაცის ღრმა და მდიდარ აზრებთან, როგორიც თქვენა ბრძანდებით.

რასაც თქვენ თქვენის ბრწყინვალე მსჯელობის მეოხებით სცდილობთ აუღსნათ და ადვილ-გასაგები გაუხადოთ თავისმოყვარე და ცრუ აზრების მქონე ხალხს, მე ვცდილობდი თვით საქმეზედ დამემტკიცებინა მრავალ გვარ გარემოებაებში. თქვენს ქვეყანაში, როგორც ჩემშიაც ჩვენ ერთნაირად შეგვიძლიან ვიმედოვნებდეთ ერთ ძლიერ შემწეზედ—ეს შემწე არის სულის სიგლახაკე და ნივთიერებითი გაჭირვება, რომლის მიზეზითაც საუბედუროდ დიად მრავალი დედაკაცი იღუპება.

ამ მუდამ წარმატებაში მსვლელმა გაჭირვებამ უკანასკნელ წელიწადებში ძლევა-მოსილად იმოქმედა გერმანიაზედ. იმან ბევრს იმისთანას აიძულა თვალების ახილება, რომელთაც ხილვა არა ჰსურდათ. ბევრი წელიწადი არ გასულა მას აქეთ, რაც მამა კაცების უმეტესი ნაწილი და აგრეთვე ამაზედ არა ნაკლები ნაწილი დედაკაცებისაც რომელთაც კი ქონება ბლომად ჰქონდათ, მრავალ-მნიშვნელობიანი ღიმილით უპასუხებდნენ ხოლმე იმათ, ვინც ეტყოდა რომ, ქალებსაც უნდა ჰქონდესთ დამოუკიდებლობა და დამოუკიდებელი შრომის უფლება; ახლა კი, ჯერ კვირაც არ გასულა, რაც აქ, ბერლინში, გერმა-

ნიის ყველა კუთხიდგან შეიყარნენ მრავალი ქალები, ვითარცა საზოგადოების ქალები, იმ აზრით, რომ მოელაპარაკნათ თუ რა ღონისძიებით მოეგვარებინათ და წარემართათ ქალების მაწარმოებელი შრომა; ამ ყრილობის ბაასისა და მსჯელობის ხელმძღვანელნი იყვნენ: ერთი ჩვენი გამოჩენილი მეცნიერთაგანი, პროფესსორი ფონ-გოლცენდორფი, მასთან გაუთხოვარი ქალი ლუიზა ბიუხნერი—დარმშტატიდგან, და გათხოვილები: შეპელერ ლეტტესი—ბერლინიდგან და კეტ დოლტელისა - ჩიკაგოდგან.

ეს ყრილობა დიდის ღირსებით აღსრულდა და მომავლისათვისაც დიდად სასარგებლო შეიქმნა; ეს ყრილობა შეიძლება წარმოგიდგინოთ თქვენ იმ საუკეთესო საბუთად, რომ თქვენს ღირსეულ შრომაში ნემეცების დედათ-სქესის გონებითი გასხნა დიაღ დაბალ ხარისხზედ არის დაყენებული.

მე არც ერთი ხალხი არ ვიცი იმისთანა, თვით ინგლისისა და ამერიკის ხალხიც რომ შიგ ჩავატანო, რომელსაც დედათ-სქესის განათლების საშუალო დონე ჩვენი დედათ სქესის განათლების საშუალო დონეზედ მაღლა იდგეს. მე, ამასთანავე თქვენდამი წარმოგზავნილ წერილებში, მართალია, გამოვსთქვი, რომ ჩვენ დედათ-სქესს აკლია მეტი საფუძვლიანი სამეცნიერო განათლება და მასთანავე მკვიდრად არ არიან მომზადებულნი მაწარმოებელი შრომისათვის მეთქი; მაგრამ ეს ნაკლულევანება, რამდენათაც კი თვით მე გამომიკვლევია, საგრძნობელია საყოველთაოდ, ყველა ხალხში, თქვენშიაც აგრეთვე, როგორც ჩვენში, თუმცა რასაკვირველია, ამაშიაც დიდი გამორიცხვაები მოხდება ხოლმე. —მაგრამ ნემეცების დედათ სქესი არაოდეს არა სდგას იმ უსაერო განათლების ხარისხზედ, რომელზედაც რომანის ტომის დედათ-სქესი სდგას, მონასტრებში აღზრდილი. მართლა ის ერთი სიხარულიანი და გონიერი თანაგრძნობა, რომლითაც მიიღეს ბევრმა ჩემმა თანამემამულეებმა თქვენი თხზულება, ქალების უფლებაების წა-

სასარჩლებლად დაწერილი, იმის დამტკიცებას არ წარმოგიდგენსთ, რომ ნემეცების დედათ-სქესი იმ ქალების რიცხვში სთვლიან თავიანთ თავს, რომელნიც ღირსნი არიან იმისთანა მოსარჩლე იყოლიონ, როგორიც ბძანდება ჯონ-სტიუარტ-მილი.

მიიღეთ რწმუნება, რომ მე მაქვს თქვენდამი ღრმა პატივის-ცემა და აგრეთვე მიიღეთ მადლობა თქვენი თხზულებისათვის იმ დედაკაცისაგან, რომელიც თითქმის მთელი თაობის განმავალობაში, თავის სალიტერატურო და კერძო მოქმედებით, თავის ძალა-ღონის გვარად და არც თუ სრულებით უსარგებლოდ, ილტოდა იმავე საჩინო მიზნისადმი, რომელსაც ელტვის თქვენი თხზულებაცა.

ბერლინი, 10-ს ნოემბერს 1869 წ. შილლერის დაბადების დღეს.

ფანნი ლევალდ შტარი.

## პირველი წერილი.

თქვენ დიდს დამაკმაყოფილებთ მე, საყვარელნო მეგობარნო, რაკი იფიქრეთ, რომ ჰამბურგის საქალო სასულოსნო შკოლის გავრცელება აღძრავდა ჩემში გულითადს თანაგრძნობას. მე სამართლიანად შემიძლიან ვსთქვა, რომ ვეკუთვნი გერმანიაში იმ ხალხს, რომელთაც ყველაზედ ადრე გამოსთქვეს ქალების განთავისუფლების შესახებ შრომისა და ამ აზრს ამყარებდნენ ზნეობითს მიზეზებზედ. მე ყოველთვის საჭიროდ ვრაცხავდი, რომ ქალებისთვის მიეცათ იმისთანა აღზრდა, სწავლა და მიმართულება, რომლითაც თვითონ იმათ შესძლებოდათ ეცხოვრებინათ თავის თავი და დაეღწეოდნენ თავისდასამდაბლებელ ანგარიშით ქმრის შერთვას. ოცდა რვა წლის წინად რაც მე გამოვსთქვი ეს აზრი, პირველ ჩემ თხზულებაში «კ ლ ე მ ე ნ ტ ი ნ ა» და მას აქეთ ყოველთვის შეუპოვრად გამეტარდა ეს აზრი ყოველ ჩემ ახალ თხზულებაში. ჩემი მოთხრობა «მ ი ნ ა უ რ ი ხ ა ლ ხ ი» იმავე საგანზედ არის დაწერილი და, დასასრულ, «ჩ ე მ ი ბ ი ო გ რ ა ფ ი ა» და «კ ვ ი რ ი ს წ ე რ ი ლ ე ბ ი ქ ა ლ ე ბ ი ს ა თ ვ ი ს» მე დავწერე განსაკუთრებით იმ აზრით, რომ ცხადად მეჩვენებინა ქალებისათვის და კაცებისათვის, თუ საკუთრად რა უნდა გამოიცვალოს ქალების აღზრდაში, რომ ქალებს მიეცეს საზოგადოებაში ჯეროვანი ადგილი და გაეხსნას გზა სასარგებლო შრომისადმი, რომელზედაც ყველა გონებამინიჭებულს არსებას აქვს სრული უფლება, თუ კი სხვაზედ დამოუკიდებელი ცხოვრების ძალა და ნიჭი აქვს.

«ჩემი ბიოგრაფიის» და «საკვირაო წერილების» გამოსვლის შემ-

დღე უფრო კარგად გავიგე ქალების მდგომარეობა ჩვენ საზოგადოებაში. ამ უკანასკნელი წელიწადების განმავლობაში მე მივიღე ასამდის წერილი სხვა და სხვა გერმანიის მაზრებიდამ, გათხოვილ და გაუთხოვარ ქალებისაგან, და ყველა იმ წერილებში მადლობას მიხდიდნენ, რადგანაც მე ქალების მხარე მეჭირა და იმათთვის უფლებების მინიჭებას ვქადაგებდი; სხვათა შორის ამ წერილებში რჩევას და დარიგებას მთხოვდნენ თავიანთ სწავლისა და ცხოვრებისათვის. ეს ქალები უფრო მომეტებით ეკუთვნოდენ საშუალო წოდებას და აგრეთვე ზოგი მაღალ წოდებასაც. ყველა ამ წერილების შინაარსი თითქმის ერთნაირი იყო, და თუ გაირჩეოდა რითმე ერთმანეთისაგან—ისევ წვრილმან შემთხვევებში. ცოტაოდენი ამ წერილებთაგანი იყო მოწერილი ქვრივებისაგან, რომლებსაც არ შესძლებოდათ თავიანთი შვილებითურთ თავის რჩენა, მაგრამ მომეტებული ნაწილი კი უმაწვილი და ბებერი ქალებისაგან იყო მოწერილი, რომელნიც იყვნენ თავის ბედის უმადურნი და ჰგრძნობდნენ თავიანთ თავს უ ს ა რ გ ე ბ ლ ო დ და ქ ვ ე ყ ნ ი ს ა თ ვ ი ს მ ე ტ ტ ვ ი რ თ ა დ; ამათში ერივნენ გუვერნანტკები და კომპანიონკები, რომლებსაც აწუხებდა «მუდამ სხვისა ხელ-ქვეით ცხოვრება.»

როდესაც ახლა ვშინჯავდი ამ მოჩივარი ქალების საჭიროებას და სურვილებს, მე თითქმის ყოველთვის მივიდოდი ხოლმე ერთსა და იმავე დასკვნამდის. ზოგს იმათგანს საფუძვლიანად არა ესწავლათ რა, გარნა წაეკითხათ განურჩევლად სხვა და სხვა წიგნები, რის გამოც ჩაჰნერგოდათ გულში რაღაც განუსაზღვრელი ლტოლვა ყოვლად ბედნიერ დამოუკიდებლობისადმი; ზოგს ჰქონდა მიღებული უსაფუძვლო სწავლა, რომელიც კი მოითხოვება გუვერნანტკებისა და კომპანიონკების ეგზემენიისათვის; მაგრამ ყველა ესენი იყვნენ, მეტ-ნაკლებად, იმ აზრისა, ვითომც ისინი დაბადებულნი არიან მწერლებად, და იმედოვნებდნენ, რომ მე ურჩევდი მათ ამ ასპარეზზედ (მწერლობაში) გა-

მოეცადნათ თავიანთ ძალა და ოღონდ ერთხელ კი ენახათ თავიანთ სახელი რომელიმე თხზულების ბოლოს რომელიმე ჟურნალში დაბეჭდილი და მსწრაფლ გამობრწყინდებოდა მათთვის სასურველი დამოუკიდებლობა და ყველა სოფლიური ბედნიერება მოსცვიოდა მათზედ, ვითარცა ზეციური მანანა.

მე ძალიან მებრალებოდნენ ხოლმე ისინი, როდესაც მომიხდებოდა იმათი ტკბილი ოცნებების დარღვევა და ჩემგან შემწეობაზედ მათი იმედის გაცრუება და მივცემდი ხოლმე შემდეგ მკაცრ კითხვებს: რა გისწავლიათ? იცით რამე ხელობა? რა ცოდნა გაქვსთ და რის ნიჭი, რომ შეგეძლოსთ მოუტანოთ ქვეყანას სარგებლობა? ჩვეულებისამებრ გამოდიოდა, რომ იმათ იცოდნენ ფორტოპიანზედ დაკვრა, საკმაოდ იცოდნენ, თავიანთ ჭკუაში, ინგლისური ანუ ფრანციცული ენები და ამ ენებიდგან თარგმნა შეეძლოთ, მაგრამ საუბედუროდ ხშირად იმ გარემოებას კი ივიწყებდნენ, რომ იმათ არ იცოდნენ საფუძვლიანად თავიანთი სამშობლო ენა, რომელიც აგრეთვე ძალიან საჭიროა თარგმნისათვის.

მაგრამ როდესაც უფრო და უფრო ახლოს ვჩხრეკავდი იმათ საჭიროებას და ვუხატავდი იმათ ჩემს აზრს, თუ როგორ უნდა დაიკმაყოფილონ ეს თავიანთ საჭიროებანი, მაშინ საწყენად იღებდნენ ჩემს სიტყვებს, და უეჭველია, რომ მაშინ ჩვენ ერთმანეთის მტრებად ვშორდებოდით ხოლმე. ზოგი იმათგანნი ხშირად წერილით მაყვედრიდნენ, ვითომც იმათი გონებისა და გულის ნამდვილი საჭიროებას ვერ გავიგე და ვითომც შემცდარნი იყვნენ, რომ იმედოვნებდნენ ჩემს თანაგრძნობაზედ ქალების საბრალო მდგომარეობისადმი. იმათ უნდოდათ ყოფილიყვნენ «ბედნიერნი» თავიანთებურად და არა ჩემებურად, და ამიტომაც მე ვეჩვენებოდი ხოლმე იმათ ცივი გული პატრონად, როდესაც ვურჩევდი ესწავლათ რომელიმე ხელობა, რადგან განსაკუთრებითი ნიჭის უქონელად ვერ გახდებოდნენ ისინი ვერც მწერალი, ვერც პო-

ეტი. ხოლო მოდისკტობას და გრავერობას (ქვაზედ ან სპილენძზედ ხატვას) ყველა მოასრულებდა, ვინც კი მეცადინეობით შეუდგებოდა ამ საქმეს.

მე არას დროს არ მიჯერებდნენ ისინი, როდესაც ვარწმუნებდი, რომ სიხარულით შევიდოდი პრიკაშჩიკად (დასლიდრად) ჩაის მაღაზიაში ანუ კასსირად თეთრეულის მკერვალ ქალებთან, რომ მაშინ არა მქონოდა წერის ნიჭი, როდესაც ცხოვრების სახსარი მომაკლდა და და იმედებული ვიყავ ჩემ მომავალზედ მეთვე მეზრუნა. ყველანი სჩიოდნენ თავიანთ დამოკიდებულებას ზოგი მშობლებისაგან, ზოგი იმ სახლობისაგან, სადაც გუვერნანტკად ან კომპანიონკად იყვნენ. მაგრა, ყველა თავისთვის დამამცირებლად ჰრაცხავდა ჩემი რჩევის მიყოლას რომ რამე სასყიდლიანი საქმე ეკეთებინათ იმ აზრით, რომ საღამოთი მაინც დამტკბარიყვნენ დამოუკიდებლობის ძვირფასი გრძნობით და ჰქონოდათ იმედი ამ ხელოსნური შრომით ოდესმე მაინც მიჰღწეოდნენ დამოუკიდებელ მდგომარეობამდის. ყველა ამ საბრალო ქალების ჰქონდათ კეთილი სურვილი. ისინი ხშირად დიაღ, რომ ღირსნი იყვნენ შებრალებისა და სულით და გულით გამზადებულნი იყვნენ ემშველათ თავიათ თავისთვის პატიოსანი შრომით, მაგრამ იმათ არა ჰქონდათ იმდენი სიმხნევე, რომ ეჯობნათ ცრუ აზრებისათვის, რომლებიც აქამდინაც მოქმედებს განათლებული წოდების ქალებზედ და მთელ სიცოცხლეში ამყოფებს მათ მძიმე დამოკიდებულებაში.

ჩვენ ყველანი აღვიზარდენით და ვსწავლობდით იმისთანა საზოგადოდ მაღლებულ ფრაზების ტვირთ-ქვეშ, რომელნიც ფრიად სასამერად ჟღერავდნენ, მაგრამ არაოდეს კი არ გვიშველიან იმ ქალებისთვის, რომლებსაც უეცრად დაადგებოდა ხოლმე დაჭირვება. ყველგან ერისა და ისევეს ამბობდნენ, ყველანი ერთ სიოვად ამტკიცებდნენ რომ დედაკაცი თავისას ბუნებით და განათლებული სახელმწიფოების ჩვეულებისამებრ დაბადებულია მარტო სახლობისათვის, რომ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ის დედაკაცია ყველაზედ კარგი, რომელზედაც არა ისმის რა», რომ «თვით საუკეთესო თავ-შესაფარებელი ადგილი დედაკაცისათვის არის სახლობა», — და სხვა ამ გვარს, და აი ამ დაჯერებების ძალით მამა-კაცები ჰრაცხავდნენ თავიანთ თავს იმ უფლების მქონედ, რომ წინ დასდგომოდნენ დედაკაცს, როდესაც ის ისურვებდა საქმე დამოუკიდე-ბლობის მოპოვებას და ამით ხშირად იყვნენ მათი უბედურების მი-ზეზნი.

შეიძლება, ღმრთმანი, იფიქროს კაცმა, რომ ამ ჩვენ ევროპაში, როგორც კალიფორნიაში და ავსტრალიაში არის, ათასობით იმყო-ფებიან ისეთი კაცები, რომელთაც თვისი სრული ბედნიერებისათვის აკ-ლიათ მხოლოდ ცოლები. მე სრულებით თანახმა ვარ კაცებთან, რომ უმაღლესი დანიშნულება ქალებისა არის სახლობა — სახლობრივი ცხოვ-რება. მაგრამ განა ყველა კაცსა ჰსურს ცოლის შერთვა? განა შესაძლე-ბელია, რომ ყველა ქალი გათხოვდეს? ბევრი იმ კაცთაგანი, რომლებიც დიდი სიფიცხით ამტკიცებდნენ, რომ განსაკუთრებითი ქალების დანიშ-ნულება არის «ქორწინება და სახლობაო», თითონ არაოდეს არ შეირ-თავდნენ (და არც გასაკვირველია) ღარიბ ქალს. მაშ რაღა ჰქმნან იმ ქა-ლებმა, რომლებიც არავინ არ აირჩია საცოლოდ? კიდევაც გავიმეორებ, რომ მე სრულებით არ ვამტყუნებ კაცებს და არც მიკვირს, რომ ისინი არ ირთავენ ცოლებს. ადვილი არ არის ოჯახის უფროსისათვის თა-ვის სიცოცხლის ჟამს შეინახოს და ჰკვებოს მარტოდ მარტომ მთელი სახლობა, და სიკვდილის დროს კი სწუხდეს უბედური და უიმედო ცოლ-შვილის მდგომარეობაზედ.

რომ დავრწმუნდეთ ამაზედ, საკმაოა გადავაბიჯოთ იმ სახლის ბჭეს, რომელშიაც დიდი ხანი არ არის გადაიცვალა ოჯახის უფრო-სი. ვინც უნდა იყოს ის, ვაჭარი გინდ ჩინოვნიკი, ექიმი გინდ მაიორი, სულ ერთია! მარტო ის ინახავდა სახლობას და ეხლა კი მოკვდა. თუმცა ის მუდამ შრომობდა, ზოგჯერ ძალ-დატანებით და შეჭირვები-

თაც, მაგრამ მაინც იმის მეტს ვერას შოვობდა, რაც წლის სარჩოდ ჰყოფნიდა. ცოლი მისი, რომელიც შეირთო იმან ოცი ანუ ოცდაათი წლის წინ, მშვიდი და კეთილი დედაკაცი იყო, და ყოვლის ღონით ცდილობდა, რომ რაც კი შეიძლებოდა ხელმოჭერით ეცხოვრა; იმაზედ არა თქმულა რა იმის მეტი, რომ იმან შობა ამდენი და ამდენი შვილი და კიდევ ის, რომ ყველა თავის სიხარულსა და გაჭირებას გულწრფელად ანდობდა თავის მეგობრებს. მაგრამ აი, უეცრად მოკვდა ქმარი: ცოლი ზის თვალ-ცრემლიანი, იმის ქალებიც, მეუღლეობისათვის და ოჯახობისთვის აღზრდილნი, სხედან დედის გვერდით გულხელ დაკრებილნი. ისინი კიდევაც დიდის სიხარულით იქნებოდნენ მომჭირნენი, დიაღ დიდის ხელმოჭერით დაჰხარჯავდნენ ყველა გროშს, მაგრამ იმათ საუბედუროდ ყველა შემოსავალი მოესპოთ; ნაცვლად ჭეშმარიტი, ღრმა და წმინდა მწუხარებისა ქმრისა და მამის სიკვდილის გამო, ახლა უაღრესობს მწუხარება იმაზედ, რომ თავიანთ მაცხოვრებელი მოეკვდათ, წმინდა უმანკო გრძნობა ითრგუნება ა რ ს ე-
ბ ი თ ს პ უ რ ზ ე დ ზრუნვით, და უბედური ქვრივი და ობოლი ქალები საზარელად ჰკითხვენ თავიანთ თავს: «ახლა რაღა გვეშველებაო».

მაშინ ეს ქალები, რომლებზედაც აქამდის არავის არა გაეგონარა, ყურებს უჭედენ ყველას თავიანთ ჩივილით-წუწუნით, რომ უპატრონონი არიან და ნიჭი არა აქვსთ, რომ თავიანთ შრომით სულ მცირედი რამ ფული მოიპოვონ. მაშინ მოელო ბოლო იმათ მყუდრო ოჯახობასაც; მაშინ ისინი იმასღა ცდილობენ ეგების როგორმე მომეა ტებულ ფასად გაყიდონ თავიანთი მოძრავი ქონება, რომ შავებისა და დამარხვის ხარჯი მაინც დაჰფარონ. ამ გარემოებაში დიდ ბედნიერად შეჰრაცხავდნენ თავიანთ თავს, თუ კი ერთი ერთი ქალი როგორმე მიათხოვეს ვინც კი შესვდებათ, მერე დაუყენეს კომპანიონკად ვისთანაც უნდა იყოს, თუნდ ძალიან ანჩხლთან და ავ ადამიანთანაც, რო-

ეროვნული ბიბლიოთეკა



შელსაც იმან უნდა შეუკეროს, ხმა მაღლა წიგნი წაუკითხოს, ახარხუნოს იმის ქეიფზედ ფორტოპიანზედ, და სხვა. ამ დროს ამ გარემოებაში იმას აწუხებს მხოლოდ ერთი ფიქრი, მოუთმენლად სთვლის დღეებს და საათებს, ელის და ელის, და სულ იმედი აქვს, რომ აი საცაა გამოჩნდება იმისთანა კაცი, რომელიც ითხოვს იმას ცოლად და თავის სახლში წაიყვანს. რამდენიც წლიწადი გადის, იმდენი უფრო უმადური შეიქნება, დღითი-დღე არჩევანი უსუსტდება და ბოლოს მზათაც არის ყველა კაცს წაჰყვეს ცოლად, ვინც კი დღიურ ლუკმას მაინც აჭმევს იმას.

აი ნამდვილი ცხოვრებიდგან გადაღებული სურათი; მე ამ სურათში ვერა ვხედავ ვერც ქალების დანიშნულებას, ვერც ჭეშმარიტად ბედნიერს ოჯახობრივს ცხოვრებას და ვერც ნამდვილ, ჭეშმარიტს დედაკაცობას; აგრეთვე უფრო ძნელად იპოვის ამაში კაცი ქალის ღირსებას და კაცის სულიერს პატიოსნებას! მაგრამ, მამა-კაცებო, იქნება თქვენ სხვა აზრისანი ხართ? თქვენ მხოლოდ ოცნებობდით მშვიდ, მზეთ-უნახავ ქალებზედ, ათვასხებდით იმათში მხოლოდ უმანკო ბავშურს სულს, და ისე იყავით სიხარულით აღტაცებული იმათ ალალ-მართალ შეუძლებლობაზედ, თითქოს ისინი სამოთხის ფრინველები იყვნენ, რომლებსაც თავის დღეში არ მოუხდებათ დედა-მიწაზედ ჩამოფრენა და რომლებიც სცხოვრებენ მარტო მზის შუქით?

იქნება იფიქრონ, რომ მე ვხუმრობ ან დაცინვასა ვწერ—სულაც არა. მე არ შემიძლიან გულგრილად ვილაპარაკო იმისთანა საგნებზედ, რომელთ მიზეზით მთელი წლიწადები მიბრძოლია უდიერ სიბრმავის წინააღმდეგ. ყველა საბუთები, რომლებიც კი მოჰყავთ ქალების დამოუკიდებლობის წინააღმდეგ არის დამყარებული სიცრუეზედ; აგრეთვე ისიც ცრუ საბუთზედ არის დამყარებული, რომ მუდამ გვითითებენ ოჯახური ცხოვრების სამოთხიერებაზედ და გვარწმუნებენ, ვითომც დედაკაცი განსაკუთრებით ამ სამოთხისთვის არის შექმნილი და

რომ ბევრი უბედურება მოჰყვება იმას, თუ დედაკაცებმა იწყეს რამე სახელოსნო შრომა.—

ერთმა უძლიერესმა ცხოვრების შემრყევმა, სახელდობრ—გაჭი-რებამ, ამ უკანასკნელ ხუთ-ექვს წელიწადში, მრავალ კაცს აუხილა თვა-ლი და აჩვენა, რომ ჩვენს საზოგადოებაში ქალები უჯერო მდგომა-რეობაში არიან. ესლაც კი შეგვხვდებათ იმისთანა ხალხი, რომლებ-საც კიდევ ეჭირებათ დარწმუნება, რომ ყველა თვრამეტი ან ოცი წლის ქალი დიდის სიხარულით შეირთავს კარგს კაცს, კარგ შეძლებიანს, და რომ ყველა დედაკაცები დიდ ბედნიერად შეჰრაცხდნენ თავს, რომ ჰყავნდესთ საყვარელი ქმარი და საღი შვილები, და შესწირონ მათ თავიანთი სიცოცხლე და მთელი თავიანთ ძალა-ღონე. მე ჯერ არ შევხვედრივარ იმისთანა ქალებს, რომლებიც მზად არ იყვნენ დასთ-მონ თავიანთ დამოუკიდებლობა, თუ კი შეყვარებით მოუხდებათ ქმ-რის შერთვა.

ჩვენ ადვილად შეგვიძლიან დავამშვიდოთ ის ხალხი, რომლებიც წინააღმდეგნი არიან ქალების განთავისუფლებისა შრომის შესახებ, რომ როგორც იმათ ჰგონიათ, ქალებს ისე ძალიან არა ჰსურსთ თავიანთ შრომით საზრდოს შოვნა. ამ სურვილისათვის ქალების უმეტესი ნა-წილი ძლიერ ცარიელნი და მსუბუქი გონებისანი არიან. ისინი ჯერ ისევ ძალიან მადლიერნი რჩებიან, თუ კი სხვა ვინმე იგებს ფულებს იმათი შინიონებისათვის, შლეიფებისთვის და სხვა ამათ მორთულო-ბისა და კმაყოფილებისათვის.

მაგრამ იმ ქალებმა რაღა გზით უნდა მოიპოვონ თავიანთთვის სა-ზრდო-საცხოვრებელი, რომელთაც უქონლობა აწუხებს და იძულე-ბულნი არიან თითონ იშოვნონ თავისთვის პური, თავის შესაფერე-ბელი ადგილი, ტანთ-საცმელი და ერთი ოროოდე გროშიც შავი დღისათვის.

ამაზედ ჩვენ მოვილაპარაკებთ მეორე წერილში.

## მეორე წერილი

ყველა ხალხი დიდი ხანია თანახმა არის, რომ ქალებმა თავიანთი თავი თითონ უნდა შეინახონ, როდესაც იმათ არა ჰყავთ თავიანთთვის მზრუნველი, მაგრამ აქამდის იმაზედ კი ვერას გზით ვერ დათანხმებულან, თუ როგორ, რა გზით უნდა შეინახონ ქალებმა თავიანთი თავი. მე კი მგონია: თუ ეს საჭიროება, რომ ქალებმა თავიანთი თავები თითონ უნდა შეინახონ, შეწყნარებულია, მაშ იმაზედ, თუ რა გზით უნდა შეინახონ — პასუხის გებაც ადვილია: როგორც უნდათ და რა გზითაც შეუძლიანთ. შეზღუდვა იმათი ბუნებითი ნიჭის თავისუფლად ხმარებისა და იმათი ნიჭისათვის მხოლოდ იმ საქმის მიჩემება, რაც საკუთრად მათთვის შეადგენს სარგებლობას — უსამართლობაა. რამდენი ათასი კაცი მოიპოვება მტკიცე დაჯერებაების ამქონე, რომლებიც დიაღ წინააღმდეგნი იყვნენ რამე ხალხისა ანუ სარწმუნოების შესაზღვრისა და შევიწროებისა, და რამდენმა იმათგანმა ფრანგების შევიწროებისაგან განთავისუფლება ირლანდიაში და ურიებისა გერმანიაში შეარაცხეს ჩვენი საუკუნის გონების გამარჯვებად, ხოლო ზანგების (ნეგრების) განთავისუფლებას ამერიკაში და ყმებისას რუსეთში სთვლიდნენ სამართლიანობის შედეგად, — მაგრამ ისინი იმას კი ვერ ამჩნევდნენ და ვერ ტყობულობდნენ, რომ ყველგან, იმათ საკუთარ სახლებში, საკუთარ სახლობაში, განათლებასა და კარგ ზნეობას შორის, რომლითაც ისინი ძალიან ამპარტავნებდნენ, შორის თავიანთ საკუთარი თავისუფლებისა, რომელიც იმათ თანდათან მოიპოვეს სახელმწიფოში, — იმათი ცოლები, ქალები და დები კი ხშირად იტანჯებოდნენ იმისთანა მკაცრ უღელ ქვეშ, რომლის გადაგდებაც ზანგისათვის ჰნიშნავდა ჭკუის გამარჯვებას.

ბარბაროსობად მიაჩნდათ პლანტატორის უფლება, რომ-

ლის ძალითაც ის უბრძანებდა ხოლმე თავის მონებს: შენ შაქრის ლერწამი დარგე, შენ ბამბა მოიყვანე, ჩემი დანები შენ გაწმინდე, შენ კაბა შემიკერე და შენ კი ჩემ კუჩრად იყავიო; და იმას კი არას დასდევდა, რომ ვინიცის იმ ერთს მონათაგანს საუცხოვო მესანიკობის ნიჭი ჰქონდა, მეორეს ექიმობისა, მესამეს ვაჭრობისა და სხვა. სახლობის მამები სტიროდნენ «ბიძია თომას» ბედზედ, და იმავე დროს ყუბნებოდნენ თავიანთ ქალებს, რომლებსაც ვინ იცის ექიმობისა ან ვაჭრობის ნიჭი ჰქონდათ, შენ ჩულქი ქსოვე და ისწავლე სახლის გაძღოლა; შენ კი იმდენს გასწავლიან, რამდენიც საჭიროა იმის გასაგებად, თუ რა იქნებოდა საჭირო შენის სიკეთისათვის და რას აიტანდა შენი ძალა-ღონე, რომ შენთვის შენი ნიჭის თავისუფლად გახსნის უფლება მოეცათ; მაგრამ შენი ნიჭის გახსნის უფლება კი შენ არა გაქვს, ამიტომ რომ შენ ქ ა ლ ი ხარ. და არც სინანული გმართებს—იმაზედ, რომ შენ გონება გახსნილი არ იქნები,—შენი დანიშნულება ეგ არის—გონება გაუხსნელობა. მინამ მე ცოცხალი ვარ, მე მოგცემ შენ თავის შესაფარებელ ადგილს, საჭმელს და ჩასაცმელს; ვინც ისურვებს შენ შერთვას, ისიც მოგცემს შენ სახლს, საჭმელს და ჩასაცმელს; და თუ მანამდის მე მოვკვდე, მაშინ კი?—მაშინ რაღა?—ჰკითხავდნენ ქალები და ოხვრიან პასუხს მიიღებდნენ. მაშინ რაღა?.... შენ ხომ ბევრი რამეები გისწავლია, თავის შველა შეგიძლიან!—აბა როგორ? აბა რა გზით? განა რა მისწავლია მე, რომ ჩემ თავს უშველო?

კაცები ვერა ჰხედავდნენ ძელს თავიანთ საკუთარ თვალში, და არც უნდოდათ მისი დანახვა!

თქვენ მიცნობთ მე, ჩემო მეგობრებო, და სამართლიანად შემიძლიან ვსთქვა ჩემ თავზედ, რომ მე ყოველთვის კეთილი და მოცადინე ქალი ვიყავ, ერთგული და მასიამოვნებელი დაა, და სრული ბედნიერების გრძნობით შევსწირე ჩემი ძალა და ღონე ჩემს ქმარსა და

ეროვნული ბიბლიოთეკა

შვილებს. მაშ სჩანს მე არ ვეკუთვნი იმისთანა ქალებს, რომლებიც ცრუ-თავის-მოყვარეობამ და უღაგმო ოცნებაებმა (ფანტაზიამ) გამოანაპირეს ისინი თავიანთ სახლობიდგან. მაგრამ რამდენი ვიტანჯე მამიჩემის საყვარელ სახლობაში, რამდენს ვსწუხდი ჩვენ ვაივაგლახიან მომავალზედ, ეხლაც შეუძრწუნებლივ არ შემიძლიან მოვიგონო როდესმე ის დრო. ეს სულ ამისათვის, რომ ჩვენ ექვსი დისთვის, სტაცკი სოვეტნიკის ქალებისთვის «უკადრისობა იქნებოდა» შრომით გვეშოვნა ფული და გვეშველა ჩვენი ძვირფასი მამისთვის, რომელსაც აწუხებდა ზრუნვა ექვს დაუბინავებელ ქალზედ. ჩემ ორ ძმასაც არ შეეძლოთ სრული ბედნიერნი ყოფილიყვნენ, რადგანაც ექვსი დის ბედი მძიმე ტვირთად ედოთ იმათ თავიანთ ჭაბუკ მხრებზედ. ამასთანავე ჩვენ ვიყავით სასიამოვნო სახისანი, ნიჭიერნი, კარგად და მშვიდად აღზრდილნი. ჩვენ ბევრს ყმაწვილ კაცებს ვიცნობდით, და მათგანი ვინმე დიდის სიამოვნებით შეირთავდა ერთ-ერთს ჩვენგანს, მაგრამ ისინი ერიდებოდნენ ჩვენ დიდს და ღარიბს სახლობას და ექვს დას, რადგან ფიქრობდნენ: ვაი თუ მისი შესანახავნი გამხდარიყვნენ როდისმე. ეს ჩემგან მოყვანილი ამბავი არ არის წინად-განზრახული ან მოგონილი მაგალითი, არამედ ნამდვილი და ჭეშმარიტია.

ბოლოს, როდესაც მე სულითა და ხორცით დავიტანჯე ამაოცდილობისაგან—ეგების როგორმე მეშოვნა ჩემთვის კარგი გზა და დავხწეოდი იმ შესაწუხარ მდგომარეობას, რომელშიაც აგდებს ქალს ანგარიშით ქმრის შერთვა, (რომელზედაც მამა ჩემი მატანდა ძალას)—შევნიშნე ჩემში მთხზველობის ნიჭი და მივხდი, თუ რა გზით უნდა მეშველა ჩემთვისაც და ჩემებისთვისაც; მაშინ მამა ჩემი მთხოვდა, რომ მე მემოქმედნა საიდუმლოდ. როდესაც ბიძებმა, დედიდებმა, ბიძაშვილებმა ძრახვითა და ყვედრებით შემაწუხეს, მაშინ მე დაუტევე ჩემი სახლობა და გამოველ. იმას მაყვედრიდნენ, რომ ჩემი ცხოვრება მამიჩემის სახლკარეთ იმაზედ მეტი ეღირებოდა, რისაც მე მქონდა

უფლება მამისგან მომეთხოვნა. მამაჩემი თავის საკუთარ შვილებსაც კი უმალავდა, რომ მე თითონ ვინახავდი ჩემს თავს. ჩემი სხვაზე დამოუკიდებლობა მიაჩნდა იმას თავისთვის „უკადრისობად". მხოლოდ იმის სიკვდილს შემდეგ გაიგეს ჩემმა დებმა, რომ მამაჩემი ფულს არ მაძლევდა მე; იმას ეშინოდა, რომ სახლის უმფროსის ღირსება დაიმცრობოდა, თუ სხვები გაიგებდნენ, რომ იმის ოც-და-ათის წლის ქალი ბუნებისგან უხვად მინიჭებული, თითონ თავის შრომით არჩენდა თავის თავს. ასე იქცეოდა ის კაცი, რომელსაც ყოველი ცრუ აზრები მოკლებული ჰქონდა (ამ საგანს გარდა), ძალიან კარგად განათლებული და გონება გახსნილი იყო და მეტის მეტი მართალი, რომელსაც უხაროდა ჩემი ლიტერატურული შრომა და დიდ პატივს სცემდა პოეტის და მწერლის დანიშნულებას და რომელიც ამპარტავნობდა თავის ვაჟების დამოუკიდებლობით.

აი როგორ ღრმად ჰქონდათ შთანერგილი ამ ოცდა რვა წლის წინ ამისთანა ცრუ აზრები განათლებულ კაცებს! იმათი ქალების ხელ-ქვევითობა და ცუდაობა იმათთვის პატიოსნებას შეადგენდა. — აი ასე ცრუდ ესმოდათ, თუ პატიოსნება რა იყო, — და ამ ცრუ გაგების გამო ხშირად აუბედურებდნენ თავიანთ საკუთარ შვილებს და აგდებდნენ მათ გაჭირებასა და უბედურებაში.

საკვირველია, რომ იმათ სულ არ უნდოდათ გაეგოთ, თუ როგორ საწყენი იყო ჩვენი თავმოყვარეობისათვის და სამწუხარო ჩვენი სვინიდისისათვის ყოველთვის ის ფიქრი, რომ ჩვენ ვიყავით მიზეზნი იმ პირების ძალდატანებული მუშაობისა, ვინც ჩვენთვის მთელს ქვეყანაზედ უფრო საყვარელი იყო — სახელდობრ მამებისა და ძმებისა. როცა ბალიდგან (მეჯლისიდგან) დავბრუნდებოდით ხოლმე, სადაც უზრუნველად დავხტოდით და დავცქრიალებდით ჩვენს უკან-მდევნელ მოტრფე ყმაწვილკაცებს შუა, დავჯდებოდით ხოლმე ჩვენს კუთხეში და ვიხდიდით თავიდგან ყვავილებს, მაშინ ჩვენ უნებურად ვკითხავდით ჩვენს

ეროვნული ბიბლიოთეკა



თავს: რა გვეშველება, რომ იმ ერთ-ერთმა ყმაწვილ კაცთაგანმა არ შეგვირთას?

თავიანთი სვინიდისის დასამშვიდებლად და ამ მტკიცე რწმუნებით, რომ მშობლური სიყვარულით იქცევიან,—მამები აქამდისაც და ეხლაც ზრდიან თავიანთ ქალებს დიაღ რომ არა სვინიდისიანად. მთელი ჩვენი მომავალი: არის დამოკიდებული—მხოლოდ შეხვედრაზედ, სახელდობრ იმაზედ—შეგვეძლება, თუ რა ჩვენის არშიყული და მშვენიერის სახით იქამდის მივიზიდოთ რომელიმე ყმაწვილი კაცი, რომ იმან მოისურვოს ჩვენი ცოლად თხოვნა და საზრდო-საცხოვრებელის მონიჭება. ჩვენი მამები, სუყველანი ერთად, თავს სულელად შეირაცხდნენ, რომ იმათ ადრევე არ დაეცვათ თავიანთი სახლი და ქონება ცეცხლისაგან და ელვაქუხილისაგან და თავის ზღვაში წამსვლელი ხომალდი შიშისაგან არ დაეცვათ; ან იმისთანა საქმე გაებედნათ რამე, რომლისაგანაც სრული იმედი არა ჰქონოდათ სარგებლობისა; მაგრამ ჩვენ კი ისე მივყევართ იმათ ცხოვრებაში, რომ სრულებით არ იციან რა გამოვა ჩვენგან. ვაჟებს, ესე იგი «ღონიერ სქესს» დიდის ზრუნვით უღსნიან გზას და აძლევენ იმათ ყველა ღონი-ძიებას მომავალი დამოუკიდებლობითი ცხოვრებისათვის; ქალებისათვის კი, ესე იგი «სუსტი სქესისათვის» არაფერი არა კეთდება; ხშირად ამბობენ ხოლმე ისინი ამ ნათქვამს: «ბიჭია, ფიქრი არა აქვს: თითონ გაიგნებს თავისთვის გზას».

ქალებზედ კი ჩუმად არიან. იმას «არ შეჰფეროდა», «არ შეეძლო» თავისთვის გზის გახსნაო». მაშ რაღა იყო იმისი ხვედრი? დაჭკნობა, თუ კი ქმარს არ იშოვიდა თავისთვის! ქალები ჭლექდებოდნენ და ათასობით იღუპებოდნენ მწარე ნაკლებულებისაგან, და ამ უბედურებისგამო საიდუმლოდ იბანებოდნენ ცრემლში.

---

ეროვნული ბიბლიოთეკა



## მესამე წერილი.

როდესაც მესმის სჯა იმაზედ, სასარგებლო და საჭირო თუ არა საქალო სახელოსნო შკოლებიო, მე ყოველთვის ფიქრში მომდის ხოლმე ეს გონივრული წარმოთქმა სანჩო პანსოსი: «თუ კი ვარსებობთ, სჩანს უნდა ვარსებობდეთ». თუ კი განათლებულ სახელმწიფოების ქალაქებში, განათლებული და კეთილ აზროვანი მოქალაქეები დარწმუნდნენ საქალო სახელოსნო შკოლის საჭიროებაზედ, მაშ უნდა დავთანხმდეთ, რომ არის მათში მოთხოვნილება და ამასთან იმაზედაც უნდა დავრწმუნდეთ, რომ ის შკოლები, რომლებიც ეხლა გახსნილი არიან კერძო შესაწირავით, არიან მხოლოდ წინამორბედნი იმ რეალური შკოლებისა და გიმნაზიებისა, რომლებიც, იმედი უნდა გვქონდეს, მალე გაიხსნება მმართებლობისაგან და ქალაქის ერისაგან. პირველი ამ გვარი სასწავლებელი პარიჟში ვნახე 1864-ს წელს. ეს იყო «სახელოსნო შკოლა ქალებისათვის,» («Ecole professionelle pour femmes»), რომელიც იყო განსაკუთრებით მოვარველობის ქვეშ უფ. ცოლქმართ—სიმონისა. იქ უმეტესი ნაწილი ხელოსნის ქალები ებარებოდნენ და ასწავლიდენ, როგორც ეხლა ყოველ ამის მგზავს სასწავლებელში ასწავლიან, თავდაპირველ (ელემენტარულ) სწავლას, ქალის ხელ-საქმეს და ხატვას—ამ უკანასკნელს განსაკუთრებით სარგებლობის აზრით.

როდესაც მე მოვედი გერმანიაში, მეწვია ქალი მარვედელი რჩევისათვის; იმას უნდოდა სხვა და სხვა უმაღლესი პირების შემწეობით ლეიბციღში გაეხსნა ქალების აღსაზრდელი სასწავლებელი. ის ქალი ეკუთვნოდა კარგ და განათლებულ სახლობას, მაგრამ ბევრი მწუხარე და მწარე დღეები გამოევლო და უნდოდა, რომ სხვა ქალებისათვის მაინც აეცდინა ამისთანა გაჭირება და უბედურება.

ამ ქალის წადილი დიად ძალიან საქებარი იყო, ამისთვის რომ განსაკუთრებით განათლებულ საშუალო საზოგადოების წოდებაებში ყველა ქალები, მეტნაკლებად, იზრდებიან დიდი მოთხოვნილებაებით და დიდი იმედი აქვსთ თავიანთი ქონებისა, არაფერს სასარგებლოს არა

სწავლობენ, ამიტომაც გაჭირება და ნაკლულევანება იმათთვის უფრო მომეტებულად არის საგრძნობელი. მაგრამ შკოლის პროგრამმას, როგორც მე მახსოვს, ცრუ საფუძველი ჰქონდა.

ნამდვილად ამბად მიაჩნდათ, რომ შეძლებულს შუა წოდების ხალხს ვითომც ეგრძნოთ საჭიროება, რომ თავიანთი ქალებისათვის სახელოსნო აღზრდა მიენიჭებინათ. იფიქრეს სამი კურსის გახსნა; ხელობის გარდა იმათ უნდოდათ ესწავლებინათ გალობა და სხვა და სხვა საგნები და ამის გამო მე მეჩვენა, რომ თითქოს ისინი იმედოვნებდნენ იმით მიეზიდნათ შეგირდები, რომ ჰპირდებოდნენ მათ არა თუ ხელოსნად და შრომის მოყვარე ქალებად აღზრდას, არამედ ამასთანვე განათლებულ საღარბაზო ქალათაც. აღზრდის ფასიც ძალიან დიდი იყო დადებული და მე მაშინვე შევნიშნე, რომ ის დედ-მამა, რომელსაც შეძლება აქვს თავის ქალების აღზრდაში წელიწადში ას თუმნამდის გაიღოს, არ მისცემს ნებას, რომ იმისმა ქალმა რომელიმე ხ ე ლ ო ბ ა ისწავლოს.

აგერ ორი წელიწადია, რაც მე აღარ ვყოფილვარ ჩემს სამშობლო ქვეყანაში, და ამისათვის არვიცი რით გათავდა ლეიბციგის სახელოსნო პანსიონის საქმე. ამასობაში ბერლინში გახსნეს კლემენტის საქალო სახელოსნო შკოლა, რამდენიმე საქალო სამხატვრო შკოლები და აგრეთვე გაუკეთესეს საყმაწვილო ბაღებისათვის უფროსების აღსაზრდელი სასწავლებელი. ქლ. ვიუსტემბერღმა თავის დაუღალავი გამჭრიახობით და მდიდარი ხალხის შემწეობით ჰამბურგში გახსნა საქალო სახელოსნო სასწავლებელი, სადაც შეძლების კვალად ცდილობდნენ შეემცირებინათ ფასი და შეემოკლებინათ შკოლაში ყოფნის დრო, ამას გარდა ნიჭიერ და მოცადინე მოწაფეებს ჰპირდებოდნენ შემწეობას სწავლის დასრულების შემდეგაც. ეს კი პირველ შემთხვევაში ძალიან კარგი საქმეა, რადგან შრომის შესახებ ქალების განთავისუფლებისათვის და ამ აზრის გავრცელებისათვის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფრიად საჭიროა — ურწმუნოებს აჩვენონ, თუ რა შეუძლიან ქალს, დაანახვონ ცრუ აზრების დამარცხების მაგალითები და ამ დამარცხების სასარგებლო შედეგები წარუდგინონ. *გამარჯვება, საქმის წარმართვა ყოველთვის* რჩება ძლიერ უფლად და მის წინ ხალხის გროვა მუდამ თავს იდრეკს.

ყველა საზოგადოობრი (სოციალური) ცხოვრების შესახები კითხვების გარჩევის დროს, — და რაღა თქმა უნდა, რომ ქალებისათვის დამოუკიდებლობის მინიჭება უპირატესი საგანია ამ კითხვებში, — მაგალითი, თვით საქმეზედ ჩვენება, ყოველთვის უფრო მომეტებულად მოქმედებს, ვიდრე ჩინებული მსჯელობა. თუ ჩვენ სამშობლო დიდ ქალაქებში რამდენიმე განათლებულმა და კარგის ზნეობის ქალებმა გაჰბედეს თავიანთ ძმებსავით სამსახური მაღაზიებში და სახელოსნოებში, რომ მოახერხონ როგორმე და მოაგროვონ ამ გვარი სამსახურით ცოტაოდენი თანხა და მით შეიძლონ რამე ხელობის ან საქმის დაწყობა, მაშინ ეს ჩვენი დამტკიცებაები, რომ ქალებს აქვს უფლება სახელოსნო შრომაზედ, მეტი იქნებოდა. უმთავრესი ამოსაფხვრელი ბოროტება უნდობლობაა, და ეს უნდობლობა დაფუძნებულია უმეტესად იმ გარემოებაზედ, რომ მაღაზიებში და სახელოსნოებში, თუ სადმე მსახურებდნენ ქალები, თითქმის ყველანი გაუზრდელნი იყვნენ, რომელთაც მოჰკლებოდათ დედ-მამის ზედამხედველობა, და ამ თავიანთ თავისუფლებას თავიანთ თავის დაღუპვისათვის ხმარობდნენ. მაგრამ ვისაც ჰსურს გააუკეთესოს ცუდი მდგომარეობა, ის არ უნდა აფუძნებდეს თავის აზრებს და გაგებას უბედურ მაგალითებზედ; ამიტომ რომ ის უბედური მაგალითები არიან მხოლოდ იმ ბოროტების შედეგები, რომლის ამოფხვრაცა ჰსურთ.

ამ ექვსი ანუ შვიდი წლის წინ მე ვიყავ ერთს ჩვენ დიდ ნავთსადგურ ქალაქში და ვკითხე ერთ განათლებულ და კეთილ-აზროვან ვაჭარს: რატომ ქალები არ გიჭირავს შენ მაღაზიებში და კანტორაში

მეთქი. ამას ვკითხავდი იმიტომ, რომ საიდუმლო განზრახვა მქონდა დამეყენებინა იმასთან ორი ძალიან ლამაზი და კარგად გაზდილი ჩინოვნიკის ქალი. ორივეს კარგი ხელი ჰქონდათ წერაში, ფრანციცულად და ინგლისურად ლაპარაკობდნენ, ანგარიში კარგად იცოდნენ და რიგსაც იყვნენ მიჩვეულნი. ამ ჩინოვნიკის სახლობა დიდი იყო, და რადგანაც არა ჰყოფნიდა იმას თავის ჯამაგირი საცხოვრებლად, ამიტომ ის იძულებული იყო თავისუფალ დროს შინ მოწაფეებისთვის ესწავლებინა; მაგრამ ეს ძალდატანებითი მუშაობა ჰღალავდა იმას და ცუდად მოქმედებდა იმის სიმრთელეზედ. ეს სახლობა ჩემთვის სწორედ ნაპოვნივით იყო; ამ სახლობაში ვპოვებდი ყველა იმ თვისებას, რომელიც მე მაგალითისავით მინდოდა მეჩვენებინა საზოგადოებისათვის. ბედნიერ ცოლ-ქმარს უნდოდათ, რომ შვილები თავისთან ჰყოლოდათ, ქალებს კი სულით და გულით ჰსურდათ ეშველათ თავიანთ საქმისაგან დასუსტებული მამისათვის, ხოლო მთელი სახლობის ღირსება პატიოსნური იყო.

მანამ ამ საგანზედ საბუთებით ველაპარაკებოდი ვაჭარს, ის სრული თანახმა იყო ჩემ თხოვნაზედ. თითონ იმას მოჰყვანდა რამდენიმე უბედური შემთხვევები, რომ ღონის დასუსტებით კვდებოდა ხოლმე სახლის უფროსი, რადგან მხოლოდ ის იყო სახლში შემტანი. იმის აზრით ნაკლებად განათლებული სახლი უფრო ბედნიერი იყო, რადგან ამ გვარ სახლში ყველა სახლობის წევრი შემტანი და მომგებიაო. იმ ვაჭრის მეკარის სახლობაში ცოლიც და შვილებიც ინახავდნენ ცოტა ოდენს ფულს შესანახავ კასსაში, მაგრამ ჩინოვნიკის სახლობაში კი ეს საქმე მოუხერხებელიაო. ის იცნობდა იმ ქალებს, რომლებიც მე მინდოდა დამეყენებინა იმასთან, აქებდა იმათ სამაგალითო აღზრდას, და მეც ამისათვის ვიმედოვნებდი, რომ იმის მხრით არაფერი დაბრკოლება არ ექნება ჩემი თხოვნის აღსრულებას. მაგარმ, ერთიც ვნახო, ამ ლაპარაკ შემდეგ იმან გადაჭრით მითხრა, რომ იმა-

თი მიღებს «სრულებით არ შეიძლებაო». «რატომ არ შეიძლება» მეთქი, ვკითხე მე გაკვირვებულმა. — «აი რატომ, მიპასუხა იმან: მე ვერ შემიძლიან დავიფარო თქვენი ქალები ჩვენი უმაწვილ კაცებისაგან, თქვენ არ იცით რა ხალხია ეს, რომ ყური დაუგდოთ იმათ ლაპარაკებს, მაშინ ეგრე აღარ იტყვით. მაგრამ ამას გარდა სხვა მიზეზებიც არის. უწინ საუზმე ყოველთვის ჩვენ მოსამსახურე გოგოს მოჰქონდა ხოლმე და მუდამ რაღაც დავა-დარაბაები ხდებოდა ხოლმე. ხან გოგო სჩიოდა უმაწვილ კაცების ცუდ ყოფაქცევაზედ, ხან ჩემი ცოლი სჩიოდა გოგოზედ. ერთის სიტყვით ამის შეუძლებლობას აქ თქვენც ჰხედავთ». მე არა ფერსაც არა ვხედავ იმის მეტს, რომ თქვენ ინახავთ კანტორაში იმისთანა გაუზრდელ კაცებს, რომლებიც თავიანთ გაუზრდელობით უკადრისად ექცევიან გარყვნილ მოსამსახურე გოგოებს. განა ისევ უმაწვილი კაცები, რომლებიც, როგორც მე შემთხვევით გავიგე, კარგს სახლობას ეკუთვნიან, ასე უკადრისად ექცევიან თავიანთ დებს, ანუ სხვა ქალებს, რომლებიც შეხვდებიან იმათ თავიანთ დედმამის სახლში ანუ სხვა საზოგადოებაში მეთქი?» გაჯიარი ამტკიცებდა, რომ ეგ სულ სხვა საქმეაო, მაგრამ მე მაინც არ შემეძლო დავთანხმებულიყავ იმის საბუთებზედ. «ნუ თუ თქვენა ჰფიქრობთ, რომ, გავაგრძელე მე, თქვენი უმაწვილები, მაშინაც გაჰბედავდნენ მაგისთანა უკადრის ლაპარაკს, რომელიც თქვენ ესლა ახსენეთ, რომ იმსახურონ იმ ორ კარგად აღზრდილ ქალებთან ერთად?» — «ღმერთმან დაიფაროს, რასაკვირველია არა!» — «მაშ უშესაბამო ქცევას გოგოსთან?» — «არა! არც იმას!» შეჰყვირა მრისხანებით.

«მაშ ამ შემთხვევაში მაინც უნდა დამთანხმდეთ, გავაგრძელე მე, რომ იმ მშვიდი და განათლებული ქალების სამსახური და მყოფობა კანტორაში, მაღაზიებში და სახელოსნოში, მშვენივრად იმოქმედებდა უმაწვილ კაცების ზნეობაზედ, და იმათი ურიგო ყოფაქცევის საზღვრად იქნებოდა. რატომ არ გინდათ სცადოთ თქვენ ეს საქმე?» ყველა

ეროვნული ბიბლიოთეკა



ჩემი საბუთები და ჩემი თხოვნა ამაო იყო: ცდა ვერ გაჰბედეს. ვაჭარი და ამ ქალების დედამა ყველაში თანახმანი იყვნენ ჩემთან, მაგრამ ვერც ერთმა მხარემ ვერ გაჰბედა მოქცეულიყვნენ ცრუ აზრებისა და ძველის ჩვეულების წინააღმდეგ.

ორი წლის შემდეგ მოუღალავი მოხელე (ჩინოვნიკი) სრულებით დასუსტდა და სიჭლექით მოკვდა, და ცხოვრების ასპარეზზედ ისევ ის სამწუხარო დრამა წარმოსდგა, რომელსაც მე ვამბობდი ჩემ პირველ წერილში.

სახლში ერთი გროში არ დარჩა; პატივცემული ქვრივი დამარხვის დროსვე ჰფიქრობდა ეგების პანსიონი გაეხსნა, მაგრამ საწყალს ესეც ვერ მოუხერხდა; მამის სიკვდილს შემდეგ რამდენიმე თვის უკან ერთმა ქალმა ქმარი შეირთო, კარგი, მაგრამ ხნიერი კაცი. მეორე ქალიც კამპანიონკად დადგა წელიწადში ექვს თუმნად, ერთს იმისთანა მდიდარ ოჯახში, რომელშიაც ათს ანუ თხუთმეტ წელიწადში დაეჩვევა დიდ ცხოვრებას, და სიბერის დროსაც ისე არ შეეძლება საზრდოს მოპოვება, როგორც არ შეეძლო მამის სიკვდილის დროს.

აქაც იმას ვიმეორებ, რასაც «საკვირაო წერილებში» და «ჩემ ბიოგრაფიაში» ვამბობდი, რომ მე იმისთანა შესაბრალისს არავისა ვხედავ, როგორც შესაბრალისნი არიან მაღალი წოდების ქალები, რომლებიც უნუგეშოდ რჩებიან. ინგლისური ენის და მუზიკის სწავლება გუვერნანკად და კომპანიონკად ყოფნა, — აი აქამდის ეს არის იმათი იმედი და შვება. მაგრამ საუბედუროდ მასწავლებლები საჭიროზედ მომეტებულნი არიან, ასე რომ ბერლინში მასწავლებელი ვაჟები ერთს გაკვეთილში (უროკში) ორ ტალერზედ მომეტებულს იღიბენ, მაგრამ კარგ ფორტეპიანის დამკვრელს ქალს კი საათში შვიდ და ნახევარ ზილბერგროშს (ზილბერგროში სამ კაპეიკს ედრება) აძლევენ. პატარა ქალაქებში სწავლება რასაკვირველია უფრო იაფად არის, და კომპანიონკის და გუვერნანტკის ჯამაგირიდან რასაკვირველია იმდენი არ შეიძლე-

ზა შეინახონ, რომ სიზერის დროს თავიანთი თავი გაჭირებისაგან დაითვარონ.

ეკატერინე ღვინიაშვილი.

1871 წ. თიბათვეს.

ტიფლისი.

---

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საბიბლიოგრაფიო განცხადება.

დუბელირის (გ. წერეთლის და ამხ.) სტამბაში, ეფიანჯიანის და ალადათოვის წიგნების მაღაზიებში, სემინარიაში (იაკ. გოგებაშვილთან) და «მნათობის» რედაქციაში ისყიდებიან:

გაბრიელ ეპისკოპოზის ქადაგებანი და მოძღვრებანი. ფასი მანეთ-ნახევარი, მომსხო ქაღალდზედ ორი მანეთი.

კაცია, ადამიანი, მოთხრობა თ. ილია ჭავჭავაძისა. ფასი ათი შაური.

ბავშვების მოვლა, თხზულება კომბისა, თარგმნილი ვას. მაჩაბლისაგან. ფასი ათი შაური.

ქართული ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი, შედგენილი. გოგებაშვილისაგან, მეოთხე გამოცემა. ფასი ყველგან ორი შაური.

ბუნების კარი, საყმაწვილო წიგნი დაბალ კლასებში სასწავლებელი, შედგენილი ი. გოგებაშვილისაგან, საქართველოს კარტით ფასი ყველგან ცამეტი შაური.

რუსული ენის დაწყებითი პრაკტიკული კურსი ქართველთათვის, შედგენილი გ. კ—შვილის მიერ, მეორე გამოცემა. ფასი სამი აბაზი.

ამბები ძველი დროების ხალხებისა. ნაწილი პირველი. უწინდელი ინდოელები და ეგვიპტელები, რუსულიდამ ნათარგმნი. ფასი სამი შაური.

არითმეტიკა, შედგენილი ვახტანგ თულაშვილისაგან და მ. ყიფიანისაგან. ფასი სამი შაური.

თ. გიორგი ერისთავის თხზულებანი, ავტორის სურათით. პირველი და მეორე ნაწილი. ფასი სამი აბაზი, თბილისში.

დავითიანი, ლექს. თხზ. თ. დავ. გურამიშვილისა (ძველი მწერლობა). ფასი ათი შაური.

ეთერიანი. ამბავი აბესალომ და ეთერისა. ფასი ერთი აბაზი.

კრებული, პირველი ოთხი წიგნი. თითო წიგნის ფასი ათი შაური.

---

«მნათობი» ამ 1871 წელში გამოდის იანვარიდგან ყოველ თვე. თითო წიგნის სივრცე არის შვიდიდგან ათ. დიდ თაბახამდის.

---

## ამ 1871 «მნათობის» ფასი:

მთელი წლისა—გაგზავნით ყველა ალაგებში შვიდი მანეთი. ნახევარ წლის ხელის მოწერა არ მიიღება, გარნა მთელი წლის ფასი შეიძლება შემოიტანონ ორ ნაწილად.

## ხელის მოწერა მიიღება:

თბილისში, სასულიერო სემინარიაში, უფ. სემენარიის პროფესორის გიორგი იოსელიანის სახელზედ. აგრეთვე უ. ნ. ალადათოვის წიგნის მაგაზიაში.

ქუთაისში: უ. გერასიმე კალანდარიშვილთან, სასულიერო სასწავლებელში. (ქუთაისის ხელის მომწერლებმა, ვისაც «მ ნ ა თ ო ბ ი» დააკლდეს, უ. კალანდარიშვილთან მოიკითხონ).

---

რედ. ნ. ავალიშვილი.